სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 4 ივნისი 1999 №103 (876) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

6

ნაკრების ხიზნები

იოჰან ბოსკამპმა სანაკრებოდ ორი თვრამეტწლამდელი ოთარ ხიზანეიშვილი და ზურაბ ხიზანიშვილი აღმოაჩინა

7

თბილისური მინი: დიდი საერთაშორისო

მინიფეხბურთელებს იტალიის, ესპანეთის, რუსეთის და პორტუგალიის მასპინძლობა განუზრახავთ

9

ინტერი ვიერით დაინტერესდა

რამდენიმე დღეა იტალიური კლუბის სელექციონერები სუპერფორვარდის გადაბირებას ცდილობენ

8

რა ვუყოთ იუგოსლავიას?

ევროკავშირი კვლავ უეფას წინააღმდეგაა

ბერძნები მოსაგებად ჩამოვიდნენ

ანდრო კიურჯიევი თბილისს ანდრეას ნინიადისად დაუბრუნდა

არგონავტებმა ოქროს საწმისი და კოლხთა მეფის ასული მედეა რომ წაგვგვარეს, ხეირიანად ჯერაც ვერ მოგვინელებია... ხუმრობა იქით იყოს და, გუშინ ქართულ მიწაზე კვლავ დადგეს ფეხი ელადიდან ჩამოსულებმა. ათენში საქართველოს ნაკრების 3:0 მძლეველნი ამჯერადაც სამი ქულის წასართმევად გვწვევიან და მეგზურად კარგა ხნის უნახავი ჩვენებური ანდრეას ნინიადისი, საქართველოში დაბადებული და ფეხბურთელად აქვე გაზრდილი ანდრო კიურჯიევი ჩამოჰყოლიათ

იხილეთ მეორე-მესამე გვერდი

ბადრი კოთოლაშვილის ფოტო

თბილისში გაზრდილი ანდრეას ნინიადისი საქართველოში რვა წლის შემდეგ ჩამოვიდა

გრაფი — ჰინგისი: თაობათა ფინალი

REUTERS მარიო ზიდაძე

შტეფი გრაფი

გუშინდელი დღე როლან გაროსზე ისე ნამდვილად არ დაწყებულა, როგორც ორგანიზატორები ინატრებდნენ — სწორედ ქალების პირველი ნახევარფინალის წინ ცამ პირი მოხსნა და ცენტრალურ კორტს ისეთი თქეში დაატყდა თავს, წარჩინებულმა პუბლიკამ სირბილითღა უშველა თავს.

ხალხი კი, წინა დღისგან განსხვავებით, ცენტრალურ კორტზე იმდენი შეკრებილიყო, ნემსი არ ჩავარდებოდა. ფინალისტი ქალების ვინაობის გარკვევას ელოდნენ და ბოლოს ეღირსნენ კიდეც: გადამწყვეტ მატჩში ძველი და ახალი თაობის ლიდერები — უბერებელი „რკინის ლედი“ შტეფი გრაფი და მარტინა ჰინგისი გადააჭდობენ ჩოგნებს.

იხილეთ მეთხუთმეტე გვერდი

REUTERS მარიო ზიდაძე

მარტინა ჰინგისი

გამარჯობა, საბერძნეთო, შენი!..

რეპორტაჟი აეროპორტიდან და «შერატონიდან»

დასაწყისი პირველ გვერდზე

გუშინ იანგული დაბრუნდა საქართველოში. ხომ გახსოვთ, ნოდარ დუმბაძის HELLADOS. სოხუმში დაბადებული და გაზრდილი ბერძენი ყმაწვილი ტოვებდა აფხაზეთის მიწას. გემიც დინჯად მიაპობდა შავი ზღვის ტალღებს და ნელ-ნელა თვალს ეფარებოდა ხმელეთის სიმწვანე. ვეღარ გაუძლო იანგულის გულმა, დაუფიქრებლად გადაეშვა წყლის მორევში და ცურვით შეეცადა შინ დაბრუნებას... რამდენიმე დღის შემდეგ ზღვის ტალღებმა გამორიყა ხმელეთზე. იცნეს, გულზე ხომ HELLADOS ჰქონდა ამოსვირინგებული. „იანგული დაბრუნდა“ — მთელ სოხუმს მოედო ეს ამბავი.

ჯვარი სწერია ანდრო კიურჯიევს, თბილისში დაბადებულს და გაზრდილს. 8 წლის წინ წავიდა მშობლიურ ელადაში, ანდრეას ნინიადისად მოინათლა და საფეხბურთო კარიერა წარმატებით განაგრძო. 8 წლის შემდეგ დაბრუნდა საბერძნეთის დროშისფერი სამოსელით და აშკარად გაუჭირდა წარსულთან შეხვედრა. უმალ ქართველი ჟურნალისტების გარემოცვაში მოექცა, ძალიან, ძალიან ღელავდა, სულ ოფლში იწურებოდა, ტუჩებს თავს ვერ უყრიდა, ღიმილს აფრქვევდა უხვად და ერთი სული ჰქონდა, როდის გავიდოდა აეროპორტის შენობიდან გარეთ. ჩამოსულთაგან მაინც ყველასგან გამოარჩევდი, აშკარად ეტყობოდა ამ ბიჭს ქართული ხელი. მართლაც, დიდებულად თქვა ეგზიუპერმა — ჩვენ ბავშვობიდან მოვდივართო.

დანარჩენ ბერძენ ფეხბურთელებს კი ელადელი „თერმი ბესოს“ ხელი ეტყობოდათ... ლურჯ შარვლებსა და პიჯაკებში, ცისფერ პერანგებსა და შავ თეთრზოლიან ჰალსტუხებში გამოწყობილნი გამოჩნდნენ ტრაპზე და ჩვენი ყურადღებაც მიიპყრეს. ისე, საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრებსაც არ აწყენდათ მსგავსი აღკაზმულობა, ოღონდ შესაფერისი.

მანამდე კი, ერთი საათით დაგვიანებით ჩამოფრინდა ბერძენთა ბოინგისმაგვარი თვითმფრინავი, ჯიქურ დადგა ქართულ მიწაზე. ათი წუთი არავინ იკადრა ტრაპით სარგებლობა. გეგონებოდათ, უნებართვოდ დაფრინდნენო, თუმცა ყველაფერი მალე გაირკვა. თურმე ავტობუსის გამოჩენას ელოდნენ სტუმრები და ლაინერის ჯერ კიდევ ბერძნული ჰაერით გაჟღენთილ სალონში ყოფნა არჩიეს ქართული თაკარა მზის სხივებით გარუჯვას.

ბერძნები თბილისში გუშინ შუადღისას ერთი საათის დაგვიანებით ჩამოფრინდნენ

ბადრი კეთილაძის ფოტო

როგორც იქნა, მოგვიახლოვდნენ, მაგრამ რად გინდა, რაღაც ზემოდან გვიყურებდნენ, თითქოს აქეთ გვქონდეს მაგათი ვალი. ისე, მაღლები კი არიან, მაგრამ არა ნორვეგიელებივით...

50 კაცამდე დელეგაციით გვესტუმრნენ. ოდნავ მეტნი იყვნენ, ვიდრე ჩვენ, დამხვდურები. ქართველების სტუმარმასპინძლობის ამბავი კარგად მოგეხსენებათ და ასე მგონია, ვერასოდეს ვისწავლით ჭკუას. აბა, გულთბილ დახვედრაზე აუგი როგორ დამცდება, მაგრამ... თურმე ბერძნებმა თამაშამდე ორჯერ უნდა ივარჯიშონ ეროვნულ სტადიონზე. არადა, მხოლოდ ერთხელ აქვთ ამის უფლება. სტადიონები არ გვივარგა და რა ვქნათო — ჩივის სფფ და აკიწყდება, თუ როგორ მოედანზე ავარჯიშეს ჩვენი ნაკრები ვიკინგების ქვეყანაში.

ჰო, ჰო რა დიდ გულზე არიან! ოღონდელ ოანამემამოლი მჩხიბავ ქალ პითეასავით წინასწარმეტყველებდნენ 5 ივნისის შეხვედრაში გამარჯვებას. ღმერთმა გაუმარჯოს ნაკინ გაზე, მაგრამ ალბერად რომარ უნდა ეთამაშა თუნდაც შენზე გაცილებით სუსტს, ეს კი უნდა იცოდნენ უდიდესი წარსულის მქონე ქვეყნის შვილებმა...

„ფანტასი“ და „კოკა-კოლას“ ასეული რეკლამა მინახავს, მაგრამ ანტირეკლამას არსად წავსწრებივარ. ბერძენი ნახევარმცველი გრიგორის გეორგატოსი და მისი ხუთიოდე თანაგუნდელი აეროპორტის კორპუსის გვერდით, ღია ცის ქვეშ, მაგიდებს მიუსხდნენ და ხსენებული სასმელებით გრილდებოდნენ. „იმხიარულე „ფანტასთან“ ერთადო“, მაინც არ წაუკითხავს გრიგორისს? იმნაირ უყმურ ხასიათზე დადგა, კინაღამ ბოთლი გაუქანა ქართველ ფოტორეპორტიორებს, თითქოს ლუდით შეზარხოშებული პოლ გესქოინი მყოლოდა.

თავი კი ეჭირათ ამაყად, მაგრამ აშკარად ხელოვნურად. ბოლოს კი ერთიანად ასწიეს თავები, ოღონდ სახეზე იმგვარი გამომეტყველება ჰქონდათ, ქართველებს გაგვეღიმა. „შერატონ მეტეხის“ ბრწყინვალემ ბერძნებს სულ გადაავიწყა ოცი წუთის წინანდელი თავის დაჭერა. პირდაღებულნი იდგნენ სასტუმროს ფოიეში და დიდი ხანი ათვალიერებდნენ მის გამჭვირვალე ჭერსა თუ ზედა სართულებს. კიდევ კარგი, ბუზები არ ბინადრობენ „შერატონ მეტეხში“, თორემ ნაღდად ვერ შეიკავებდნენ თავს და უმალ ბერძენთა დაუცველ სასას შეასკდებოდნენ.

სტუმართა ნაკრებს პრობლემები აქვს. ნიკოლაიდისის ტრავმის თაობაზე „სარბიელმა“ დროულად გაუწყათ, გუშინწინ საღამოს კი ლიბერაპულოსი დაშავებულა.

მაინც გაიძახიან, მოგიგებთო. არ ჩაუვათ ფეხი. ისე როგორც ელეგანტურ სამოსელში გამოწყობილ ნიკოს დაბიზაზსს წინდებიანი ფეხის ტერფი სპორტულ ფეხსაცმელში არ ჩაუვიდა და უწინდოდ მოირგო (!). მოდის ასეთი ჩვენებაც პირველად ვნახე...

ხვიჩა სანიკიძე



ბადრი კეთილაძის ფოტო

ვასილის დანიელი

ინტერვიუ დანიელთან

ყველაფერი ახალი...

ბერძენთა ნაკრების მწვრთნელი *ვასილის დანიელი* სიტყვაძუნწი აღმოჩნდა. ორიოდ სიტყვასაც იმადლებოდა — ინგლისური არ ვიცი, ხვალ პრესკონფერენციაზე მობრძანდითო — პასუხი მზად ჰქონდა. ანდრო კიურჯიევის ხათრით ერთი-ორი სიტყვა მაინც გვითხარითო, რომ ვთხოვეთ, მაშინდა გატყდა — აა, ანდრეას, ეგ ძალიან კარგი ბიჭია, დაველოდოთ, საავიზო კონტროლს, ალბათ, მალე გაივლის, აქ გამოვა და სიამოვნებითო — როგორც იქნა, დაგვთანხმდა ბერძნულის გარდა გერმანული ენის მცოდნე საბერძნეთის ეროვნული გუნდის მწვრთნელი ვასილის დანიელი. თუმცა ჩვენებური ანდრო ახლობელ-ნათესავთა ისეთ ტყვეობაში აღმოჩნდა, მისი სათარჯიმნოდ შეწუხება, თანაც შუამავლად გამოყენება ძალიან უხერხული გახლდათ. ფეხბურთის ფედერაციის საერთაშორისო კომიტეტის თანამშრომელი გია ისიანი კი, მიუხედავად მოუცლელობისა, დანიელთან თარჯიმნობას მაინც დაგვთანხმდა, თუმცა მწვრთნელი, სხვათა მსგავსად, უყმური გამოდგა, მხოლოდ ორიოდ კითხვაზე გიპასუხებთ, ხვალ პრესკონფერენციაზე მობრძანდითო, გაგვიმეორა. დღეს, რა თქმა უდა, პრესკონფერენციას დავესწრებით, მაგრამ, ვფიქრობთ, თბილისში ახალჩამოსული, ნორვეგიაში მყოფი ბერძენთა მწვრთნელის, ვასილის დანიელის „სარბიელისთვის“ ნათქვამი რამდენიმე სიტყვა მაინც საინტერესო იქნება:

— ახალი მწვრთნელი, ახალი გუნდი, ახალი ფეხბურთელები, ახალი აზრები... ნორვეგიაში გახლდით, თქვენებურთა თამაშს დავესწარი. რაც გულში მაქვს, იმასვე გეტყვით. ძალიან კარგი გუნდი გყავთ, საჭიროების შემთხვევაში თავდასხმაც გეხერხებათ. დაცვაც — შესაბამისად, კარგი შემსრულებლებიც არ გაკლიათ. თბილისში მოგება ძალიან ძნელია.

— საბერძნეთში 0:3 კი წავაგეთ, მაგრამ თბილისში? ძალები რეალურად შეაფასეთ, ლოგიკური შედეგიც ამის გათვალისწინებით თქვით.

— რეალურად ვთქვა? თქვენ ხომ ახალი მწვრთნელი გყავთ?

— დიახ.

— მაშინ არ ვიცი.

— აკი ჩვენს ბერძენ კოლეგებს უთხარით, საქართველოში მოგება სავსებით შესაძლებელიაო.

— ჩემი სურვილი ასეთია — უნდა მოვიგოთ. დამეთანხმებით, ყველა მწვრთნელი ასე იტყვის. მე ჩემი გუნდის იმედი მაქვს, საბერძნეთის ნაკრებში კარგი ფეხბურთელები თამაშობენ.

— საქართველოს ნაკრების ახალი მწვრთნელი ახსენეთ. კი, მაგრამ, თქვენც ხომ ახალი ხართ? თქვენი ხელმძღვანელობით ბერძენთა ეროვნულმა გუნდმა ოფიციალური მატჩი მხოლოდ ერთხელ, ლატვიასთან ითამაშა. მნიშვნელოვნად განსხვავდება თქვენი და თქვენი წინამორბედ იორდანესკუს სტილი ერთმანეთისგან?

— არც ისე. მატჩისას ყველაფერი ფეხბურთელებზეა დამოკიდებული. მწვრთნელი კი დაავალებს, მაგრამ საქმეც ისაა, მოედანზე ეს როგორ შესრულდება. იორდანესკუ კი... იგი მართლაც კარგი მწვრთნელია, ვცდილობ, მას მივბაძო.

— რას გულისხმობთ?

— არ გეტყვით.

— საქართველოს ნაკრების ნაკლი რა არის?

— არც ამას გეტყვით. ხვალ, პრესკონფერენციაზე...

ძოგა ინასარიძე



ბადრი კეთილაძის ფოტო

ნიკოს მახლასი

ბადრი კეთილაძის ფოტო

კონსტანტინე შანიძეს ანდრეას ნინიადისისთვის ფოტო ბავშვობისასაც გადაუღია

შეხვედრა წარსულთან

ქართველიც, ბერძენიც...

რაღაც გაეწყობოდა. ვასილის დანიელი ენაწყლიან კოლეგათაგან განსხვავდებოდა — მეტს არაფერს გეტყვითო, კიდევ ერთხელ გვითხრა და ჩვენთვის უცნობ თავისიანს მიუბრუნდა. ორიოდ წუთის შემდეგ კი ქართველი, საქართველოს რვა წლის უნახავი, აქ დაბადებული ანდრო კიურჯიევი საეზო კონტროლის ბარიერს თანაგუნდელთაგან თითქმის ბოლო გადმოსცდა და... იგი მოკითხვას ვერ აუდიოდა, ვაჟაზე, ქუჩა იგულისხმა, საქმეები როგორ არისო, იკითხა, უამრავი ხალხი ჩაკოცნა, მეც არა მიშავსო, პასუხობდა — საქართველო ჩემი სამშობლოაო, ბოლოს თქვა და „სარბიელსაც“ ეს უთხრა...

— რვა წელია, საქართველოში არ ვყოფილვარ. არადა, აქ, თბილისში, საბურთალოზე დავიბადე, გავიზარდე, ბურთი პირველად აქ დავინახე. როგორია ქართველთა წინააღმდეგ თამაში? თუმცა, ყველაფრის მიუხედავად, მე ბერძენი ვარ.

— ქართველი?

— ქართველიც, მაგრამ ბერძენიც. მიყვარს თბილისი, ჩემი მშობლიური ქალაქი... ყველაფერს თავი დავანებოთ, ფეხბურთისა რა ვთქვი, აქ ჩემი ბავშვობის ძმაკაცები ცხოვრობენ, რომლებიც რვა წელია, არ მინახავს... ძალიან გთხოვთ, საქართველოზე, ქართველობაზე ნულარაფერს მკითხავთ... ვერ გავჩერდები და იმიტომ. მხოლოდ ერთს ვიტყვი — ანდრო კიურჯიევი აქ, თბილისში დაიბადა.

— თანაგუნდელებმა იციან, რომ აქ დაიბადე?

— რა თქმა უნდა. შეკრებისას ყოველდღე შეკითხულობენ, სად მივდივართ, სად ვიცხოვრებთ, რა ხალხია საქართველოშიო.

— და რას პასუხობდი?

— თითქმის ჩვენნაირი-მეთქი.

— რას ამბობდნენ?

— ძალიან სასიამოვნოაო. სხვას რას იტყოდნენ? საქართველო მხოლოდ ეკონომიკურად თუ ჩამორჩება საბერძნეთს. მენტალიტეტიც თითქმის ერთნაირი გვაქვს.

— გვაქვსო — ესე იგი ბერძენი ხარ?

— დიახ. ჩვენ თბილისში აუცილებლად უნდა მოვიგოთ, ევროპის ჩემპიონატზე მოსახვედრად სხვა გზა არა გვაქვს. სხვა შანსი აღარ არის, ვერ თბილისში, შემდეგ კი ათენში ლატვიასთან მოგება აუცილებლად გვჭირდება.

— დანიელისა და პოლიქრონიოს საწვრთნელი მეთოდები ერთმანეთისგან ძალიან განსხვავდება? იორდანესკუს დროს ნაკრებში არ გიწვევდნენ.

— მეთოდებში სხვაობა ცოტაა. ახლაც თითქმის იგივე ფეხბურთელები არიან გამოძახებულნი, რამდენიმეა ახალი, ისევე როგორც მე. ძირითადად „ოლიმპიაკოსის“ ფეხბურთელებითაა ნაკრები დაკომპლექტებული და აქედან გამომდინარე, ალბათ, სტილიც უცვლელი დარჩება.

კოტა ინასარიძე

რეპორტაჟი აეროპორტიდან და «შერატონიდან»

გიცნობთ ქართველებს

აეროპორტის ფოიეში შემოსულ *მარინოს უზუნიდისს* მობილური ტელეფონი არ მოუშორებია ყურიდან, თუმცა ფრანგული „ლე ავრის“ ბერძნულ, ინგლისურ, ფრანგულად მოსაუბრე ფეხბურთელმა ამ მდგომარეობაშიც მოახერხა ჩვენთან გასაუბრება:

— საკმაოდ კარგად ვიცნობ საქართველოს ნაკრებს და ვთვლი, რომ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში მათ უფრო ბევრის მიღწევა შეეძლოთ, ისევე როგორც ჩვენ, მაგრამ ერთი რამ ცხადია, საბერძნეთის ნაკრები გაცილებით სჯობს თქვენსას. ეს ამას წინათ ათენშიც დავამტკიცეთ. ალბათ გახსოვთ, იმ შეხვედრაში გოლიც გავიტანე.

— თავის გამოჩენას, ბუნებრივია, ამჯერადაც შეეცდებით.

— რა თქმა უნდა, ამაში სიძნელეს ვერ ვხედავ. ისე კი, ვფიქრობ, უეჭველად გავიმარჯვებთ. უკან დასახევი გზა მოჭრილი გვაქვს. შეხვედრის ფრედ დამთავრებაც არ გვაძლევს ხელს.

ოპტიმისტი მახლასი

ბერძენთა შორის ყველაზე სახელდაგდებულმა ფეხბურთელმა *ნიკოს მახლასმა* ჩვენს შეკითხვას არ მოუცადა და საუბარი პირდაპირ შოთა არველაძეზე დაიწყო:

— ძალიან კარგი ფეხბურთელი გყავთ, არველაძე. მან ჩემზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა... მართლა, ითამაშებს ჩვენს წინააღმდეგ?

— არა, ვერ ითამაშებს.

— ოო, ეს უკვე ძალიან კარგია. იგი უდავოდ ძლიერი ფეხბურთელია და მოხარული ვარ, რომ სამომავლოდ უფრო ახლოს გავიცნობ?

— რას გულისხმობთ?

— არ იცით? შესაძლოა მალე ერთ კლუბში ვითამაშოთ.

— „აიაქსმა“ მიგიწვიათ?

— დიახ. მიუხედავად იმისა, რომ „ვიტესთან“ 2001 წლამდე მაკავშირებს კონტრაქტი, შესაძლოა, ამ კლუბის დატოვება მომიხდეს, „აიაქსს“ ძალიან სურს ჩემი გადაბირება.

— კარგით, ბარემ „ვიტესზეც“ ვთქვათ. ეს კლუბი შარშან უკეთესად გამოვიდა ქვეყნის ჩემპიონატში, თანაც მაშინ ლიგის საუკეთესო ბომბარდირიც გახდით...

— წლეულს, რა თქმა უნდა, შარშანდელ შედეგებს ვერ მივაღწიე, მაგრამ ჩემი თამაშით უკმაყოფილო არ ვარ. პრინციპში, „ვიტესმაც“ სასურველი, მეოთხე ადგილი დაიკავა ჰოლანდიის ჩემპიონატში, მე კი, როგორც გითხარით, „აიაქსი“ მეპატიჟება. ამიტომ გასულ სეზონს უდავოდ წარმატებულად მივიჩნევდი ჩემთვისაც და კლუბისთვისაც.

— საქართველოს ნაკრებზე რა აზრის ხართ?

— როდესაც ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის წილისყრის შედეგები გავიგეთ, მახსოვს, რა რეაქცია მოჰყვა ამას ჩვენში. მაშინ ბევრი ამბობდა, რომ ქართველები ბერძნებს დიდ პრობლემას შეუქმნიდნენ. პირდაპირ გეტყვით, მეც მჯეროდა, რომ ნორვეგიელებზე მეტი შანსი გქონდათ. მაგრამ თქვენები საოცრად სუსტად თამაშობენ, ათენშიც უპრობლემოდ გავიმარჯვეთ. რომ მოგვენდომებინა, ანგარიში უფრო სოლიდური იქნებოდა.

— ნორვეგიელებთან თქვენი საშინაო მარცხი საბერძნეთის ნაკრების გარკვეულ კრიზისზე ხომ არ მიგვანიშნებს?

— ნაკრების ახალი მწვრთნელის საპრეტენზიო არაფერი მაქვს, მაგრამ თავკაცთა ცვლა გარკვეულწილად მტკივნეული პროცესია. ეს დროებითი ჩავარდნაც, ალბათ, ამის ბრალია, თორემ სკანდინავიელებს აუცილებლად დავამარცხებდით. დღეს უკეთეს მდგომარეობაში ვართ და გარწმუნებთ, საბერძნეთის ნაკრების ძალას თქვენს ნაკრებს კიდევ ერთხელ ვაგრძნობინებთ.

— ესე იგი თვლით, რომ აუცილებლად გაიმარჯვებთ. ასეა?

— რა თქმა უნდა. საქართველოს ნაკრები არც ისე ძლიერია, რომ წინააღმდეგობა გაგვიწიოს. ჩვენ ყველა შესაძლებლობას გამოვიყენებთ მოსაგებად, რადგან სხვა გზა აღარ გვაქვს. ჩვენი მიზანი ბენილუქსში გამგზავრებაა... სამ ბურთს აუცილებლად გავიტანთ...

ბადრი კეთილაძის ფოტო

ნიკოს დაბიზასი

ათასად კაცი დაფასდა...

საბერძნეთ — საქართველოს ათენური მატჩიდან ყველაზე უფრო *გრიგორის გეორგატოსი* დამამახსოვრდა. „ოლიმპიაკოსის“ ნახევარმცველი ქარივით დაქროდა ქართველ ფეხბურთელებს შორის. გეორგატოსს პირველ რიგში ამ მატჩის გახსენება ვთხოვე, მაგრამ ისეთი თვალებით შემომხედა, გეგონებოდათ, მის წინ დიქტოფონი შემეჭამოს. შემდეგ კი ხელი აიქნია, უჩვეულოდ გადაიხარხარა და აეროპორტის ღია კაფეში მჯდომმა სკამზე შემოდებულ მარჯვენა ფეხს მარცხენაც შეუწყვილა. საშინლად გამომწვევად იქცეოდა და სხვა დროს და სხვა ვითარებაში საკადრისი პასუხის გაცემაც ეკუთვნოდა, მაგრამ...

მეკარეები

ბერძენთა სათადარიგო მეკარემ *დიმიტრის ელეფტეროპულოსმა* საუბრის დასაწყისში გულნატკენმა გვითხრა, ქართველებთან თამაში არ მომიწევს, რადგან ნაკრების პირველი მეკარე *ილიას ატმაციდისი* საუცხოო ფორმაშიაო.

ატმაციდისმა ერთი კი მოგვაძახა, მოგიგებთ, უეჭველად მოგიგებთო და საჩქაროდ გაგვშორდა.

დაბიზასის და ქეცბაიას მეუღლეები დაქალობენ

თემურ ქეცბაიას თანაგუნდელი, ნიუკასლელი *ნიკოს დაბიზასი* ორი გაფრთხილების გამო ხვალინდელ მატჩს გამოტოვებს, თუმცა ნაკრებთან ერთადაა და 9 ივნისს ლატვიაში აპირებს თამაშს.

— როგორ ფიქრობთ, მოიგებთ?

— გული მწყდება, რომ თბილისში ვერ ვითამაშებ. რაც შეეხება პროგნოზს, ძნელი სათქმელია. მოგება ადვილი არ იქნება. საქართველოს კარგი ფეხბურთელები ჰყავს.

— ათენში 3:0 მოგვიგეთ. იმ შეხვედრას როგორ შეაფასებთ?

— თქვენების დაცვის ხაზს აშკარად ჩაუვარდა ის მატჩი და ამიტომაც არ გაგვჭირვებია გამარჯვება.

— საქართველოს ნაკრებს ახალი მწვრთნელი ჰყავს...

— თემურ ქეცბაიამ მითხრა ამის შესახებ. კარგი სპეციალისტი ყოფილა. მგონი, ჰოლანდიელია.

— ხომ არ გეშინიათ?

— ფეხბურთში არ უნდა გეშინოდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში არაფერი გამოგივა. ვიცი, რომ თქვენს გუნდში სასიკეთო ცვლილებებია, მაგრამ ჩვენ ჩვენსას ვეცდებით. რა გამოგვივა, ამას შეხვედრა გვაჩვენებს.

— ქეცბაიაზე რას იტყვით.

— მე და თემური მეგობრები ვართ. იგი ძალიან კარგი ადამიანი და ფეხბურთელია, თუმც ზედმეტად ემოციური. მას უნდა ყოველთვის მოიგოს. სამწუხაროდ, ფეხბურთში ასე არ ხდება. ჩვენი მეუღლეებიც სულ ერთად არიან.

— რა ენაზე ლაპარაკობთ ხოლმე.

— თემური სამ წელიწადს თამაშობდა საბერძნეთში. ბერძნულს კარგად ფლობს, თუმცა, მგონი, კიდევ ხუთ ენაზე ლაპარაკობს.

კოლეგა ნიკოსის ფიქრები

ინტერესმოკლებული არც ბერძნული გაზეთ „კარიმერინის“ ჟურნალისტის *ნიკოს გავალასის* მოსაზრება უნდა იყოს. ბერძენი ფეხბურთელების არ იყოს, ამ გრძელთმიანმა და ჭროღა თვალებიანმა ახალგაზრდამაც, უცილობლად მოგიგებთო:

— საბერძნეთის ნაკრები ორი თავდამსხმელით ითამაშებს, რატომაც არა, ამაში საპრობლემოს ვერაფერს ვხედავ. თქვენი ნაკრების დამარცხება სულაც არ არის ძნელი, ორი ფორვარდით კი მიზნის მიღწევა ერთიორად გაგვიიოლდება. დარწმუნებული ვარ, შინ სამი ქულით გავბრუნდებით.

მადონა გიორგაძე
პაატა კვანტალიანი
ხვიჩა სანიკიძე
კოტა ინასარიძე

რეპორტაჟი სტადიონიდან

ბერძნები არხეინობენ

გუშინ ნაშუადღევს თბილისს ნაწვევი ბერძენთა ნაკრები „შერატონში“ დაბინავდა, ცოტა დაისვენა და საღამოს 7 საათზე „ეროვნულსაც“ ეწვია სავარჯიშოდ. თუმცა სტუმართა დელეგაციას მაინცდამაინც ჩვენს უმთავრეს სარბიელზე ვარჯიში არ მოუთხოვია. უბრალოდ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ მათ სხვა მოედანი ვერ მოუძებნა და...

ბერძნები ძალიან კარგ ხასიათზე მოვიდნენ ბორის პაიჭაძის სახელობის სტადიონზე. მათგან, რა თქმა უნდა, ანდრიას ნინიადისი, იგივე ანდრო კიურჯიევი გამოირჩეოდა. რვა წლის წინ საქართველოდან წასულ თბილისელ კაცს ბევრი ნაცნობი გამოუჩნდა და მანაც ყველა თბილად მოიკითხა.

ვარჯიში საქართველოს ნაკრების ხვალინდელმა მეტოქემ ბურთთან შეჩვევით დაიწყო. შემდეგ იყო მოკლე-მოკლე პასები, თავით თამაში და ყველაფერი ის, რასაც ჩვეულებრივად ყველა წესიერი გუნდი ასრულებს ხოლმე. ბერძნებმა განსაკუთრებით საჯარიმოში მაღალი ბურთების ჩაწოდებაზე გაამახვილეს ყურადღება.

ჩვენი სტუმრები ძალიან ოპტიმისტურად იყვნენ განწყობილნი. ჟურნალისტებიდან დაწყებული, ფეხბურთელებით დამთავრებული, ყველა იმას ამბობდა, აუცილებლად მოვიგებთ, თანაც საკმაოდ იოლადო. ისე, ასეთი არხეინობით მათ შეიძლება ცხვირიც წაიტეხონ, თუ ქართველები...

გაიოზ თალაძვაძე

ბადრი კეთილაძის ფოტო

ბერძნებმა ეროვნულ სტადიონზე გუშინ საღამოსვე ივარჯიშეს

ისინი ჩამოვიდნენ ოლიმპოს მთიდან

ხვალ მათ საქმეში ვიხილავთ, მანამდე კი საბერძნეთის ნაკრების იმ ფეხბურთელებს, გუშინდელიდან საქართველოს დედაქალაქის ჰავას რომ ეგუებიან, ჯობს მოკლე დახასიათებებით გავეცნოთ. თუ დავაკვირდებით, ციდან ვარსკვლავებს ერთი მათგანიც არ წყვეტს, მაგრამ სუსტებიც რომ არ უნდა ვუწოდოთ, ფაქტია. მოკლედ, გუშინ თბილისს ეწვიენ:

მეკარეები

ილიას ატმაციდისი. 24.04.69 აეკი. ოთხი სეზონია ქვეყნის უძლიერეს მეკარედ ითვლება. აეკში 1992 წელს მესამე დივიზიონის „პონტიოი ვერიასიდან" გადავიდა.

ნიკოს მიხოპულოსი. 20.02.70. პაოკი. ეროვნულ გუნდში პირველი მატჩი 1995 წლის იანვარში ჩაატარა, — კვიპროსის წინააღმდეგ შეხვედრაში მოედანზე შემცვლელად შევიდა. მას მერე ატმაციდისის სათადარიგოდ ითვლება.

დიმიტრის ელეფტეროპულოსი.



07.08.76. ოლიმპიაკოსი. ბოლო ხანს იმდენად დახვეწა ოსტატობა, რომ მიხოპულოსს ქვეყნის მეორე მეკარეობას ეცილება. სიმაღლით 190 სანტიმეტრია.

მცველები

ილიას პურსანიდისი. 13.04.72.

ოლიმპიაკოსი. მის თვისებათაგან საგანგებოდ დისციპლინირებულობას გამოარჩევენ. ძლიერი პერსონალური მეურვეა. კარიერა „ოფი კრეტაში" დაიწყო, ხოლო ნაკრებში პირველად 1995 წლის იანვარში, კვიპროსის წინააღმდეგ ითამაშა.

დიმიტრიოს მავროგენიდი. 23.12.75. ოლიმპიაკოსი. ხან

მარჯვენა მცველია, ხანაც იმავე ფრთაზე მოთამაშე ნახევარმცველი. „ოლიმპიაკოსის" ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე გახლავთ. ადრე სალონიკის „არისში" გამოდიოდა.

თეოდოროს ზაგორაკისი. 17.10.71. ლესტერ სიტი (ინგლისი). მის თამაშში საგანგებოდ, გონიერებას გამოყოფენ. ადრე სალონიკის პაოკში თამაშობდა. „ლესტერ სიტიში" 1998 წელს გადავიდა. ეროვნულ გუნდში პირველად 1994 წლის სექტემბერში ითამაშა ფარერის კუნძულების ნაკრებთან.

მარინოს უზუნიდისი. 10.10.68. ლე ავრი (საფრანგეთი). უზუნიდისი გასულ სეზონში, როგორც კლუბში, ასევე ნაკრებში, კარგი თამაშით გამოირჩეოდა. გოლების გატანა მაინცდამაინც არ ეხერხება, ნაკრებში სულ ორჯერ აქვს ზუსტად დარტყმული და ამ ორიდან ერთი საქართველოს ნაკრების კარში. ლიბეროა, რომელიც შიგა და შიგ ნახევარდაცვაშიც თამაშობს. ადრე „ქსანტისა" და „პანათინაიკოსში" გამოდიოდა.

ნახევარმცველები

ანდრეას ნინიადისი. 18.02.71. ოლიმპიაკოსი. ნინიადისი ქართული საფეხბურთო სკოლის აღზრდილია. საქართველოში კიურჯიევის გვარით იყო ცნობილი. 90-იანი წლების დასაწყისში გადასახლდა სამშობლოში და ეროვნული გუნდისკენაც გაიკვალა გზა. თბილისში მას მერე არ ყოფილა და როდესაც „სარბიელის" კორესპონდენტთან სატელეფონო საუბრისას იკითხა საბერძნეთის ნაკრებმა რომელ სასტუმროში უნდა იცხოვროსო, პასუხად კი „მეტეხი" მიიღო, დაზუსტება ითხოვა, რა უბანშიაო. როდესაც შეიტყო, რომ „მეტეხი" ავლაბარშია, გაიკვირვა, ავლაბარში კარგ სასტუმროს რა უნდაო. ჩემპიონთა თასის ახლანდელ მეოთხედფინალში, ტურინში, „იუვენტუსს", მსაჯის დამატებულ წუთებში პენალტით გაუთანაბრა ანგარიში.

მიხალის კასაპისი. 06.06.71 აეკი. 21 წლამდელთა ნაკრების ყოფილი მარცხენაფლანგელი. 1994 წელს, მსოფლიოს ჩემპიონატის შემდგომ პერიოდში აიყვანეს გუნდში. აეკში 1993 წელს „ლევადიაკოსოდან" გადავიდა.

დიმიტრიოს მარკოსი. 31.07.71. აეკი. საბერძნეთის ნაკრების წინა მწვრთნელის, ანგელ იორდანესკუს ფავორიტი გახლდათ. მუხლჩაუხრელი, შრომისმოყვარე და ბურთის განაწილების კარგი ოსტატია. კარიერა მეორე დივიზიონის „ნაუსაში" თავდამსხმელად დაიწყო, მაგრამ უნივერსალური თვისებების გამო, ასე განსაჯეთ, ცენტრალურ მცველადაც კი უთამაშია. თავიდან „კალამატაში" გამოდიოდა, მერე „პანათინაიკოსში", ბოლოს კი აეკს მიაშურა.

გრიგორიოს გეორგატოსი.



31.10.72 ოლიმპიაკოსი. მასთან დაკავშირებით ყოველთვის პროგრესზეა საუბარი. ცენტრალურ მცველადაც უთამაშია, მაგრამ ნახევარდაცვაში თავს საუკეთესოდ გრძნობს. ბოლო ოცი თვეა ნაკრებში რეგულარულად იწვევენ.

კოსტას ფრანცესკოსი. 04.01.69. პაოკი. ძველი გვარდიის შემორჩენილი წევრია, რომელიც უკეთ და უკეთ თამაშობს. ადრე „პანათინაიკოსსა" და ოფიში გამოდიოდა. ძლიერად ურტყამს მარცხენა ფეხით. უბადლოდ ასრულებს საჯარიმოებს. სლოვენიის ნაკრების კარში ძალიან შორიდან გაიტანა. ეროვნული გუნდში პირველი თამაში 1992 წელს კვიპროსის წინააღმდეგ, ამხანაგურ მატჩში, ჩაატარა.

კოსტას კონსტანტინიდისი. 31.08.72. პანათინაიკოსი. ორლანესკუს ხელში უპირატესად — სა-



თადარიგო იყო. ძირითადად ნახევარმცველია, მაგრამ როგორც „ქსანტიში", ასევე ოფისა და „პანათინაიკოსში" სხვადასხვა პოზიციაზეც უთამაშებიათ.

თავდამსხმელები

ნიკოს ფრუსოსი. 1975. იონიკოსი. საბერძნეთის ახალდამთავრებული პირველობის ვიცე ბომბარდირია. ვინაიდან დემის ნიკოლაიდისი დაშავდა და თბილისში ვერ ითამაშებს, შესაძლოა ძირითად შემადგენლობაში ადგილი ანდონ.

ნიკოს მახლასი. 16.06.73. ვიტესი (ჰოლანდია) 1997-98 წლების სეზონში ჰოლანდიის პირველობაზე 34 გოლი გაიტანა და ამ ქვეყნის ოქროს ბუცი მიიღო. ეროვნულ ნაკრებში პირველად 1993 წლის მარტში ათამაშეს ავსტრიის წინააღმდეგ და იმ შეხვედრაში გოლიც გაიტანა. ეს მოხდა აშშ 94-ის შესარჩევ ციკლში, რომლის ბოლოს, რუსეთის ნაკრების კარში მახლასის მიერ გატანილი გოლით ბერძნებმა ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზური მიიღეს.

მათ გარდა საქართველოს ენვივნენ იორგოს ანატოლაკისი — 16.03.74. ოლიმპიაკოსი, მცველი; ხაროს კასაპისი — პაოკი. მცველი; იანის გუმასი — პანათინაიკოსი, ნახევარმცველი; ანდრეას ზიკოსი — 01.06.74, აეკი; ნახევარმცველი; იანის ანასტასიუ — ანდერლეხტი (ბელგია), თავდამსხმელი.

32 წლის წინათ

1967 წლის 16 ივლისი. თბილისი. ლენინის სტადიონი. 39 000

სსრკ 4:0 საბერძნეთი

1:0 ბანიშევსკი (50), 2:0 საბო (72 პ), 3:0 ბანიშევსკი (77), 4:0 ჩისლენკო (83)
სსრკ: იაშინი, ანიჩკინი, შესტერნიოვი, ხურცილავა, ლენიოვი, ვორონინი, ჩისლენკო, საბო, ბანიშევსკი, სტრელცოვი, ბიშოვეცი
საბერძნეთი: იკონომოპულოსი, პლესასი, პოლიხრონიუ, ბელისი, ლუკანიდისი, კამარასი, დომაზოსი, ჰაიტასი, სიდერისი, პაპაიოანუ, ბოტინოსი
მსაჯი: ნილსენი (ნორვეგია)

საბერძნეთის ნაკრებმა თბილისში პირველად (და უკანასკნელად) 1967 წლის 16 ივლისს ითამაშა საბჭოთა კავშირის ნაკრების წინააღმდეგ. ეს იყო ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი, რომელიც ყოფილმა საბჭოელებმა 4:0 მოიგეს. შუა ზაფხულის ცხელ დღეს თბილისის „დინამოს" სტადიონზე 39 ათასი მაყურებელი შეიკრიბა.

საერთოდ, ეს სსრკ-ის ნაკრების პირველი თამაში გახლდათ თბილისში. შემდგომ საბჭოელებმა, 1987 წლის ჩათვლით, საქართველოს დედაქალაქში კიდევ ცხრაჯერ უმასპინძლეს მეტოქეებს.

16 ივლისს კი საბჭოთა კავშირის ნაკრების მწვრთნელმა მიხაილ იაკუშინმა მინდორზე ერთი ქართველი, მურთაზ ხურცილავა გაიყვანა. მაშინდელი მედია განსაკუთრებით აღნიშნავს ხურცილავას კარგ თამაშს: „შეტევაში საუკეთესო ბანიშევსკი იყო, დაცვაში კი ხურცილავას ბადალი არ ჰყავდა. მურთაზი უშეცდომოდ მოქმედებდა და ჩინებულად ირჩევდა პოზიციებს. მისმა ოსტატურმა გადაცემებმა არაერთხელ შექმნა ხიფათი ბერძენთა კართან" — წერდა გაზეთი „ფუტბოლი".

ბერძენთა შემადგენლობაში ჩვენთვის ყველაზე ცნობილი კოსტას პოლიხრონიუ გახლდათ, რომელიც მერე რამდენიმე წელიწადს წვრთნიდა ელინთა პირველ გუნდს და შარშან ზაფხულში რუმინელმა ანგელ იორდანესკუმ შეცვალა.

პოლიხრონიუ დაცვაში თამაშობდა და მეოთხე გოლში „დიდი წვლილი" შეიტანა, როცა მარცხენა ფრთაზე სტრელცოვის გარღვევას ვერაფერი მოუხერხა და შედეგად ჩისლენკომ ცარიელ კარში შეაგდო.

16 ივლისის თბილისური მატჩი ერთგვარად ისტორიულიც გამოდგა. ამ დღეს სსრკ-ის ნაკრების შემადგენლობაში ბოლო მატჩი ჩაატარა ლეგენდარულმა მეკარემ ლევ იაშინმა.

სოლომონ ბულისაშვილი

საბერძნეთის ნაკრები ევროპის საშუალოთა რიცხვს მიეკუთვნება

დღეს ბატონი მე ვარ!

ქართულ ფეხბურთში ბოსკამპის რევოლუცია იწყება

ის სიცილით ჩამოვიდა საქართველოში, სიცილითვე შეუდგა თავის საქმეს. სიცილით ჩაიბარა ეროვნული ნაკრები და სიცილით დაიწყო წესრიგის დამყარება.



იოჰან ბოსკამპი: ჩემი სიტყვა კანონია...

ბედრი კეთილაძის ფოტო

იოჰან ბოსკამპს ძალიან იშვიათად ნახავთ გაბრაზებულს, მაგრამ წარბები თუ შეიკრა, მტრისას... ალბათ, ამიტომაც არის, „იოჰან მრისხანედ" რომ მოინათლა საფეხბურთო საქართველოში.

საქართველოს ეროვნული ნაკრების ჰოლანდიელი მწვრთნელი ჩვენს სამშობლოს დალაგებული, ცივილიზებული ქვეყნიდან ეწვია. მისთვის უცხოა ჩვენებური პატარ-პატარა ეშმაკობები, რომლებიც ქართველებს არ ელევათ. ამიტომ უკვირს ბოსკამპს ბევრი რამ, მაგრამ ხუმრობით იქადნება — ქართველებს ცხოვრების წესი და საქმისადმი დამოკიდებულება უნდა შეგიცვალოთო.

როდის იყო, ერთ მერცხალს გაზაფხული მოჰყავდა. გაზაფხულს შეუძლია, ერთი მერცხალიც მოიყვანოს და ათასიც, მაგრამ სანამ საქართველოში გაზაფხული მოვა, მანამ იოჰან ბოსკამპიც გადაირევა. რატომლაც ასე მგონია და სხვა გზაც ჯერჯერობით არ ჩანს.

სხვა მხრივ იოჰან ბოსკამპი რომ მწვრთნელია, მგონი, საკამათო არავისთვის უნდა იყოს. ახლახან ჩამოსულმა უკვე დაატყო თავისი ხელი „დინამოს". არა, ჩემპიონები უიმისოდაც ხშირად იგებდნენ თამაშებს დიდი ანგარიშით, მაგრამ ახლა გუნდის მობილურობა გაორმაგდა, თამაში სისტემას დაემორჩილა, „დინამოს" ტაქტიკა გაუჩნდა. ამის დაუნახავობა არაფრით იქნება.

ნორვეგიაში ნაკრების ნათამაშები მატჩი, აბა, ვის მოეწონებოდა, მაგრამ გარკვეული პროგრესი აქაც რომ შეიმჩნეოდა, ხომ ფაქტია.

ბოსკამპმა იცის, რომ მის განკარგულებაში არ არის საშუალო დონის მეკარეც. მწვრთნელს არ ჰყავს გამოცდილი, სანდო მცველები. ნახევარდაცვა ძველებურ, ნელ ბურთაობასაა ჩვეული, ხოლო თავდასხმაში „თოთო ბავშვებიღა" შერჩენია.

ასეთი გუნდით ეწვია ნორვეგიას ქართული დელეგაცია. წააგო ნაკრებმა 0:1. მასპინძლები ზედმეტ ოფლის ღვრას მოერიდნენ, დაგვინდეს სტუმრები. სწრაფმა გაშვებულმა გოლმაც ჩვენს წისქვილზე დაასხა წყალი.

მიუხედავად ამისა, ნაკრებს ჰქონდა ტაქტიკა, ეს მეორე ტაიმში უფრო გამოჩნდა. ესე იგი, მწვრთნელს შეუძლია, წაგებული პირველი ტაიმის შემდეგ თამაშში კორექტივები შეიტანოს, რაღაც შეცვალოს. ბოსკამპს ყველაზე დიდ პრობლემად ენობრივი ბარიერი ქცევია. მისი ნალაპარაკევი ფეხბურთელებთან თემურ ქეცბაიას და მიხეილ ყაველაშვილს მიაქვთ. რა თქმა უნდა, თემური და მიშა სიტყვა-სიტყვით ვერ თარგმნიან მწვრთნელის დანაბარებს. ამიტომ, ალბათ, ბევრი მითითება ჰაერში იკარგება.

ბოსკამპი საფუძველს ახლა ყრის. თუ მას ვენდეთ, სჯობს, ბოლომდე მივიყვანოთ საქმე. ერთ კვირაში ხომ სოფელი არ აშენებულა. ჩამოყვანილ მწვრთნელს საქართველოში ახლებური აზროვნება ჩამოჰყვა. უმჯობესია, მისგან რაიმე ისწავლონ, თორემ ევროპისგან გარიყულმა ქართულმა ფეხბურთმა რასაც მიაღწია, ხომ ყველა ვხედავთ.

იოჰან ბოსკამპის დიდი პლუსი ისიც არის, რომ ნაკრებში კულტების აღმოფხვრას ცდილობს. ახალბედა თუ გამოცდილი, დიდი თუ პატარა, ჭირვეული თუ მხიარული — ყველანი თანაბარ პირობებში იქნებით, ვარჯიშებზე ბოლომდე დაიხარჯებით და ჩემს მოთხოვნებს შეასრულებთო.

ვინც ჭკვიანია და ფეხბურთსა და ნაკრებზე ფიქრობს, მწვრთნელს უსიტყვოდ დაემორჩილა, ეშმაკები და მოურჯულებლები კი ეროვნულ გუნდს მიღმა დარჩნენ.

ჯერჯერობით ბოლო იყო ზაზა ჯანაშია. მას მორიგი თავნებობა ბოსკამპმა არ აპატია. ჯანაშია გაწვრთნილი ავტოპილოტი არ არის, მოსკოვიდან მანქარით რომ ჩამოვიდა. ნორვეგიაში ვერ წამოვა, დასჯილს 1 ივნისს ველოდები დიღმის საწვრთნელ ბაზაზეო.

ახალი მწვრთნელი მკაცრი ყოფილაო — თქვა ზაზამ. გულში რას ფიქრობდა, ღმერთმა უწყის. ისევ ახალი უთანხმოება და ზაზა მეორედ დაითხოვეს ბაზიდან.

ბატონო იოჰან, სამი დღეა, არ მივარჯიშია, კუნთი დამეჭიმა, ახლა დამასვენეთ და ხვალ ორმაგს ვირბენო. ამის თქმა და აფეთქდა ბოსკამპი, ჯანაშიას მოკვეთით კი ნაკრები, ფაქტობრივად, მაღალი დონის თავდამსხმელის გარეშე დარჩა.

ბოსკამპმა, ალბათ, სხვებზე უკეთ იცის ეს, მაგრამ დისციპლინა უპირველეს ყოვლისაო. ახლა ის ვთქვათ, მართალი იყო თუ არა მწვრთნელი...

გულზე ხელი დავიდოთ და სიმართლე ვთქვათ — ზაზა ჯანაშიას ხომ ბევრი ძალიან კარგად, რომ იტყვიან, მოხარშულს ვიცნობთ. მისი ოინები და ახალ-ახალი ხრიკებიც საკვეყნოდ ცნობილია, მაგრამ იქნებ სწორედ გუშინწინ არ ტყუოდა ზაზა. რა გასაკვირია, სამი დღის უვარჯიშებელს კუნთი დაჭიმვოდა.

ჯანაშია იმითაა გამორჩეული, რომ თამაშის დროს არ იმჩნევს შეკრებაზე ნაშმაკარს. მინდორზე დაუღალავად შრომობს, მისთვის სულ ერთია, ვის წინააღმდეგ უწევს თამაში, შიში მისთვის უცხოა და გოლიც ხშირად გააქვს.

ბევრს რომ ჰკითხო, რა მნიშვნელობა აქვს ვარჯიშზე ჯანაშია როგორ იქცევა, მთავარია, თამაშისას ბურთი გაიტანოს, მაგრამ ბოსკამპი სხვაგვარად ჭრის და ვერავს, ზაზას აბუჩად ზრდები უყრიან და ბადეში ცოდ გავლენას ახდენსო. რამდენადაც არ უნდა გვიჭირდეს აღიარება, მაინც უნდა ვთქვათ — მწვრთნელი მართალია.

ერთიც არის, ბოსკამპმა იცოდა ჯანაშიას უცნაურობის შესახებ, არ არის გამორიცხული, იგი თავიდანვე იყო გაფრთხილებული და ზაზას პირველი დღიდანვე ეჭვის თვალით შეხედა. მწვრთნელს უნდობლობის სინდრომი შეეყარა. დღეიდან იგი არ ენდობა თავდამსხმელს და ძნელია, გუნდში იყოლიო ფეხბურთელი, რომლისაც არ გჯერა.

არადა, ზაზა ჯანაშია საჭირო მოთამაშეა ეროვნული ნაკრებისთვის, უფრო მეტიც დღეისთვის შეუცვლელიც კი.

ადრე ეროვნულ ნაკრებში ერთი ცუდი ტრადიციაც იყო დანერგილი. შეკრებაზე ტრავმირებულ მოთამაშეებსაც იძახებდნენ, ელოდნენ მის გამოჯანმრთელებას და სათამაშოდ ნახევრად მოუმზადებელს უშვებდნენ. ასეთი პრივილეგიებით სახელიანი ფეხბურთელები სარგებლობდნენ იმ მოსაზრებით, რომ მათზე უკეთესები ნაკრებში არ მოგვეძებნებოდა და ტრავმირებული „ვარსკვლავის" თამაში სჯობსო ახალბედას და უკლასოს.

ბოსკამპმა აქაც პრინციპულობა გამოიჩინა — არ დაელოდა არველაძეების მომჯობინებას, ნორვეგიაში უმათოდ გასწია და ბერძნებსაც მათ გარეშე შეხვდება.

გარკვეული დროის შემდეგ ბოსკამპის დამკვიდრებული წესები ნაყოფს აუცილებლად გამოიღებს, მაგრამ ფეხბურთელისთვის ყველა შანსის წართმევაც არასწორად მიგვაჩნია. დევაძე არა, არველაძეები არა, ჯანაშია არა. ვიღაცამ ხომ უნდა ითამაშოს.

ბოლოს ერთ პრობლემაზეც ვთქვათ. ფაქტია, ახალი მწვრთნელი ახალ, მომავლის გუნდს აკეთებს, რაც კარგი და მისასალმებელია, მაგრამ 6 თვე ცოტა დროა. ექვს თვეში გუნდი არ კეთდება. ამიტომ, თუ ფეხბურთის ფედერაცია ენდო ბოსკამპს, მაშინ მის კონტრაქტს აქედანვე სჭირდება გადახედვა. 6 თვის შემდეგ ახალი მწვრთნელის მოსვლა ყველაფერს უკუღმა დააყენებს, საძირკველი თავიდან იქნება ჩასაყრელი.

მანამდე კი იოჰან ბოსკამპი ბერძნებთან მატჩისთვის ამზადებს ნაკრებს. ხშირად, ძალიან ხშირად იცინის, იშვიათად შეიკრავს კოპებს და მაშინ ბევრი ხვდება, რომ საფეხბურთო საქართველოში ჰოლანდიელის ერა დაიწყო. დღეს ის არის მბრძანებელი, ხვალე კი ხვალისამ იკითხოს.

მამუკა კვანტალიანი

ადვილია, ძალიან მარტივი

იოჰან ბოსკამპს ვალტერ გუჩუაც გამოაკლდა

საქართველოს ნაკრების ფეხბურთელებმა გუშინაც ინტენსიურად ივარჯიშეს

ბედრი კეთილაძის ფოტო

გუშინდელი დღე ეროვნული ნაკრებისთვის ადრინდელთაგან თითქმის არაფრით განსხვავდებოდა. საათი და ათი წუთი ინტენსიური ვარჯიში ბურთიანად, შიგადაშიგ თეორია, სათამაშო სიტუაციის უშუალოდ დაფაზე გარჩევა, ბოლოს კი გაწელვითი ვარჯიშები.

ბოსკამპის საწვრთნელი პროცესი, ერთი შეხედვით, სულაც არ არის რთული, მაგრამ ფეხბურთელებს წვრთნის დროს გაჩერების საშუალება ფაქტობრივად არ აქვთ.

გოუ, გოუ, გოუ... ყვირის ბოსკამპი და ნაკრების წევრებიც თავქუდმოგლეჯილები დარბიან. აქამდე ეროვნული გუნდის არაერთი ვარჯიში მინახავს, რომლებიც ტყუპისცალივით ჰგვანდნენ ერთმანეთს — მოთელვა, თაებურთი, ხელბურთი, ცოტაც ფეხბურთი — მორჩა, ეს იყო ეროვნული ნაკრების მომზადების მთელი ფილოსოფია.

ჰოლანდიელმა კი იცის, რა აკეთოს. ქართველების საფეხბურთო განათლებას ანბანიდან იწყებს, თანაც ჩვენი ნიჭიერებისა ეიმედება და ხშირად შეატყობთ სახეზე კმაყოფილებას.

მწვრთნელი სწრაფ აზროვნებას აჩვევს ფეხბურთელებს, მათ მოქმედებებში სისხარტეს და მოქნილობას ითხოვს. ნელ-ნელა აღწევს საწადელს, ყოველ შემთხვევაში, შორიდან ასე ჩანს.

იოჰან ბოსკამპმა მიაღწია თავისას. ფეხბურთელები უსიტყვოდ ემორჩილებიან, ცდილობენ, ზედმიწევნით შეასრულონ მწვრთნელის მითითება. ნაკრებში პრივილეგიებით არავინ სარგებლობს. ვეტერანი და ახალგაზრდა გათანაბრებულია. თემურ ქეცბაია, გიორგი ნემსაძე, გოჩა ჯამარაული, ეროვნული გუნდის ყველაზე სტაჟიანი და გამოცდილი მოთამაშეები გაუჩერებლივ, დაუღალავად შრომობენ. ნაკრებში დისციპლინა მყარდება.

ცალკე ივარჯიშეს მეკარეებმა. დავით გვარამაძე და გრიგოლ ჭანტურია ოთარ გაბელიას განკარგულებაში ერთი საათის განმავლობაში იყვნენ. გამოცდილი და მრავალსმნახველი სპეციალისტი, წუთითაც არ ასვენებდა ბიჭებს. ახლა დაიზარებ და თამაშისასაც დაგეზარება გადახტომაო, ამ სიტყვებს ხშირად უმეორებდა შეგირდებს. ისინიც დახტუნაობდნენ მარჯვნივ, ზევით, მარცხნივ.

გუნდი ხომ ვარჯიშობდა და ოფლად იღვრებოდა, მაგრამ თითქმის იმდენივე დოზით იტვირთებოდა ფიზმომზადების სპეციალისტი ფრანსუა დე იონგი. გამძლეობით იგი თუ არ აღემატება, არც არაფრით ჩამოუვარდება ჩვენებურ ფეხბურთელებს.

წვრთნის ბოლოს ბოსკამპმა მოთამაშეებს სარბენად ერთი წრე უფეშქაშა, მერე ბიჭები დე იონგს გადაულოცა, ისევ გაწელვითი ვარჯიშები და ბატონი იოჰანის საბოლოო შეძახილი — დღეისთვის საკმარისიაო.

იქვე მინდვრის კიდესთან ვალტერ გუჩუა იდგა. გადაწყვეტილი ამბავია, გუჩუა ხვალ ვერ ითამაშებს, მას მარცხენა მუხლი, უფრო სწორად, მყესები აწუხებს და ექიმებმაც ორკვირიანი იძულებითი დასვენება გამოუწერეს.

სხვები ჯანმრთელად არიან. არავინ არაფერს უჩივის. არც არავინ წუწუნებს, ფეხბურთელებმა უსიტყვოდ და უხმაუროდ მიაშურეს საშხაპეს.

იოჰან ბოსკამპი ყველაზე ბოლოს გამოვიდა მოედნიდან, ხუთი წუთი კამერის წინ შეიცადა, ის-ის იყო საშხაპისკენ აპირებდა გეზის აღებას, რომ მოშორებით უცხო კაცი შენიშნა სიგარეტით ხელში. მწვრთნელს მომღიმარი სახე ერთბაშად შეეცვალა, წამიც და დაიქუხებდა, მაგრამ სიგარეტიანმა გაასწრო. ჰოლანდიელმა უკმაყოფილოდ გააქნია თავი. ასეა, ბოსკამპი წესრიგის მოყვარული კაცია. დარწმუნებული ვარ, დიღმის ბაზის მომსახურე პერსონალს გუშინ საღამოს „შეხურება" არ ასცდებოდათ.

მამუკა კვანტალიანი

ნაკრების ხიზნები



ბადრი ჯეთილაძის ფოტო

ზურაბ ხიზანიშვილი

ბადრი ჯეთილაძის ფოტო

ოთარ ხიზანეიშვილი

ეს ამბავი შორეულ წარსულში მოხდა, ჯერ კიდევ მაშინ, როცა „კოპალას ბიჭებიდან" არც ერთი იყო დაბადებული.

ჩამოვიდა თბილისში კაცი, დიდი ფეხბურთელი ჰოლანდიიდან. იგი რუუდ კროლი იყო, ფეხბურთში ჭკუა ეკითხებოდა, სიტყვაც ეთქმოდა და მაშინდელი თბილისის „დინამოს" ამომავალ ვარსკვლავზე, გრიგოლ ცაავაზე იკითხა — რატომ არ თამაშობს ეს ბიჭი სსრკ ნაკრებშიო. მაშინ სხვა დრო იყო, სხვა ქვეყანა, სხვანაირად აზროვნებდნენ და კროლს ასე უპასუხეს — ჯერ ახალგაზრდაა, ჯერ ადრეაო.

კროლმა კი, ბევრისმნახველმა რუუდ კროლმა, თავი გააქნია და... — სანამ ახალგაზრდაა, მანამ უნდა ითამაშოს, თორემ ჩემი ხნის რომ გახდება, ნაკრებში რაღა უნდაო.

მას მერე ოციოდე წელინადი გავიდა.

ჩამოვიდა თბილისში კაცი, ყოფილი ფეხბურთელი და მოქმედი მწვრთნელი. ისიც ჰოლანდიელი და მანაც თვრამეტი წლის ბიჭებს დაადგა თვალი.

იოჰან ბოსკამპის მიწვევით საქართველოს ეროვნულ ნაკრებში ორი „კოპალას ბიჭი" ემზადება საბერძნეთთან მატჩისთვის — ნაკრების ხიზნები, ოთარ ხიზანეიშვილი და ზურაბ ხიზანიშვილი თავიანთ შანსს ელოდებიან.

სახარეს რომ კოჭებში ატყობენ, ბოსკამპსაც ისე მოუვიდა, მაგრამ ეს ბიჭები სხვაზე ადრე ვახტანგ კოპალეიშვილის ამაგს გაიხსენებენ-ხოლმე. სწორედ კოპალეიშვილმა ჩამოაყალიბა ისინი ფეხბურთელებად. არაერთი ახალგაზრდა კაცი გაუკვირვებია უცებ ასრულებულ ოცნებას და ამ „გაკვირვების" გამო მერე უნანია. სწორედ ამაზე საუბრით დავიწყეთ ოთარ ხიზანეიშვილთან და ზურაბ ხიზანიშვილთან ინტერვიუებიც.

ბადრი ჯეთილაძის ფოტო

ოთარ ხიზანეიშვილი და ზურაბ ხიზანიშვილი

ზურაბ ხიზანიშვილი: შანსი მეც მექნება

— ზურაბ, ნოდარ ხიზანიშვილის ვაჟს ალბათ სხვა არჩევანი არც გქონდათ, მამამ რა როლი ითამაშა თქვენს ფეხბურთელად ჩამოყალიბებაში?

— სხვათა შორის, თავიდან დედაჩემმა ცეკვაზე შემიყვანა, მაგრამ თავში სულ ფეხბურთი და ფეხბურთელობა მიტრიალებდა. უბურთოდ წუთსაც ვერ ვძლებდი, როცა მამაჩემი მიხვდა, რომ დამოუკიდებელი არჩევანი გაკეთებული მქონდა, გვერდიდან აღარ მომშორებია. თორემ მანამდე არასდროს უგრძნობინებია, რომ სურდა, გინდა თუ არა ფეხბურთი მეთამაშა. არა, ამის მსგავსი არაფერი ყოფილა, გადაწყვეტილება თავად მივიღე, მამამ კი სწორი მიმართულება მომცა. საერთოდ, მიმაჩნია, რომ გადაწყვეტილების მიღებისას მშობელი არ უნდა ჩაერიოს, თითოეული ადამიანი საკუთარ არჩევანში თავისუფალი უნდა იყოს.

— მამის გარდა ალბათ სხვასაც მიუძღვის წვლილი თქვენს ფეხბურთელობაში.

— ვერ წარმომიდგენია ჩემი დღევანდელი მდგომარეობა ვახტანგ კოპალეიშვილის გარეშე. დღეს რომ ეროვნული ნაკრების წევრი ვარ, სწორედ ბატონი ვახტანგის დამსახურებაა. მან მართლაც დიდი როლი ითამაშა ჩემს ცხოვრებაში.

— ჯერ თბილისის „დინამოში" მიგიწვიეს, შემდეგ კი ეროვნულ ნაკრებშიც გამოგიძახეს, თუ ელოდით ამას?

— სიმართლე გითხრათ, „დინამოში" გადასვლას ნამდვილად ველოდი და ამისათვის გარკვეულწილად მზად ვიყავი. აი, ეროვნულ ნაკრებში გამოძახება კი დიდი მოულოდნელობა იყო ჩემთვის. ვიცოდი, რომ იოჰან ბოსკამპი თვალყურს მადევნებდა, მაგრამ ასე უცებ ქვეყნის პირველ ნაკრებში თუ მომიწვევდა თამაში, ამას ვერ წარმოვიდგენდი.

— შეიძლება ითქვას, რომ ეს სეზონი წარმატებული გამოდგა თქვენთვის. თვრამეტწლამდელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატზე თამაშის უფლება მოიპოვა.

— მართლაც, წლეულს აშკარად მწყალობს ბედი, ვახტანგ კოპალეიშვილის ნაკრებმა დიდი საქმის გაკეთება შეძლო და ორმაგად ბედნიერი ვარ, რომ ამაში პატარა წვლილი მეც მიმიძღვის. ვერ გადმოგცემთ იმ განცდას, რაც ბათუმში, ჩეხების ძლევის შემდეგ დამეუფლა.

— როგორ ფიქრობთ, ნაადრევი ხომ არ არის ზურაბ ხიზანიშვილისთვის ეროვნული ნაკრების წევრობა, პირველ რიგში ასაკს და გამოცდილებას გგულისხმობ.

— მე მგონი, ბოსკამპი ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტია და ამასთანავე კარგი სელექციონერიც, ასე რომ, ჩემი ნაკრებში გამოძახება ნაადრევი თუ იყო, ვფიქრობ, არც მიმიწვევდა. არ გეგონოთ, რომ ნაკრების წევრობით დავკმაყოფილდე, ანაც რაიმე თავში ამივარდეს. ვიცი, რომ ჩემი ბედი ჩემს ხელშია, სამომავლოდ ბევრი მაქვს სამუშაო და ამისთვის ძალას არ დავიშურებ. დღეს დიდი მადლობელი ვარ ბოსკამპის, მაგრამ ორმაგად ბედნიერი ვიქნები, თუ ნაკრების შემადგენლობაში თამაშის საშუალებას მომცემს. ეს დიდი ტვირთია და ფეხბურთელმა ღირსეულად უნდა ატაროს.

— თავი მართლაც ღირსეულად გიჭირავთ, არც შეშინებულს ჰგავხართ, მაგრამ ცნობილი ამბავია — დებიუტანტი გარკვეული მოლოდინების გარეშე წარმოუდგენელია.

— რა თქმა უნდა, გარკვეულწილად მეც ველოდე, მაგრამ გუნდში ძალიან თბილი ატმოსფერო დამხვდა, ყველა თავისებურად მეხმარება. გოჩა ჯამარაული სულაც ჩემი კარის მეზობელი იყო და ყველაფერში მეხმარება, მხარში მიდგას. თანაგუნდელების შემხედვარე მეც რაღაცნაირად ვმშვიდდები. მეტსაც გეტყვით, შეიძლება გაგიკვირდეთ კიდეც, მაგრამ ფაქტია, თვრამეტწლამდელთა ნაკრების თითოეული მატჩის წინ საშინლად ვღელავ-ხოლმე, ალბათ იმიტომ, რომ იქ მეტი პასუხისმგებლობა მაკისრია და მცირე შეცდომის უფლებაც არ მაქვს. ცუდად ნუ გამიგებთ, მაგრამ ეროვნულ ნაკრებში უფროსების, ბევრად გამოცდილი და ჩემთვის სამაგალითო ფეხბურთელების იმედი მაქვს. ვიცი, რომ ისინი ჩემს მცირედ გაფუჭებულს ყოველთვის გამოასწორებენ, მაგრამ ყველანაირად ვეცდები, თანაგუნდელებს საამისოდ არ გავუხადო საქმე.

— თქვენი, როგორც ფეხბურთელის, ყველაზე დიდ ხარვეზად რას თვლით?

— მეტი მუშაობა მომიწევს გამძლეობაზე, დასახვეწი მაქვს ტექნიკა, დიდი ყურადღების გამახვილება მმართებს მარცხენა ფეხით თამაშზე. მაგრამ ეს დიდი პრობლემა არ არის, მჯერა, გამაჩნია საიმისო ძალა, ეს ნაკლოვანებები რომ აღმოვფხვრა.

— როგორ ფიქრობთ, გათამაშებთ ბოსკამპი ბერძენთა წინააღმდეგ?

— გადაწყვეტილი ამბავია. ძირითად შემადგენლობაში ვერ ვითამაშებ, მაგრამ იმედი მაქვს, შეცვლაზე შესვლა მომიწევს. ეს, ალბათ, იმაზეც იქნება დამოკიდებული, თუ როგორ განვითარდება მოედანზე მოვლენები, მაგრამ დიდად გული არც უთამაშებლობის შემთხვევაში დამწყდება, მე ხომ ჯერ ყველაფერი წინ მაქვს.

პაატა ძვანტალიანი

ოთარ ხიზანეიშვილი: აწი მე ვიცი!

— ოთარ, 18-წლამდელთა გუნდიდან ეროვნულ ნაკრებში მოხვედით — ეს დიდი ნახტომია. როგორ თვლით, ძალიან ძლიერი ხართ თუ თქვენი ამპლუის მოთამაშეების სიმცირემ გამოიწვია თქვენი ნაკრებში მიწვევა?

— საკუთარ სიძლიერეზე ლაპარაკი უხერხულია. ვიცოდი, ადრე თუ გვიან დადგებოდა დრო და პირველ ნაკრებში დამიძახებდნენ, მაგრამ ასე უცებ არ ველოდი. თუმცა სასიხარულოცაა, ასე ადრე რომ მივაღწიე ნაკრების წევრობას — აწი მე ვიცი და ჩემმა ფეხბურთელობამ. გარჯა არ მეზარება და ცდას არ დავაკლებ.

— ბოსკამპი ახალი კაცია ქართულ ფეხბურთში, მას განსხვავებული საფეხბურთო აზროვნება და სამწვრთნელო სტილი აქვს, მაგრამ კოპალეიშვილის შეგირდი ხართ და ძალიან ბევრითაც ვერ უნდა გაგაკვირვოთ ჰოლანდიელმა...

— მართალია, ვახტანგ კოპალეიშვილი ჩინებული მწვრთნელია და კარგადაც იცის თავისი საქმე. რაც შეეხება ბოსკამპს, მართლა კარგი სპეციალისტი ჩანს. კარგად ესმის ფეხბურთი, ვარჯიშების სისტემაც განსაკუთრებული და მაღალი დონის აქვს. სულ საათნახევარს ვვარჯიშობთ და აქედან ნახევარ საათს მაინც ტაქტიკას და თეორიულ მეცადინეობას უთმობს. ერთი სიტყვით, კმაყოფილი ვარ, რომ ასეთი დონის მწვრთნელთან მიწევს მუშაობა.

— ასეთ დროს წარსულს და ამაგდარ ხალხს იხსენიებენ...

— ფეხბურთის თამაში 35-ე სკოლაში დავიწყე გია ავსაჯანიშვილთან. მერე ოთარ შენგელიასთან მოვხვდი. ამჟამად „დინამო 2"-ის ფეხბურთელი ვარ.

— ოთარ, გელაპარაკებით და იმაზე ვფიქრობ, რომ ქართველ ფეხბურთელებს ხშირად შეეყრებათ ხოლმე „ვარსკვლავის ავადმყოფობა". ნუთუ თვრამეტი წლის ასაკში ეროვნული ნაკრების წევრობა არ შეგცვლით?

— ეს არ მოხდება. მე ფეხბურთელობა გადავწყვიტე და წარმატებებმა მხოლოდ კმაყოფილება უნდა მომანიჭოს. ვარსკვლავობისგანაც შორს ვარ და „ვარსკვლავური ავადმყოფობაც" ღმერთმა მაშოროს.

— რა დროს უთმობთ ფეხბურთს?

— დღეში ხამი საათს. ვიცი, ამასაც მკითხავთ და გეტყვით, ფეხბურთისგან თავისუფალ დროს ფილმებს ვუცქერ, ხანაც მეგობრებში, უბანში ვერთობი.

— თქვენი, როგორც ფეხბურთელის სიძლიერე-სისუსტეზე თუ გიფიქრიათ?

— პოზიციურ აზროვნებას მიქებენ. ფიზიკურადაც არა მიშავს. სხვა მხრივ, მარცხენა ფეხზე მმართებს მეტი მუშაობა და ტექნიკაც უნდა გავიუმჯობესო.

— თქვენ და ზურაბ ხიზანიშვილი რა ხანია, ერთად მოდიხართ. ალბათ, საუკეთესო პარტნიორადაც ხიზანა მიგაჩნიათ.

— ხიზანა და მე მართლა კარგად ვუგებთ ერთმანეთს. ნაკრებშიც, კლუბშიც.

— ოთარ, ბოსკამპმა, ძირითადში ითამაშებსო...

— გადაწყვეტილად ვერაფერს გეტყვით, მაგრამ, მგონი, მართლა მიპირებს მარჯვენა მცველად დაყენებას. მართალია, აქამდე სულ დაცვის ცენტრში ვთამაშობდი, მაგრამ ყველა ღონეს ვიხმარ და ისე ვითამაშებ, როგორც შემეძლება.

— მერე არ ნერვიულობთ? ცოტათი ხომ არ გეშინიათ?

— შიშით ნამდვილად არ მეშინია, ნერვიულობით კი, არ დაგიმალავთ, ნამდვილად ვნერვიულობ, ვიცი რას ნიშნავს პირველ ნაკრებში თამაში და ისიც ოფიციალურ მატჩში.

— მკითხველს ეგებ არც კი ახსოვს, რომ თავის დროზე ფრანკფურტის „აინტრახტის" სკოლაში მიგიწვიეს...

— ჰო, ასე იყო, მაგრამ „დინამომ" არ გამიშვა. სიმართლე გითხრათ, გასაგებიცაა გუნდის პოზიცია, მე ჯერ-რაც ძალიან ახალგაზრდა ვარ და ამ ასაკში ფეხბურთელებს ასე ადვილად არსად უშვებენ. ვნახოთ, დაველოდოთ მომავალს. დრო საკმაოდ მაქვს.

კონსტანტინე გოგიშვილი

კალაბრიადან თბილისამდე

შარშან ნოემბერში საქართველოს მინი-ფეხბურთის ნაკრებს ერთი ნაბიჯი დააკლდა ევროპის ჩემპიონატზე მოსახვედრად, ამის შემდეგ ჩვენში დარბაზის ფეხბურთისადმი ინტერესი ერთი ორად გაიზარდა. ერთი თვის წინ სულაც ქვეყნის ჩემპიონატი დაიწყო, საფუძველი ჩაეყარა ბავშვთა სექციების ჩამოყალიბებასაც... საქართველოს მინი-ფეხბურთის ეროვნული ნაკრები ყველა მეტოქისთვის ერთ-ერთ ანგარიშგასაწევ ძალად იქცა. ჩვენს ნაკრებს სხვადასხვა ტურნირებშიც იწვევენ, რამდენიმე ქართველი ფეხბურთელი კი უცხოეთის კლუბებშიც გამოდის. იქნებ, იტალიის ქალაქ რეჯო დი კალაბრიაში (სწორედ იქ ტარდებოდა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მატჩები) ჩვენს ნაკრებს უკეთესი შედეგის მიღწევაც შეეძლო, მაგრამ თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ჩვენს გუნდს ფაქტობრივად პირველად უწევდა ამგვარ დონეზე თამაში, მაშინ მათზე ძვირი ძნელად დაგცდება კაცს. ნაკრების მთავარ მწვრთნელთან ირაკლი ქავთარაძესთან ინტერვიუ სწორედ კალაბრიული ამბების გახსენებით დავიწყეთ.



ირაკლი ქავთარაძე

— იტალიაში წასვლის წინ საკმაოდ სრულფასოვანი შეკრება გავიარეთ ურეკში. თანაც ჩვენთან ფიზიკურ დარგში მწვრთნელად საკმაოდ ცნობილი სპეციალისტი მუშაობს. ვანო ლუცენკო, იგი თავის დროზე ცნობილ ხუთჭიდელ ვახტანგ იაგორაშვილს ამზადებდა და მისი წყალობით მთელი გუნდი ფიზიკური თვალსაზრისით საუცხოოდ იყო მომზადებული. როგორც იცით, ჩვენთან ერთად ქვეჯგუფში მასპინძლები — იტალიელები, ფრანგები და ბელარუსები ასპარეზობდნენ, მათზე თითქმის არანაირ ინფორმაციას არ ვფლობდით, თანაც კალაბრიაში ჩვენთვის ახალი წესებით მოგვიხდა თამაში. დარბაზის ფეხბურთს შედარებით მომცრო ზომის ბურთით თამაშობენ, თანაც ბორტიც არ გამოიყენება. ამას კი შეუჩვეველი ვიყავით. მიუხედავად ამისა, პირველი შეხვედრა კარგად ჩავატარეთ და ფრანგებს ვძლიეთ. მეორე დღეს უმთავრეს მატჩში მასპინძლებს დავუპირისპირდით. ამ მატჩში კი მართლაც დიდი სიურპრიზი მოგვიმზადეს. მაშინ, როცა ანგარიში 1:1 იყო, მთავარი მსაჯი ახლით შეცვალეს, მომხდარი კი ასე აგვიხსნეს — მსაჯს კუნთი დაეჭიმაო. ის თამაში 2:5 წავაგეთ. შემდეგ ბელარუსებს კი ვძლიეთ, მაგრამ მასპინძლებს ფრანგებთან შეხვედრაში ქულები აღარ დაუკარგავთ და ფინალურ ეტაპზეც ისინი გაემგზავრნენ.

— ამას წინათ ეროვნული ნაკრების გამგზავრება ესპანეთშიც მოხერხდა...

— ესპანელებმა ევროპის ჩემპიონატის დაწყების წინ სპარინგ-პარტნიორად მიგვიწვიეს. გეხსომებათ, მანამდე ირანელებს ვუმასპინძლეთ თბილისში და ორივე მატჩში დავამარცხეთ კიდეც. არადა, ირანელები საქართველოს აზიის ჩემპიონების რანგში ეწვივნენ და, როგორც იცით, ორივე მატჩში პირწმინდად დავჩაგრეთ. სხვათა შორის, ამის შემდეგ ირანელებმა ისევ მოიპოვეს აზიის ჩემპიონობა მინი-ფეხბურთში. ერთი სიტყვით, ირანელებთან მეორე ამხანაგური მატჩის დამთავრებისთანავე მოგვიწია მოსკოვს გაფრენა, იქიდან კი ესპანეთში, ქალაქ სალამანკაში ჩავფრინდით. ოთხი საათის შემდეგ მატჩი გველოდა ესპანეთის ნაკრებთან. წარმოგიდგენიათ, რა დღეშიც ვიქნებოდით. მასპინძლებს შეხვედრის გადადება ვთხოვეთ მეორე დღისთვის, მაგრამ უარი გვითხრეს და გადაჭედილი ტრიბუნების თვალწინ, პირველ ნახევარში ტოლი არ დავუდეთ მეტოქეს (ტაიმი 0:0 დასრულდა), მეორე ტაიმში კი მოსახდენი მოხდა და ჩვენს კარში 11 უპასუხო გოლი გავიდა. თავი მეორე დღეს დავიმშვიდეთ და ესპანეთის ნაკრების სამი ფეხბურთელით გაძლიერებული სალამანკას გუნდი 9:6 დავამარცხეთ. ფაქტობრივად, ნოემბრიდან მოყოლებული, საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა 7 შეხვედრიდან 5-ში გამარჯვება მოიპოვა და მხოლოდ ორჯერ დამარცხდა, ესპანელებთან და იტალიელებთან. ცნობისთვის, ეს გუნდები ევროპის ჩემპიონატზე შესაბამისად მეორე და მესამე ადგილებზე გავიდნენ.

— დიდი ხნის შესვენების შემდეგ საქართველოს მინი-ფეხბურთის ჩემპიონატის გამართვასაც მოება თავი.

— ეს საქმე ისევ და ისევ ეროვნული ნაკრების საკეთილდღეოდ გაკეთდა. მართალია, ჩემპიონატში ძალიან ცოტა, 5 გუნდი მონაწილეობს (ოთხი თბილისის და ერთი ზესტაფონის), მაგრამ მთავარი ის არის, რომ ეროვნული ნაკრების ფეხბურთელები, ლეგიონერების გარდა, ამ ხუთ გუნდში გადანაწილდა და მათ ცალკეული სათამაშო პრაქტიკის მიღების საშუალება მიეცათ.

— თუ არ ვცდები, საქართველოს ჩემპიონი ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებაში მიიღებს მონაწილეობას.

— გადაჭრით ვერაფერს გეტყვით. საამისოდ პრობლემა არ არსებობს. მთავარია, დაფინანსება იყოს. როდესაც საქართველოს ჩემპიონატი დასრულდება, ჩვენ ევროპის მინი-ფეხბურთის ასოციაციას ოფიციალურად ვაცნობებთ ამის შესახებ, გავუგზავნით ჩემპიონატის ამსახველ ვიდეომასალას და განაცხადსაც წარვუდგენთ ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებაში მონაწილეობის თაობაზე. დარწმუნებული ვარ, ისინიც ხალისით დაგვიშვებენ, მაგრამ საჭიროა გარკვეული თანხის გადახდა, შემდეგ გუნდის სრულფასოვანი შეკრებები, მგზავრობის ხარჯები. მოკლედ, ყველაფერი ისევ და ისევ ფინანსებს უკავშირდება.

— უცხოეთში ასეა, მინი-ფეხბურთის ასოციაციები თავიანთი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის დაქვემდებარებაში არიან და მათგან გარკვეულ დახმარებასაც იღებენ. თქვენთან რა ხდება ამ მხრივ?

— ფედერაცია არაერთხელ დაგვხმარებია. ხელი გაუმართია სპორტის დეპარტამენტსაც. სწორედ მათი შემწეობით მოხდა ჩვენი უცხოეთში გამგზავრება. წლეულსაც, როგორც იცით, სფფ უეფასგან გარკვეულ თანხას მიიღებს. აქედან 50 ათასი დოლარი მინი-ფეხბურთის ასოციაციის წილია. ამასთან დაკავშირებით ჩვენი ასოციაციის პრეზიდენტი, გურამ დურგლიშვილი სფფ-ს ხელმძღვანელობას შეხვდა და მათაც აღუთქვეს, რომ მინი-ფეხბურთის ასოციაცია კუთვნილ 50 ათას დოლარს დაუბრკოლებლად მიიღებდა.

— ვიცით, რომ ოქტომბერში თბილისში დიდი საერთაშორისო ტურნირის გამართვას აპირებთ.

— ამ მხრივ მართლაც სერიოზული მუშაობა მიმდინარეობს. გვინდა, მსოფლიოს წამყვანი ნაკრებების მონაწილეობით „პრეზიდენტის თასის" გათამაშება მოვაწყოთ. თბილისში დაგეგმილია იტალიის, ესპანეთის, რუსეთის, ხორვატიის, პორტუგალიის, აზერბაიჯანისა და ირანის ნაკრებების მონაწილეობა ტურნირის სიძლიერეს სოლიდური საერთაშორისო ფონდიც განაპირობებს. იმედია, ყველაფერი წარმატებით დავიგვირგვინდება.

— ნოემბერში კი მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი იწყება.

— ერთ თვეში გაირკვევა მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლის ვინაობა. საქართველოს ნაკრები საერთო ევროპულ რეიტინგში მეათე ადგილზე იმყოფება, ეს კი საშუალებას მოგვცემს, ქვეჯგუფში შედარებით სუსტი მეტოქეები გვერგოს. ერთიცაა, ჩვენი დიდი სურვილია, შესარჩევი ციკლის (ჩვენი ჯგუფის) მატჩები თბილისში გაიმართოს. ამით ფინალურ ეტაპზე მოხვედრის შანსებს ერთიორად მივიმატებთ.

— კი მაგრამ, ამ დონის ტურნირის მასპინძლობას ხომ შესაბამისი ორგანიზება სჭირდება.

— პირდაპირ გეტყვით, ამაში ძნელი არაფერია. საჭიროა ერთი რამ, თბილისში ჩამოვიტანოთ მინი-ფეხბურთის მოედნის სპეციალური, „ლერმო ფლექსის" საფარი, რომელიც საერთაშორისო ნორმებს პასუხობს და დაახლოებით 20 000 დოლარი ჯდება. პრობლემა ისევ ფინანსებშია. თუ ეს მხარე მოწესრიგდა, ვფიქრობ, მინი-ფეხბურთის ქართველ გულშემატკივარს დიდ ზეიმს ვაჩუქებთ.

— თქვენ ამავე დროს ქალაქის საკრებულოს წევრიც ხართ, ორ ადგილზე მუშაობას როგორ უთავსებთ ერთმანეთს?

— ზოდიაქოს ნიშნით ტყუპები ვარ და ერთბაშად ორ ადგილზე ყოფნა არასდროს გამჭირვებია, მაგრამ დღეს ვგრძნობ, რომ არჩევანის გაკეთება მომიწევს და შესაძლოა, ეროვნულ ნაკრებს სხვა მწვრთნელი ჩაუდგეს სათავეში. ყველაფერი სულ მალე გადაწყდება. გაგიმხელთ, გამორიცხული არ არის, ნაკრებში უცხოელი სპეციალისტის მოწვევაც. ჩვენი მიზანი საქართველოში მინი-ფეხბურთის აღორძინებაა და გარწმუნებთ, ამ საქმისთვის მონდომებას არ დავიშურებთ.

ბაატა ძვანტალიანი

კარგი დასაწყისი საქმის ნახევარია?

დღეს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ბერძენ თანატოლებს უმასპინძლებს. მატჩი თბილისში, „შევარდენის" სტადიონზე გაიმართება და 19 საათზე დაიწყება.

30 მაისს ქართველმა ახალგაზრდებმა გულშემატკივრებს სასიამოვნო სიურპრიზი შესთავაზეს. თბილისში ნორვეგიელებთან 0:3 დამარცხების შემდეგ სტუმრად ლილესტრიომში ფრედ — 0:0 დაასრულეს შეხვედრა. ნორვეგიაში მიღწეული შედეგი იმიტომაც იყო გასაკვირი, რომ იმ მატჩში მწვრთნელ მურთაზ ხურცილავასა და რამდენიმე ფეხბურთელის დებიუტი შედგა. „დინამოს" ექსმწვრთნელმა ნაკრებში მისვლისთანავე მისი გადახალისება გადაწყვიტა და ნორვეგიაში ექვსი ისეთი ფეხბურთელი ათამაშა (ქემოკლიძე, ხიზანეიშვილი, აბრამიძე, შაშიაშვილი, მელქაძე, გველესიანი), რომლებიც მანამდე ახალგაზრდულში საერთოდ არ ყოფილან მიწვეულნი.

ბადრი ჯეიოლაძის ფოტო

ჟემჩუჟინელი დავით ხმელიძე ახალგაზრდულ ნაკრებში დაბრუნდა

დღეს კი შესაძლოა კიდევ ერთი ფეხბურთელის დებიუტი შედგეს. ნაკრებში პირველად არის სოჭის „ჟემჩუჟინას" ქართველი მეკარე დავით ხმელიძე. შეგახსენებთ იგი ხურცილავამ ნორვეგიასთან მატჩის წინაც გამოიძახა, მაგრამ მაშინ ქართველთა ხელმძღვანელობა „ჟემჩუჟინას" მესვეურთა თხოვნას დაყაბულდა და მეკარეს რუსეთის ჩემპიონატის ერთ-ერთ მატჩში თამაშის უფლება მისცა. შეთანხმებისამებრ ხმელიძე დღევანდელი მატჩისთვის უნდა ჩამოსულიყო და სიტყვა შეასრულა. მწვრთნელები ტანმაღალი მეკარის მზადყოფნით კმაყოფილნი დარჩენილან, მაგრამ ნორვეგიაში ლომაიას კარგ თამაშს თუ გავითვალისწინებთ, საეჭვოა, ხმელიძე დღეს ძირითადში ვიხილოთ.

ბერძნებთან მატჩში ახალგაზრდულ ნაკრებს ეროვნულში მიწვეული ოთარ ხიზანეიშვილი დააკლდება, რომელიც ნორვეგიაში ერთ-ერთი საუკეთესო გახლდათ ჩვენს გუნდში. მის ნაცვლად ხურცილავას სხვა არავინ მიუწვევია. ისევ თავის განკარგულებაში მყოფთაგან მოძებნის მის შემცვლელს. ჩვენი ვარაუდით, იგი ან „დინამო 2"-ის წევრი ედიკ საჯაია იქნება, ანაც ვიტჯორჯიელი ჯაბა მუჯირი, რომელთაგან აქამდე არც ერთს უთამაშია ახალგაზრდულში.

სხვა მხრივ ნაკრებში ყველაფერი რიგზეა. ტრავმა არავის აწუხებს. ფეხბურთელებიც საბრძოლველად და მოსაგებად არიან განწყობილნი.

ჩვენც იმედი ვიქონიოთ, რომ ახალგაზრდები დღესაც სასიამოვნოდ გაგვაოცებენ.

ვანო ოჭროპირიძე

ბადრი ჯეიოლაძის ფოტო

ვასო და სოსო რამ გაყო: „დინამომ" გიგიაძეები ტყუპადვე დაიმატა

ახალი იბერიიდან ყოფილში

17 ივნისს, დილის 9 საათზე, დიღმის საწვრთნელ ბაზას ორი ახალწვეულიც შეემატება: „დინამოს" (ყოფილი „იბერიის") მაისურას ტყუპი გიგიაძეები — ვასო და სოსო მოირგებენ.

მოგეხსენებათ, თბილისის „დინამოს" წლევანდელ სეზონში ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება აქვს გულში ამოჭრილი და მისი მწვრთნელი იოჰან ბოსკამპი ამას მოწვეული ფეხბურთელების ხარჯზე აპირებს.

ტყუპი გიგიაძეები „დინამოში" განათხოვრებით ითამაშებენ, სამტრედიელთა პრეზიდენტი ნუგზარ ნიკოლაიშვილი ერთი შეხედვით კმაყოფილიცაა — ბიჭები „დინამოს" სკოლას გაივლიან და მეტად მოძლიერდებიანო.

ძლიერი გიგიაძეები „დინამოს" სიძლიერეა. საკითხავია, ახლანდელ „იბერიას" (სამტრედიისას) რა ეშველება უსოსოოდ და უვასოოდ.

ალბათ, დარჩება უსასოოდ.

კონსტანტინე გოგიშვილი

შვეიცარიის ჩემპიონი ჟენევის „სერვეტი“

კალიები სერვეტს ვერ გადაახტნენ

შვეიცარია

ფინალური ეტაპი

XIV ტური

ლოზანა 2:5 სერვეტი

1:0 სელესტინი (9), 1:1, 1:2 ვურენსი (13, 15), 1:3 პეტროვი (31პ), 2:3 პანტელიჩი (37), 2:4 ვურენსი (51), 2:5 პეტროვი (88)

ბაზელი 1:1 ლუცერნი

0:1 სკეფანოვიჩი (39), 1:1 კანტალუპი (60)

სენტ გალენი 1:3 ციურიხი

0:1 კასტილიო (17), 0:2, 0:3 ნიქსონი (18, 54), 1:3 გილი (64)

ციურიხი: შორუნმუ (ტრომბინი 65), პუბერი, ჰოდელი, კასტილიო, კუნცი, ტარონე (პალასი 83), ლიმა, იოდისე, დი ჯორიო, ნიქსონი, შასო (ბური 60)

გრასჰოპერი 5:0 ქსამაქსი

1:0, 2:0 ყაველაშვილი (20, 31), 3:0, 4:0 დე ნაპოლი (36, 55), 5:0 სერმეტერი (77)

გრასჰოპერი: ცუბერბიულერი, ჰაასი, მიულერი, სმილიანიჩი, ბერნერი, მანინი (ზანი 72), ფოგელი, მაგრო (სერმეტერი 60), კომიზეტი, დე ნაპოლი, ყაველაშვილი (იაკინი 58)

ციურიხის „გრასჰოპერის“ მცირე იმედი იმედად დარჩა. ოთხშაბათს შვეიცარიის ჩემპიონატის ბოლო ტურის გადამწყვეტ მატჩში „სერვეტმა“ სტუმრად მთავარი კონკურენტი „ლოზანა“ დაამარცხა და ქვეყნის ჩემპიონი გახდა.

ბოლო ტურის წინ გაჩემპიონების მეტ-ნაკლები შანსი სამ გუნდს „ლოზანას“, „სერვეტს“ და „გრასჰოპერს“ ჰქონდა. ფავორიტად მაინც „ლოზანა“ ითვლებოდა, რადგან მას მეტოქეებზე ქულით მეტი ჰქონდა და თან ერთ-ერთს მასპინძლობდა.

მიხეილ ყაველაშვილის „გრასჰოპერი“ იმ შემთხვევაში მოიპოვებდა ჩემპიონის ტიტულს, თუ თავად „ქსამაქსს“ მოუგებდა, ხოლო „ლოზანა“ — „სერვეტის“ მატჩი ფრედ დასრულდებოდა. მაგრამ ასე არ მოხდა.

ლოზანელებმა თამაში აქტიურად დაიწყეს და მე-9 წუთზე სელესტინის გოლით დაწინაურდნენ კიდეც, თუმცა ექვს წუთში უკვე 1:2 აგებდნენ. სტუმართაგან ორივე ბურთი ვურენსმა გაიტანა. მატჩის დაწყებიდან ნახევარი საათის შემდეგ თითქოს ყველაფერი გაირკვა — პეტროვის გოლმა „სერვეტი“ ორბურთიანი სხვაობით დააწინაურა, მაგრამ მალე პანტელიჩმა მასპინძლებს წარმატების იმედი ისევ ჩაუსახა.

მეორე ტაიმში „ლოზანამ“ გარისკა სამი თავდამსხმელით შეუტია. ამაოდ, მატჩის გადარჩენა ვერ შეძლო, ის კი არა, „სერვეტმა“ მეტოქის დაცვის მოშიშვლებით ისარგებლა და რამდენიმე მწვავე კონტრშეტევა განახორციელა, რომელთაგან ორი გამოიყენა კიდეც. ჯერ ვურენსმა შეასრულა ჰეთ-თრიქი, მატჩის ბოლოს კი პეტროვმა — დუბლი. ჟენეველებმაც 5:2 მოიგეს და დამსახურებულად მოიპოვეს ქვეყნის ჩემპიონის ტიტული, რომელიც გუნდისთვის 1994 წლის შემდეგ პირველი, საერთოდ კი მეჩვიდმეტე გახლდათ.

„დღეს თავიდან შემტევ ფეხბურთზე გავამახვილეთ ყურადღება, რაც ჩვენი მხრიდან დიდი რისკი იყო. საბედნიეროდ, გაგვიმართლა და ღირსეულად გავხდით ჩემპიონები. ჩვენმა ჟინმა და მონდომებამ თავისი გააკეთა. ასეთი მნიშვნელოვანი თამაშის წინ ძალების მოკრება შევძელით და წარმატებასაც მივაღწიეთ. ამისათვის მთელ გუნდს უდიდეს მადლობას ვუხდი — განაცხადა „სერვეტის“ მთავარმა მწვრთნელმა ჯერარდ კასტელამ.

„სერვეტის“ გამარჯვებამ მთელი შრომა წყალში გადაუყარა მიხეილ ყაველაშვილს და მის „გრასჰოპერს“, რომელმაც შინ, იმის იმედით, ეგებ კონკურენტებს ფეხი დაუცდეთო, „ქსამაქსი“ არ დაინდო.

ჩინებულად ითამაშა მიხეილ ყაველაშვილმა. საქართველოს ეროვნული ნაკრების ოსლოში თავგამოუჩენელი ფეხბურთელი „გრასჰოპერის“ ამ გამარჯვების მთავარი სულისჩამდგმელი გახდა. მე-20 წუთზე მიშამ თანაგუნდელი დე ნაპოლის კარგი თამაში ზუსტი დარტყმით დააგვირგვინა. მალე ყაველაშვილმა მეორე გოლიც გაიტანა, რასაც დე ნაპოლიმ და სერმეტერმა კიდევ სამი მიუმატეს და „ქსამაქსიც“ 0:5 განადგურდა. ჩვენებურს ჰეთ-თრიკის შესრულებაც შეეძლო, მაგრამ სახიფათოდ დარტყმული ბურთი მეკარემ აუღო. 58-ე წუთზე კი, როცა ყველაფერი გარკვეული გახლდათ, ყაველაშვილი მწვრთნელმა იაკინით შეცვალა.

„სამწუხაროა, რომ საბოლოო წარმატება მარტო შენზე არ არის დამოკიდებული. ფინალურ ეტაპზე ჩინებულად ვითამაშეთ და „სერვეტს“ აშკარად ვაჯობეთ, თუმცა თავიდან რამდენიმე წაფორხილებამ ჩემპიონად იგი აქცია“ — მისტიროდა შემოდგომაზე დაკარგულ ქულებს „კალიების“ თავკაცი როჯერ ჰეჯი.

შეგახსენებთ, „სერვეტმა „გრასჰოპერს“ სწორედ პირველ ეტაპზე მოგროვილი მეტი ქულის წყალობით აჯობა, რასაც შვეიცარიაში ბურთებზე და მოგებაზე მეტი მნიშვნელობა ენიჭება.

ასე რომ, „გრასჰოპერის“ 26-ედ, ხოლო ყაველაშვილის მეორედ გაჩემპიონება, მინიმუმ ერთი წლით გადაიდო.

გოჩა ჯამარაულის „ციურიხი“ კი საბოლოოდ მეოთხე ადგილს დასჯერდა. აუტსაიდერ „სენტ გალენთან“ გასვლითი მატჩის შედეგს სტუმართათვის არანაირი აზრი არ ჰქონდა, მაგრამ ციურიხელებმა თავი არ დაზოგეს და უჯამარაულოდ 3:1 გაიმარჯვეს.

ახლა „კალიებთან“ და „ლოზანასთან“ ერთად უეფას თასზე ითამაშებენ. არადა, ციურიხელებს ფინალური ეტაპი ისევე რომ დაეწყოთ, როგორც დაასრულეს, ვინ გახდებოდა შვეიცარიის ჩემპიონი, საკითხავი იქნებოდა.

ვანო ოძროპირიძე

საბოლოო ცხრილი

სერვეტი	14	7	3	4	19:14	46
გრასჰოპერი	14	8	3	3	31:11	46
ლოზანა	14	8	2	4	28:20	45
ციურიხი	14	7	2	5	24:15	42
ბაზელი	14	5	4	5	18:19	33
ქსამაქსი	14	2	6	6	12:27	28
ლუცერნი	14	4	2	8	13:27	28
სენტ გალენი	14	2	4	8	13:25	24

სად გაიმართება მსოფლიოს ჩემპიონატი?

ფიფა ორშაბათს დაასახელებს ქვეყანას, სადაც კლუბებს შორის პირველი მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართება. მსოფლიოს ფეხბურთის მმართველები ეგვიპტეში, ქაიროში შეიკრიბებიან და ამ საკითხსაც იქ გადაწყვეტენ.

ამ წუთისთვის, ახალი, საკმაოდ საინტერესო ტურნირის მასპინძლობის სამი რეალური კანდიდატია: მექსიკა, ურუგვაი და საუდის არაბეთი. თუმცა ბრაზილიას, აშშ-ს, პარაგვაის და ტაიტისაც აქვთ რაღაც შანსები.

მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი 2000 წლის 5-14 იანვარს გაიმართება და მასში რვა გუნდი მიიღებს მონაწილეობას — თითო ფიფას ექვსი კონფედერაციიდან, ერთი მასპინძელი ქვეყნის წარმომადგენელი და ერთიც საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელი. ამ „ეკონომიკურ“ ვიმაოს წლეულს, ნოემბერში, ტოკიოში გაიკვეთა. ფინალში ერთმანეთს ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული „მანჩესტერ იუნაიტედი“ და ლიბერტადორესის თასის მფლობელი, ბრაზილიური „პალმეირასი“ ან კოლუმბიური „დეპორტივო კალი“ შეხვდებიან.

მანჩესტერმა შმაიხელის შემცვლელი მოძებნა

„ასტონ ვილას“ ავსტრალიელ მეკარე მარკ ბოზნიჩს მომავალ სეზონში „მანჩესტერ იუნაიტედის“ რიგებში ვიხილავთ.

ეს ფაქტი გუშინ საღამოს მანჩესტერელთა წარმომადგენელმა — მარტინ ედვარდსმა დაადასტურა. მანვე აღნიშნა, რომ ბოზნიჩმა „იუნაიტედთან“ ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. რამდენს მიიღებს იგი გასამრჯელოდ, ცნობილი არ არის. ერთი რამ კი უდავოა, მანჩესტერელები მეკარეში არაფერს გადაიხდიან, რადგან ავსტრალიელს ბირმინგემულ კლუბთან კონტრაქტის ვადა გაუვიდა და ბოსმანის წესის თანახმად, იგი თავისუფალი აგენტია.

— თავს უბედნიერეს ადამიანად ვთვლი, მე ხომ ევროპის უძლიერესი კლუბის წევრი გავხდი. განსაკუთრებით კი ის მახარებს, რომ კვლავ ჩემი მეგობრის, დუაიტ იორკის თანაგუნდელი ვარ — განაცხადა ოკეანიის საუკეთესო მოთამაშემ.

აღსანიშნავია, რომ ავსტრალიელს ტრავმების გამო გასულ სეზონში ოთხი თვე გაუცდა. ამიტომაც ტრანსფერის განხორციელებაში მეკარის ჯანმრთელობას დიდი როლი ენიჭებოდა. მან ტესტირება გაიარა და, მისდა სასიხარულოდ, ჯანმრთელი აღმოჩნდა.

იმ დროს, როცა აწ უკვე „ვილას“ ყოფილი მეკარე მანჩესტერში გადასვლის პერიპეტიებით იყო დაკავებული, ბირმინგემული კლუბის წარმომადგენელმა, დოგ ელისმა, იგი გაკიცხა და მის საქციელს უღირსი უწოდა.

— ერთ დღეს ეს უნდა მომხდარიყო. ოდესღაც დავტოვებდი „ვილა პარკს“. მე ყოველთვის მეყვარება „ასტონ ვილა“, იქ ხომ რვა დაუვიწყარი სეზონი გავატარე, მაგრამ უკვე ყველაფერი გადავწყვიტე და არაფრის შეცვლა შეშიძლია — გულწრფელად განაცხადა ავსტრალიელმა მეკარემ.

შეგახსენებთ, რომ მარკ ბოზნიჩი წარსულში უკვე ირიცხებოდა მანჩესტერელთა შემადგენლობაში, სადაც მან 1989-91 წლებში სამი მატჩი ჩაატარა. ამის შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა. 1992 წელს კი ინგლისელ ქალზე დაქორწინდა და კვლავ ნისლიან ალბიონს მიაშურა, ოღონდ არა მანჩესტერს, არამედ ბირმინგემს.

კოტა ჩკადუა



REUTERS მანჩესტერიდან

მარკ ბოზნიჩი

ლიბერტადორესის თასის ფინალი. პირველი მატჩი

COPA TOYOTA LIBERTADORES

ძალიან დაძაბული მატჩი იყო. მსაჯმა ხუთი მოთამაშე გააფრთხილა, თამაში წესების დარღვევის გამო 49-ჯერ შეჩერდა, თანამსაჯს თავში ტრიბუნიდან ნასროლი საგანი მოხვდა, შეხვედრის დასრულების შემდეგ კი „პალმეირასის“ ფეხბურთელები გასახდელში პოლიციის საგანგებო რაზმმა გააცილა.

„დეპორტივო კალის“ ბომბარდირის, ვიქტორ ბონილიას ერთადერთი გოლის წყალობით კოლუმბიელებმა ლიბერტადორესის თასის გათამაშებაში შინ მეშვიდედ მოიგეს, თუმცა მშვიდად ნაღდად ვერ იქნებიან, ვინაიდან სტუმრად საშინლად თამაშობენ (ბოლო 6 საგარეო მატჩიდან ხუთში დამარცხდნენ).

„პალმეირასისთვის“ კი ეს ბოლო რვა დღეში მე-4 მატჩი გახლდათ, რადგან გუნდი ამ ტურნირის გარდა ბრაზილიის თასზე და პაულისტას (სან პაულუს შტატი) ჩემიონატზეც გამოდის.

თავიდან მასპინძლები აქტიურობდნენ. ბონილიას თავურით გატანილ გოლამდე მათ მეტოქის კართან სამი სახიფათო მომენტი შექმნეს. მეორე ტაიმში ბრაზილიელთა მწვრთნელმა ლუის ფილიპე სკოლარიმ, რომლის თავკაცობითაც ოთხი წლის წინ „გრემიომ“ ლიბერტადორესის თასი დაიპყრო, მოედანზე ვეტერანი ფორვარდი ევაირი შეუშვა, რამაც „პალმეირასი“ გამოაცოცხლა. 47-ე წუთზე ნახევარმცველ ალექსს „კალის“ მეკარე დუდამელმა აუღო სასწაულად რთული ბურთი, მერე ევაირსაც გაუცუდდა ხელსაყრელი ეპიზოდი, რამდენიმე წუთში კი პარაგვაელი ფრანსისკო არსეს დარტყმული ბურთი კოლუმბიელთა კარის ხარიხას მოხვდა. „დეპორტივო კალის“ ანგარიშის გაზრდა ბოლო წუთებზე შეეძლო, მაგრამ კარლოს კასტილიოს ძლიერად დარტყმული ძელმა მოიგერია.

დეპორტივო კალი (კოლუმბია) 1:0 პალმეირასი (ბრაზილია)

1:0 ბონილია (42)

დეპორტივო კალი: დუდამელი, პერესი, იეპესი, მოსკერა, ბედოია, საპატა, ვივეროსი, კანდელო, კორდობა, კასტილიო, ბონილია (მარერო 75)

პალმეირასი: მარკოსი, არსე, ჟუნიორ ბაიანო, როკე ჟუნიორი, ჟუნიორი, როჯერიო, სეზარ სამპაიო, ალექსი (ელერი 72), ზინიო, პაულო ნუნეში, ოსეაში (ევაირი 46, გალეანო 84)

მსაჯი: მარიო სანჩესი (ჩილე)

საპასუხო მატჩი ორ კვირაში, 16 ივნისს გაიმართება ბრაზილიაში. „კალი“, რომელიც 21 წლის წინ იყო ლიბერტადორესის თასის ფინალში, შეეცდება, გახდეს მეორე კოლუმბიური გუნდი „ატლეტიკო ნასიონალის“ შემდეგ, ამ ტურნირზე რომ გაუმარჯვია.

რაც შეეხება „პალმეირასს“, გუნდი ორჯერ გავიდა ლიბერტადორესის ფინალში და ორჯერვე დამარცხდა.

REUTERS კალიდან

მასპინძელი კარლოს კასტილიო ბრაზილიელი ჟუნიორის (№3) მოტყუებას ცდილობს

იგი წავა და სხვა მოვა

ლონდონის „უიმბლდონს“ გაისად ნორვეგიის ეროვნული ნაკრების ყოფილი მწვრთნელი ეგილ ოლსენი უთავკაცებს, განაცხადა კლუბის ერთ-ერთმა მფლობელმა სემ ჰამანმა.

რაც შეეხება ლონდონური გუნდის აწ უკვე ყოფილ მწვრთნელ ჯო კინერს, ის თვითონ გადადგა დაკავებული თანამდებობიდან, რადგან ჩათვალა, რომ კლუბში თავისი შესაძლებლობები ამოწურა.

— ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვარ და მიუხედავად ჩემი ავადმყოფობისა, ბევრის გაკეთება შემიძლია. სიამოვნებით ვცდიდი ძალას სხვა გუნდში — თქვა 52 წლის კინერმა, რომელსაც გული აწუხებს. სწორედ ეს იყო იმის მიზეზი, რომ მან კლუბს 3 მარტის შემდეგ (მაშინ „უიმბლდონი“ „შეფილდ უენსდეის“ ხვდებოდა) ჩატარებულ თერთმეტ მატჩში ვერ უხელმძღვანელა.

ეგილ ოლსენი ამჟამად ნორვეგიულ „ვალერენგას“ წვრთნის, რომელიც თასების მფლობელთა თასის წლევანდელი გათამაშების მეოთხედფინალში გაიყვანა. იქ კი ნორვეგიელებმა ლონდონურ „ჩელსისთან“ დათმეს ორრაუნდიანი ბრძოლა 2:6.

ოლსენის სამწვრთნელო მოღვაწეობიდან ყურადღებას კიდევ ის იმსახურებს, რომ მისი თავკაცობით ნორვეგიის ეროვნული გუნდი 1994 და 1998 წლების მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვდა.

— ჩემი კარიერის განმავლობაში, ყოველთვის ვოცნებობდი, ორი გუნდი გამეწვრთნა. პირველი ბრაზილიის ეროვნული ნაკრებია, ხოლო მეორე — „უიმბლდონი“ — განაცხადა ნორვეგიელმა მწვრთნელმა.

სავარაუდოდ, 57 წლის ეგილ ოლსენი კონტრაქტს ამ დღეებში მოაწერს ხელს, „სელჰორსტ პარკს“ კი ივლისში ეწვევა.



ეგილ ოლსენი

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ „უიმბლდონის“ აქციათა საკონტროლო პაკეტი ნორვეგიელ მულტიმილიონერებს — კიელ ენგე როკეს და ბიორნ რუნე გიელსტენს ეკუთვნით. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც 1997 წელს სკანდინავიელმა ბიზნესმენებმა ლონდონური გუნდის აქციათა 80 პროცენტში 19 მილიონი გირვანქა გადაიხადეს.

ბოკა ბაკადუა

ჩემპიონი ჩემპიონში

ოსვალდო არდილესი, 1978 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, მომავალ ოთხ სეზონის განმავლობაში ხორვატიის ჩემპიონ ზაგრების „კროაციას“ გაწვრთნის.

— მართალია, კონტრაქტზე ჯერ ხელი არ მოგვიწერია, მაგრამ მისტერ არდილესთან ყველაფერზე შეთანხმებულები ვართ — უმბობს „კროაციის“ „ცრუსადი“ ვანი გორან ბრადიჩი.

წარსულში ლონდონის „ტოტენჰემ ჰოთსფურში“ მოასპარეზე შესანიშნავ არგენტინელ ნახევარმცველს ზაგრებული კლუბის გაწვრთნაში მარიან ვლაკი დაეხმარება, „კროაციის“ ყოფილი მოთამაშე და მწვრთნელი. ხორვატული გაზეთის, „ფუტარნი ლისტის“ ცნობით, არდილესი ორი წლის განმავლობაში 529 ათას დოლარს მიიღებს.

სავარაუდოდ, არგენტინელი გუნდში მუშაობას მომავალი კვირიდან შეუდგება. ბრადიჩის თქმით, მას არდილესთან შემადგენლობის გაძლიერების თაობაზე საფუძვლიანად ჯერ არ უსაუბრია, მაგრამ:

— ერთი კარგი თავდამსხმელი, სულ ეს არის, რაც ამ წუთისთვის გუნდს აკლია — თქვა ბრადიჩმა.

პრესაში უკვე დასახელდა ამ „ერთი კარგი თავდამსხმელის“ შესაძლო ვინაობა — მარტინ ფაბუსი, სლოვაკური „ტრენციანის“ ფორვარდი და ამ ქვეყნის ჩემპიონატის საუკეთესო მეგოლე.

ინტერი ვიერით დაინტერესდა

„ინტერის“ პრეზიდენტმა მასიმო მორატიმ ოთხშაბათს განაცხადა, რომ მოხარული იქნება, თუ მომავალ სეზონში მილანური კლუბის თავდასხმას კრისტიან ვიერი გააძლიერებს.

ეს განცხადება საფუძველმოკლებული ნამდვილად არ გახლავთ. უკვე რამდენიმე დღეა, „ინტერის“ სელექციონერები იტალიელი სუპერფორვარდის გადაბირებას ცდილობენ.

ავსტრალიური წარმოშობის კრისტიან ვიერი იტალიის ყველა დროის უძვირფასესი მოთამაშე გახდა მას შემდეგ, რაც 1998 წლის ზაფხულში რომის „ლაციომ“ მასში მადრიდის „ატლეტიკოს“ 30 მილიონი აშშ დოლარი გადაუხადა. რომაელებს ფული ტყუილად არ გადაუყრიათ — მათ სეზონი წარმატებით ჩაატარეს, რაშიც ვიერიმ ლომის წილი დაიდო.

„ლაციოს“ საუკეთესო ბომბარდირი ამავე დროს აპენინელთა ეროვნული გუნდის გოლეადორიცაა. ალბათ, გახსოვთ, რომ 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე იტალიელთაგან ყველაზე მეტი, 5 გოლი სწორედ მან გაიტანა.

თავად ვიერი არაფერს ამბობს მოსალოდნელი ტრანსფერის შესახებ. ერთი რამ ცხადია, რომ იგი „ლაციოს“ პრეზიდენტ სერჟიო კრანიოტის საქციელით უკმაყოფილოა, რომელიც თავიდან ცენტრფორვარდის გაყიდვას უარობდა, რამდენიმე დღეში კი ეს აზრი შეიცვალა.

— კრანიოტის ვერაფერი გავიგე. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს ჩემს ბედს სხვები განაგებენ, იმასაც კი არ მეკითხებიან, მინდა თუ არა „ლაციოში“ დარჩენა — განაცხადა კრისტიან ვიერიმ.

ასე რომ, იქნებ მომავალ სეზონში რონალდო — ვიერის ტანდემი ვიხილოთ. ამას თუ დავუმატებთ, რომ მილანურ კლუბს „ვენეციაში“ ერთი სეზონით განათხოვრებული, ამჟამად დიდებულ ფორმაში მყოფი ურუგვაელი ალვარო რეკობაც დაუბრუნდა, ადვილი წარმოსადგენია, რამდენად გაურთულდება მეტოქე გუნდებს „ინტერის“ შეტევათა გაუვნებლება.

კრისტიან ვიერი

ევროკავშირი კვლავ უეფას წინააღმდეგაა

უეფა ევროკავშირს განმარტებას სთხოვს: რა ბედი უნდა ეწიოთ იუგოსლავიურ გუნდებს მომავალში? ეს კითხვა ევრო 2000-ის შესარჩევი შეხვედრის, ირლანდია — იუგოსლავიის გარშემო ატეხილი აურზაურის პირმშოა. აი, რას წერდა გუშინდელ განცხადებაში ევროპული ფეხბურთის მმართველი ორგანიზაცია:

„ვინაიდან ირლანდიის ხელისუფლებამ გადაწყვიტა იუგოსლავიის გუნდის წევრებს ქვეყანაში შესასვლელი ვიზები არ მისცეს, დუბლინში დანიშნული შესარჩევი მატჩი, წინასწარ დათქმულ დღეს ვერ ჩატარდება. თუ გავითვალისწინებთ, რომ იუგოსლავიურ გუნდებს მომავალშიც მართებთ თამაში, უეფა ევროკავშირის ხელმძღვანელობას თხოვს ნათლად გამოხატოს თავისი პოზიცია და დააზუსტოს, აქვს თუ არა კავშირი ირლანდიის მთავრობის გადაწყვეტილებას ევროკავშირის მთელ ტერიტორიასთან.“

მოგეხსენებათ, „საშინაო“ თამაი. მალტის ნაკრების წინააღმდეგ, მომავალ ოთხშაბათს, იუგოსლავიელებს საბერძნეთის ქალაქ სალონიკში უნდა ჩაეტარებინათ.

უეფამ განაცხადა აგრეთვე, რომ დუბლინის მატჩის გადადების საქმე მომავალში გაირჩევა, თუმცა ირლანდიის ფეხბურთის ასოციაციის აღმასრულებელი შეფის თქმით, მისი ქვეყნის რაიმე ფორმით დასჯა ყოვლად დაუშვებელია.

„მკაცრად ვაცხადებთ, რომ ასეთ ვითარებაში სასჯელზე ლაპარაკი უმიზეზო და უსამართლოა. გადადებული თამაში კი დუბლინშივე უნდა ჩატარდეს, ოღონდ, ხელახლა დადგენილ დღეს“ — უთხრა ბრენდენ ობრაინმა ირლანდიის რადიოს და დასძინა — „ისინი სულაც არ მალავდნენ, რომ ამ მატჩის გამართვა სურდათ და ამიტომაც, ბევრის აზრით, ჩვენ მომგებიან მდგომარეობაში ვართ.“

ფეხბურთის რუკასთან

არგენტინის ჩემპიონატის მე-16 ტურის შეხვედრები გაიმართა ოთხშაბათს და ასე დასრულდა: ბოკა ხუნიორსი — როსარიო სენტრალი 1:0, ნიუელს ოლდ ბოისი — რივერ პლეიტი 3:1, პლატენსე — კოლონი 1:0, ხიმნასია ხუხუი — ინდეპენდიენტე 3:1, უნიონი — არგენტინოს ხუნიორსი 1:4, ხიმნასია ლა პლატა — ტალერესი 1:1, ურაკანი — სან ლორენსო 1:1, ბელგრანო — ესტუდიანტესი 0:0, ფერო კარილი — ლანუსი 1:0. ჩემპიონატს 40 ქულით ერთპიროვნულად ლიდერობს „ბოკა ხუნიორსი“. მეორე ადგილზე მყოფ „რივერ პლეიტს“ 33 ქულა აქვს. მესამეზეა „სან ლორენსო“ 31 ქულით. „ბოკა ხუნიორსმა“ „როსარიო სენტრალთან“ მოგებით არგენტინის ჩემპიონატის რეკორდი დაამყარა — გუნდი აგერ უკვე 40 თამაშია, არ დამარცხებულა. აქამდე საუკეთესო მიღწევა 1966 წლის „რასინგ კლუბს“ ეკუთვნოდა და 39 წაუგებელი თამაშისგან შედგებოდა. თუ „ბოკა ხუნიორსმა“ კლაუსურას ჩემპიონატში დარჩენილი სამი თამაშიდან ერთი მოიგო, ტიტულს შეწვდება და წლევანდელ სეზონში დუბლს შეასრულებს. მათ წლეულს უკვე მოიგეს აპერტურას ჩემპიონატი.

ბრაზილიის თასის ნახევარფინალის საპასუხო შეხვედრაში „ინტერნასიონალმა“ „ჟუვენტუდეს“ უმასპინძლა და 4:0 დამარცხდა. ორი მატჩის ჯამში „ჟუვენტუდემ“ 4:0 მოიგო და ფინალში გავიდა.

ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის განცხადებით, ოქტომბერში დაგეგმილი ამხანაგური მატჩი ინგლისი-ბელგია სანდერლენდის სინათლის სტადიონზე გაიმართება. შეხვედრა 10 ოქტომბრისთვისაა დაგეგმილი.

ჰოლანდიელი ნახევარმცველის ჯორჯ ბოატენგის სანაცვლოდ ინგლისის პრემიერლიგის კლუბის „ქოვენთრის“ თავმჯდომარემ ბრაიან რიჩარდსონმა 7,5 მილიონი დოლარი მოითხოვა. თავის დროზე „ქოვენთრომ“ ბოატენგი როტერდამის „ფეიენოორდიდან“ 250 გირვანქად შეიძინა. ჰოლანდიის ახალგაზრდული ნაკრების კაპიტნით ბირმინგემის „ასტონ ვილა“ და „ლივერპული“ არიან დაინტერესებულნი.

საფრანგეთის ნაკრებს რუსეთთან მოახლოებული ევროპის ჩემპიონატის წინ პრობლემები შეექმნა — სათუოა მეკარე სტეფან პორატოს მატჩში მონაწილეობა. „მარსელის“ გოლეიპერმა ვარჯიშზე კოჭი დაიშავა. მსოფლიოს ჩემპიონთა მწვრთნელმა როჟე ლემერმა შესაძლოა, „ბორდოს“ მეკარე ულრიხ რამე ანაც „მეცის“ კარის დარაჯი ლიონეო ლეტისი გამოიძახოს.

რუსული კლუბის ელისტას „ურალანის“ წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ცუდი შედეგების გამო კლუბის მწვრთნელი, პაველ იაკოვენკო თანამდებობიდან განთავისუფლებულია. 35 წლის იაკოვენკო თავის დროზე კიევის „დინამოში“ თამაშობდა. მას 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზეც უთამაშია.

არგენტინელი თავდამსხმელი პაბლო კალანდრია, რომელიც „ურაკანის“ ღირსებას იცავს, შესაძლოა, მარსელის „ოლიმპიკში“ გადავიდეს. 17 წლის კალანდრიას სანაცვლოდ უეფას თასის ფინალისტი ორ მილიონ დოლარს იხდის.

ფრანგმა ნახევარმცველმა სებასტიენ პიოსელმა „ნანტთან“ კონტრაქტი გაახანგრძლივა. კლუბის პრეზიდენტის, კლებერ ბობინის თქმით, 20 წლის ფეხბურთელთან გაფორმებული ახალი ხელშეკრულება 2003 წლამდე დარჩება ძალაში. პიოსელმა წლევანდელ სეზონში „ნანტის“ შემადგენლობაში 24 მატჩი ჩაატარა.

იტალიის „იუვენტუსიდან“ საფრანგეთის 1998 წლის ჩემპიონმა „ლანსმა“ ნახევარმცველი ჟოსელინ ბლანშარი შეიძინა. იტალიური კლუბის თქმით, ფეხბურთელის სანაცვლოდ მათ 7,1 მილიონი დოლარი მიიღეს. კარლო ანჩელოტიმ, „იუვენტუსის“ მწვრთნელმა, განაცხადა, რომ ბლანშარი მის სამომავლო გეგმებში არ შედიოდა.

იაპონიაში მიმდინარე კირინის თასის შეხვედრაში მასპინძელთა და ბელგიელთა თამაში დამთავრდა 0:0. ტურნირის უკანასკნელი მატჩი 6 ივნისს გაიმართება იოკოჰამაში და იაპონია პერუს უმასპინძლებს.

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია **საქტელეკომ პლუსი**
☎ 99 67 67, 98 30 20

ბრაზილია ურონალდოოდ



რიო დე ჟანეიროდან ბრაზილიური ფეხბურთის ქომაგთა მრავალრიცხოვანი არმიისთვის სამწუხარო ცნობა გავრცელდა. როგორც იცით, მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონები 5 და 8 ივნისს ორჯერ შეხვდებიან ჰოლანდიის ეროვნულ გუნდს ამხანაგურ მატჩებში. ჰოდა, შესაძლოა ამ შეხვედრაში ვერ ითამაშოს რონალდომ, რომელსაც თურმე მარჯვენა ფეხის კუნთი აქვს დაშავებული.

რონალდოს ტრავმა 23 მაისს „უდინეზესთან“ თამაშისას მიუღია, ოთხ დღეში კი უეფას თასზე გასასვლელ პლეი ოფში „ბოლონიასთანაც“ გავიდა მოედანზე, ტრავმა გაიმიზეზა და შესაცვლელიც შეიქნა. ფორვარდმა ნაკრების უფროსობას მილანში მიღებული სამედიცინო ცნობა წარუდგინა, სადაც დადასტურებულია, რომ ტრავმა სერიოზულია.

სუპერვარსკვლავის ჯანმრთელობა ბრაზილიელთა ექიმმა ჟოზე რუიშ რუნკომაც შეამოწმა და განაცხადა, რომ რონალდოს ახლა მკურნალობის საგანგებო კურსი უნდა ჩაუტარდეს, რის შემდეგაც ფორვარდი მზად იქნება სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატზე (კოპა ამერიკა) საასპარეზოდ. ეს ტურნირი 29 ივნისს პარაგვაიში დაიწყება.

ბრაზილია-ჰოლანდიის მეტად საინტერეო ამხანაგური მატჩები 5 ივნისს რიოში და სამი დღის მერე გოიანაში გაიმართება.

გაბრიელ ბატისტუტას აწყენინეს

გაბრიელ ბატისტუტას თქმით, მას არ აქვს იმედი, რომ არგენტინის ნაკრების ხელმძღვანელობა შემადგენლობაში შეიყვანს და სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატზე (კოპა ამერიკა) ათამაშებს. ეს ტურნირი 29 ივნისს დაიწყება პარაგვაიში და 18 ივლისამდე გასტანს.

იტალიური „ფიორენტინას“ სუპერფორვარდმა საკაბელო ტელევიზია TN-თან საუბრისას აღნიშნა, რომ ეროვნული გუნდის თავკაცმა მარსელო ბიელსამ იგი კოპა ამერიკისთვის მოსამზადებელ ტურნეზე არ გამოიძახა (არგენტინელები მექსიკის და აშშ-ს ნაკრებებს შეხვდებიან ამხანაგურ მატჩებში), რაც ფაქტობრივად მის გუნდიდან მოკვეთას ნიშნავს.

— თუ ვინმეს ჰგონია, რომ ბიელსა ტურნეს შემდეგ გამომიძახებს, ძალიან ცდება. ყოველ შემთხვევაში, მე მგონია, წონამომატებული და ფორმიდან ამოვარდნილი ფეხბურთელი არავის სჭირდება. ერთი სატყვით, დარწმუნებული ვარ, რომ პარაგვაიში ნაკრებს ველარ გავყვები და ამიტომ კოპა ამერიკას ტელევიზორში საყურებლად ვარ განწირული. რაღა დამრჩენია, ტელევიზორთან ჯდომა და ბიჭების ქომაგობა — ამბობს ნაღვლიანი ბატიგოლი.

მარსელო ბიელსამ კი დიდი ბატისტუტას ნაცვლად წინასატურნირო შეკრებაზე „ველეს სარსფილდის“ ფორვარდი ფერნანდო პანდოლფი და „ფეიენოორდის“ თავდამსხმელი ხულიო კრუზი გამოიძახა.

ბატისტუტას (№9) კოპა ამერიკაზე თამაში საეჭვოა

REUTERS

მათეუსი, რემერი, იერემისი და მათი დამრიგებელი ერიხ რიბეკი მოლდოველებთან სათამაშოდ ემზადებიან

საკვანძო ტურები

უახლოეს ერთ კვირაში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ორი უმნიშვნელოვანესი ტური გაიმართება. დღეს გთავაზობთ ამ მატჩების კალენდარს, ნაკრებების ამჟამინდელ სატურნირო მდგომარეობას და მათ ფინალურ ეტაპზე მოხვედრის პერსპექტივას

I ჯგუფი

5 ივნისი დანია — ბელარუსი
5 ივნისი იტალია — უელსი
9 ივნისი უელსი — დანია
9 ივნისი შვეიცარია — იტალია

იტალია	4	3	1	0	7:2	10
შვეიცარია	4	2	1	1	4:3	7
უელსი	4	2	0	2	5:7	6
დანია	4	0	2	2	3:5	2
ბელარუსი	4	0	2	2	3:5	2

ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალისტი იტალია ჯგუფის ფავორიტად ითვლება და სამართლიანადაც. „სკუადრა აძურას" ჯგუფიდან გასვლა არ უნდა გაუჭირდეს. რაც შეეხება შვეიცარიასა და დანიას, მათ შორის დიდი ბრძოლაა მოსალოდნელი. ევროპის 1992 წლის ჩემპიონი დანია, ჯერ კიდევ არ არის ჩამოსაწერი.

II ჯგუფი

5 ივნისი ალბანეთი — ნორვეგია
5 ივნისი საქართველო — საბერძნეთი
5 ივნისი ლატვია — სლოვენია
9 ივნისი ალბანეთი — სლოვენია
9 ივნისი საბერძნეთი — ლატვია

ნორვეგია	6	4	1	1	12:7	13
ლატვია	5	2	2	1	4:2	8
საბერძნეთი	5	1	3	1	5:4	6
სლოვენია	4	1	2	1	5:5	5
საქართველო	6	1	1	4	3:10	4
ალბანეთი	4	0	3	1	2:3	3

III ჯგუფი

4 ივნისი გერმანია — მოლდოვა
5 ივნისი ფინეთი — თურქეთი
9 ივნისი მოლდოვა — ფინეთი

გერმანია	4	3	0	1	8:2	9
თურქეთი	4	3	0	1	7:3	9
ფინეთი	4	2	0	2	6:6	6
ჩრდ. ირლანდია	5	1	2	2	3:8	5
მოლდოვა	5	0	2	3	5:10	2

თურქეთი ევროპის სამგზის ჩემპიონ გერმანიას მძაფრ კონკურენციას კი უწევს, მაგრამ სავარაუდოდ მათი თანაბარქულიანობა დიდხანს არ გასტანს. არაა გამორიცხული, სიურპრიზები შემოგვთავაზოს ფინეთის საკმაოდ კარგმა გუნდმა.

IV ჯგუფი

5 ივნისი უკრაინა — ანდორა
5 ივნისი საფრანგეთი — რუსეთი
5 ივნისი ისლანდია — სომხეთი
9 ივნისი ანდორა — საფრანგეთი
9 ივნისი რუსეთი — ისლანდია
9 ივნისი სომხეთი — უკრაინა

საფრანგეთი	5	3	2	0	8:3	11
უკრაინა	5	3	2	0	8:3	11
ისლანდია	5	2	3	0	5:2	9
რუსეთი	5	2	0	3	13:8	6
სომხეთი	5	1	1	3	3:8	4
ანდორა	5	0	0	5	2:15	0

ეს ჯგუფი ერთ-ერთი ყველაზე ძნელადპროგნოზირებადია. თუნდაც ის რად ღირს, რომ პირველი სამი გუნდი ჯერაც დაუმარცხებელია. ბევრს გადაწყვეტს საფრანგეთი — რუსეთისა და რუსეთი — ისლანდიის თამაშები.

V ჯგუფი

5 ივნისი პოლონეთი — ბულგარეთი
5 ივნისი ინგლისი — შვედეთი
9 ივნისი ლუქსემბურგი — პოლონეთი
9 ივნისი ბულგარეთი — ინგლისი

შვედეთი	4	4	0	0	6:1	12
ინგლისი	4	2	1	1	7:3	7
პოლონეთი	4	2	0	2	7:4	6
ბულგარეთი	4	1	1	2	2:4	4
ლუქსემბურგი	4	0	0	4	0:10	10

ინგლისი მძიმე ამოცანის წინაშე დგას — რადაც არ უნდა დაუჯდეს, აუცილებლად უნდა დაამარცხოს შვედეთი, რომელიც უშუალო კონკურენტია. პოლონეთიც, ალბათ, ზედიზედ ორი მარცხის შემდეგ გამოისწორებს სატურნირო მდგომარეობას.

VI ჯგუფი

5 ივნისი ესპანეთი — მან მარინო
6 ივნისი ისრაელი — ავსტრია

ავსტრია	5	3	1	1	15:11	10
ესპანეთი	4	3	0	1	19:4	9
კვიპროსი	5	3	0	2	8:8	9
ისრაელი	4	2	1	1	10:3	7
სან მარინო	6	0	0	6	1:27	0

ისრაელისთვისაც და ავსტრიისთვისაც მომავალი შეხვედრა უმნიშვნელოვანესია. არაა გამორიცხული, შეხვედრა ფრედ დასრულდეს. ამ შემთხვევაში ესპანეთი, რომელიც, ალბათ, სან მარინოს დიდი ანგარიშით დაამარცხებს, ლიდერი გახდება.

VII ჯგუფი

5 ივნისი პორტუგალია — სლოვაკეთი
5 ივნისი აზერბაიჯანი — ლიხტენშტაინი
5 ივნისი რუმინეთი — უნგრეთი
9 ივნისი პორტუგალია — ლიხტენშტაინი
9 ივნისი უნგრეთი — სლოვაკეთი
9 ივნისი რუმინეთი — აზერბაიჯანი

პორტუგალია	5	4	0	1	18:2	12
რუმინეთი	5	3	2	0	10:1	11
უნგრეთი	5	2	2	1	11:4	8
სლოვაკეთი	5	2	2	1	7:3	8
ლიხტენშტაინი	5	1	0	4	2:22	3
აზერბაიჯანი	5	0	0	5	1:17	0

ჯგუფის ორივე ლიდერი, პორტუგალიაც და რუმინეთიც ორ საშინაო შეხვედრას გამართავს და სწორედ ამ შეხვედრებში გაირკვევა ბევრი რამ. არაა გამორიცხული, რუმინეთმა კვლავ დაუმარცხებელმა განაგრძოს ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრისთვის ბრძოლა.

VIII ჯგუფი

5 ივნისი მაკედონია — ხორვატია
5 ივნისი ირლანდია — იუგოსლავია

ირლანდია	3	2	0	1	7:1	6
მაკედონია	3	2	0	1	8:4	6
იუგოსლავია	2	2	0	0	4:0	6
ხორვატია	3	2	0	1	7:5	6
მალტა	5	0	0	5	2:18	0

ბალკანეთის ნახევარკუნძულზე შექმნილმა დაძაბულმა პოლიტიკურმა ვითარებამ ამ ჯგუფს დაღი დაასვა. პოტენციური ლიდერის, იუგოსლავიის მასპინძლობა არაფრისდიდებით სურს ირლანდიას და საამისოდ ყველა ღონეს ხმარობს. სხვათა შორის, ირლანდიელები ერთადერთხელ სწორედ იუგოსლავიასთან დამარცხდნენ.

IX ჯგუფი

5 ივნისი ბოსნია — ლიტვა
5 ივნისი ესტონეთი — ჩეხეთი
5 ივნისი ფარერები — შოტლანდია
9 ივნისი ესტონეთი — ლიტვა
9 ივნისი ფარერები — ბოსნია
9 ივნისი ჩეხეთი — შოტლანდია

ჩეხეთი	5	5	0	0	12:3	15
ესტონეთი	5	2	1	2	11:9	7
შოტლანდია	4	2	1	1	6:5	7
ლიტვა	5	1	2	2	5:6	5
ბოსნია	4	1	1	2	5:8	4
ფარერები	5	0	1	4	1:9	1

ევროპის ბოლო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი ჩეხეთი ერთადერთია, რომელმაც ხუთივე შესარჩევი მატჩი მოიგო. კალენდარი ისეთია, დიდი შანსია, ჩეხებმა ივნისის ორი შეხვედრაც მოიგონ, რაც მათ მოხვედრას ევროპის ჩემპიონატზე თითქმის ოფიციალურად გააფორმებს.

სარბიელი

სპორტული ლატარია "CROCO"

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

4 ივნისი

გერმანია — მოლდოვა	1,05	8,0	14,0
0:3	2,0	4,7	1,9
პოლონეთი — ბულგარეთი	1,6	3,1	5,3

5 ივნისი

იტალია — უელსი	1,1	6,0	12,0
0:2	1,9	4,7	2,0
დანია — ბელარუსი	1,35	3,8	7,0
0:1	2,0	3,0	2,4
ალბანეთი — ნორვეგია	5,0	3,2	1,6
საქართველო — საბერძნეთი	ანგარიში — 5,0		
ლატვია — სლოვენია	2,0	2,8	3,5
ფინეთი — თურქეთი	2,3	2,8	2,9
უკრაინა — ანდორა	1,01	10,0	20,0
0:4	1,9	4,7	2,0
საფრანგეთი — რუსეთი	1,6	3,1	5,3
ისლანდია — სომხეთი	1,3	4,0	7,5
ინგლისი — შვედეთი	1,5	3,3	6,0
ესპანეთი — სან მარინო	1,01	10,0	20,0
0:5	1,9	4,7	2,0
პორტუგალია — სლოვაკეთი	1,4	3,5	7,0
0:1	2,0	3,2	2,3
აზერბაიჯანი — ლიხტენშტაინი	1,5	3,3	6,0
რუმინეთი — უნგრეთი	12,5	4,4	8,0
0:1	1,8	3,3	2,8
მაკედონია — ხორვატია	5,0	3,2	1,6
ბოსნია — ლიტვა	2,0	2,9	3,4
ესტონეთი — ჩეხეთი	5,6	3,4	1,5
ფარერები — შოტლანდია	9,0	5,0	1,2

6 ივნისი

ისრაელი — ავსტრია	2,2	2,8	3,1

კირინის თასი

6.06	იაპონია — პერუ	2,5	2,9	2,5

იტალიის ჩემპიონატი. სერია B. XXXVII ტური

6.06	ტრევიზო — ატალანტა	2,7	2,9	2,2
	მონცა — კიევო	1,9	2,5	5,6
	ლუკეზე — კოზენცა	2,2	2,7	3,4
	ჩეზენა — ჯენოა	2,2	2,2	3,8
	ვერონა — ნაპოლი	1,3	3,0	9,0
	ლეჩე — პესკარა	1,6	2,8	5,6
	კრემონეზე — რავენა	2,4	2,8	2,7
	ბრეშა — რეჯანა	1,3	4,2	5,3
	რეჯინა — ტერნანა	1,3	3,3	7,5
	ფ. ანდრია — ტორინო	2,5	2,7	2,7

ესპანეთის ჩემპიონატი. II დივიზიონი XL ტური

5.06	ეიბარი — ბარსელონა B	2,0	3,0	2,6
	კომპოსტელა — მალაგა	2,3	2,8	2,9
	ლას პალმასი — ოსასუნა	1,6	3,0	5,6
	ატლეტიკო B — ლეგანესი	1,3	4,0	6,5
6.06	ტოლედო — ალბასეტე	1,2	5,0	9,0
	სპორტინგი — ერკულესი	1,4	4,0	4,0
	მალიორკა B — ბადახოსი	1,7	3,1	4,4
	რაიო ვალეკანო — მერიდა (15^{00})	1,3	4,0	7,5
	ლოგრონიესი — რეკრეატივო	1,6	3,2	4,4
	ლეიდა — ორენსე	1,3	4,0	7,5
	ნუმანსია — სევილია	2,3	2,7	3,0

ამხანაგური მატჩი

5.06	ბრაზილია — ჰოლანდია	1,8	2,9	4,2

კალათბურთი. NBA

4.06	პორტლენდი — სან ანტონიო	1,3	12,0	2,8

ხელბურთი

მსოფლიო ჩემპიონატი ეგვიპტეში

4 ივნისი

ესპანეთი — მაროკო	1,05	8,0	8,0
არგენტინა — ალჟირი	5,3	8,0	1,1
ტუნისი — დანია	1,8	8,0	1,6
გერმანია — ბრაზილია	1,05	8,0	8,0
მაკედონია — კუბა	1,05	8,0	8,0
საუდეთი — ეგვიპტე	16,0	8,0	1,01
რუსეთი — კუვეიტი	1,05	8,0	8,0
უნგრეთი — ხორვატია	3,5	8,0	1,2
ნიგერია — ნორვეგია	5,3	8,0	1,1
შვედეთი — ავსტრალია	1,01	8,0	16,0
ჩინეთი — კორეა	5,0	8,0	1,1
იუგოსლავია — საფრანგეთი	1,6	8,0	1,8

შვედეთი	2,5	ხორვატია	10,0
რუსეთი	2,5	გერმანია	12,0
საფრანგეთი	4,0	დანია	25,0
ეგვიპტე	5,0	კორეა	25,0
ესპანეთი	5,0	ნორვეგია	50,0
იუგოსლავია	8,0	დანარჩენი	100,0
უნგრეთი	10,0		

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

პენტაკამპეონები

დახედავ ცხრილს და გაგიკვირდება, პორტუგალიური ფეხბურთის სამი დიდი კლუბის „პორტუს“, „ბენფიკას“ და „სპორტინგის“ დავაში ძნელად თუ ჩაერევა ვინმე, „ბოავიშტა“ კი ჩაერია.

ასეთი საინტერესო პორტუგალიის პირველობა კარგა ხანია არ ყოფილა. ლიდერსა და მდევარს შორის რვაქულიანი სხვაობა მატიანეს შემორჩება, დაძაბული ჩემპიონატი კი არა. სამაგიეროდ პორტუგალიელი გულშემატკივრები კიდევ კარგა ხანს გაიხსენებენ პორტუს ორი კლუბის თითქმის ბოლო ტურამდე სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას.

„პორტუ“ თითქმის მთელი ჩემპიონატის მანძილზე პირველი იყო, ხან რამდენიმე, ხანაც ქულიანი უპირატესობით ლიდერობდა. მდევარი ვინ იყო, ალბათ, თავადაც ხვდებით — „ბოავიშტა“. კი მაგრამ, ლისაბონელი ბობოლები — „ბენფიკა“ და „სპორტინგი“?

წლევანდელი სეზონი მათთვის წარუმატებელი გამოდგა, რასაც თავისი ახსნაც აქვს — „ბენფიკაში“ მწვრთნელსა და გუნდის ხელმძღვანელებს შორის განხეთქილება მოხდა, რაც კლუბის თამაშზეც აისახა. „სპორტინგი“ კი უბრალოდ არ გახლდათ იმ დონის, ლიდერთა პაექრობაში რომ ჩარეულიყო.

„პორტუმ“ სეზონი წარმატებით დაიწყო. ჩემპიონატს სულაც არ ვგულისხმობ — გუნდმა პორტუგალიის სუპერთასისთვის მატჩში „ბრაგას“ სძლია 1:0 და მოახლოებული პირველობისთვის შესანიშნავად განეწყო. ცნობისთვის გეტყვით, რომ სუპერთასზე ის ერთადერთი ბურთი ჩვენთვის კარგად ნაცნობმა, სლოვენიელმა ზლატკო ზაჰოვიჩმა შეაგდო.

„პორტუმ“ სუპერთასი აგვისტოს დასაწყისში მოიგო, 22 აგვისტოს კი ჩემპიონატში პირველ მეტოქესაც უმასპინძლა — „რიუ ავე“ 4:0 გაანადგურა. მართალია, მომდევნო ორ ტურში ქულები დაკარგა, მაგრამ „პორტუ“ რის „პორტუ“ იქნებოდა, დაკარგული ათმაგად არ აენაზღაურებინა. ჩემპიონებს გოლი გოლზე გაჰქონდათ, შესაბამისად, მატჩებს, იშვიათი გამონაკლისის გარდა, იგებდნენ. ასე და ამგვარად, ქულა ქულას ემატებოდა და გუნდი ლიდერის პოზიციას ინარჩუნებდა.

მდევრებსაც, მოგვიანებით კი ეულ მდევარ „ბოავიშტასაც“, არ ეძინა. ჩემპიონატის მეშვიდე ტურში, უფრო კონკრეტულად კი 18 ოქტომბერს, სენსაცია მოხდა — პორტუს დერბიში „ბოავიშტამ“ სახელოვანი მასპინძელი 2:0 დაამარცხა. სხვათა შორის, პორტუგალიის გასრულებულ პირველობაზე „ბოავიშტა“ ერთადერთია, რომელსაც „პორტუმ“ გოლი ვერ გაუტანა. მეორე წრის შეხვედრა 28 თებერვალს ფრედ 0:0 დასრულდა.

— ვამაყობ, რომ „ბოავიშტა“ ბრწყინვალე კლუბია. წლევანდელი სეზონი ჩვენთვის სახელოვანი დაბრუნების წელიწადი უნდა გახდეს. ახლა „პორტუს“ ვძლიეთ, იმედია, სხვებსაც ამ დღეს დავაყრით — „შავ-თეთრთა“ („ბოავიშტას“ მაისურის ფერებია) პრეზიდენტი დოქტორ ჟოაო ლოურეირო ხარობდა, რომ მისმა კლუბმა სტუმრად თანაქალაქელი ჩემპიონის დამარცხება შეძლო. პრეზიდენტის სიტყვები მთელი სეზონის მანძილზე მართლდებოდა — „ბოავიშტა“ ერთიმეორის მიყოლებით ამარცხებდა მეტოქეთ, ქვეყნის ყველაზე ტიტულიან კლუბ „ბენფიკას“ სულაც ორჯერ მოუგო (2:1 შინ და 3:0 სტუმრად), მაგრამ საბოლოო ჯამში „პორტუ“ უფრო ძლიერი აღმოჩნდა. რატომ? ამ კითხვაზე ჩვენეული პასუხისგან თავი შევიკავოთ და მოდით, კვლავ დოქტორ ჟოაო ლოურეიროს მოვუსმინოთ:

— „ბოავიშტა“ პატარა კლუბია, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ სუსტია. მესმის, რომ „ბენფიკასთან“ და „პორტუსთან“ თუნდაც იმავე „სპორტინგთან“ ბრძოლა გაგვიჭირდება. განა ეს დასაძრახია? — სამივე „ბოავიშტაზე“ ფინანსურად გაცილებით ძლიერია, შესაბამისად, საუკეთესო ფეხბურთელების შეძენა შეუძლიათ, ჩვენ კი თავს ამდენის უფლებას ვერ მივცემთ. ეს ბიჭები „ბოავიშტაში“ გაიზარდნენ. მათ რომ ორი-სამი ძლიერი მოთამაშე მივუმატო, უეჭველია, ჩემპიონები გავხდებით, მაგრამ სამწუხაროა, რომ ამის საშუალება არ გვაქვს.

პრეზიდენტი მართალია — ადგილობრივი კადრებით დაკომპლექტებული „ბოავიშტა“ ჩემპიონობისთვის მზად არ ყოფილა. „შავ-თეთრებმა“ „ბენფიკას“ და „სპორტინგს“ [illegible] ბეს, მაგრამ „პორტუს“ ჩამორჩნენ. ჩემპიონები ძლიერნი იყვნენ, [illegible] ყველაზე ძლიერნი —

დავუბრუნდეთ ჩემპიონატს. საინტერესოა, რომ სეზონის დასაწყისში „პორტუს“ საუკეთესო ბომბარდირი, ბრაზილიელი მარიო ჟარდელი ცუდად თამაშობდა. კლუბის მწვრთნელი ფერნანდო სანტუში თავდასხმაში ზაჰოვიჩი — ჟარდელის დუეტს ეყრდნობოდა, მაგრამ თავდაპირველად ბრაზილიელი ვერ ამართლებდა. „მოუსავლიანობა“ დიდხანს არ გაგრძელებულა — მალე ჟარდელი ძველებურად ათამაშდა და 26 ოქტომბრიდან 5 დეკემბრის ჩათვლით ცხრა მატჩში 13 გოლი გაიტანა. ასე ჩემპიონატის ბოლომდე გაგრძელდა და საბოლოოდ, ბრაზილიელი ბომბარდირიც გახდა. ამასთანავე, ზედიზედ მეორედ მოიპოვა ევროპის ყველაზე შედეგიანი თავდამსხმელისთვის განკუთვნილი „ოქროს ბუცი“.

„პორტუ“ კვლავ ლიდერობდა, მაგრამ გაზაფხულზე „ბოავიშტამ“ მისი ჩემპიონობა საეჭვო გახადა — თავის დროზე უეფას თასის მერვედფინალში თბილისის „დინამოს“ 5:0 მძლეველმა „ბოავიშტამ“ სტუმრად ლისაბონის „ბენფიკას“ 3:0 მოუგო და სხვაობა პორტუს კლუბებს შორის ქულამდე შემცირდა.

ლისაბონში დიდი ანგარიშით მოგებული თამაში „ბოავიშტას“ საუკეთესო შეხვედრა გახლდათ გასულ ჩემპიონატში ისევე, როგორც „ბენფიკასთვის“ — უარესი.

„ბენფიკა“ შუაზე გაიხლიჩა — კლუბის პრეზიდენტი დოქტორ ჟოაო ვალე ე აზევედუ და ფეხბურთელთა უმეტესობა შოტლანდიელ თავკაც გრემ სუნესს განუდგა. მიზეზი — სქოთმა მწვრთნელმა ბრიტანელი მოთამაშეების თავისთან მიწვევით „ბენფიკას“ არასასურველი ბრიტანული სული შთაბერა. ვალე ე აზევედუს აზრით, სუნესის მიერ მიწვეული მაიკლ ტომასი, მარკ პემბრიჯი, გარი ჩარლზი და დინ სონდერსი „ბენფიკაში“ თამაშის ღირსნი არ იყვნენ. ამის თაობაზე პრეზიდენტმა საჯაროდაც განაცხადა. სუნესი კი მას გაუნაწყენდა. ერთადერთი, ვინც ნეიტრალურ პოზიციას ინარჩუნებდა, ლისაბონელთა საუკეთესო თავდამსხმელი და საერთოდაც, საუკეთესო მოთამაშე ნუნო გომეში გახლდათ. ცნობისთვის: ნუნო გომეშს „ბოავიშტას“ შემადგენლობაში თბილისშიც უთამაშია.

საბოლოოდ ყველაფერი იმით დასრულდა, რომ სუნესმა სეზონის დასრულებისთანავე „ბენფიკადან“ წასვლა გადაწყვიტა. პრობლემა დროებით კი მოგვარდა, მაგრამ რად გინდა? წინ გაჭრილ „პორტუს“ „ბოავიშტა“ ფეხდაფეხ მისდევდა, ამ ორს კი „ბენფიკა“ გვარიანად ჩამორჩებოდა. თითქოს ეს არ კმაროდაო, წლევანდელ აწ უკვე დასრულებულ სეზონში „ბენფიკა“ პირველად აღმოჩნდა 1941 წლის შემდეგ ჩემპიონატის პრიზიორთა მიღმა დარჩენის საფრთხის წინაშე. ეს საკითხი ლისაბონელთა სასარგებლოდ მხოლოდ ჩემპიონატის ბოლო ტურში გადაწყდა — ლისაბონურ დერბიში „სპორტინგთან“ ფრედ 3:3 ითამაშა და მდევრისთვის მიუღწეველი შეიქნა.

ოქრო „პორტუს“ დარჩა. „ბოავიშტას“ ოცნება, 1946 წლის ჩემპიონატში გამარჯვებული „ბელენენსეშის“ შემდეგ გამხდარიყო პირველი კლუბი, რომელიც დიდი სამეულის ჰეგემონიას დაარღვევდა, არ ასრულდა. ეგებ ამბიციურმა პორტუელებმა მიზანს მომავალ, ახალ სეზონში მიაღწიონ. მათ ხომ სწამთ წარმატების.

ლაშა გოდუაძე

პორტუ

პორტუგალიის ჩემპიონი: 1922, 1925, 1932, 1935, 1937, 1939, 1940, 1956, 1959, 1978, 1979, 1985, 1986, 1988, 1990, 1992, 1993, 1995, 1996, 1997, 1998, 1999

პორტუგალიის თასი: 1956, 1958, 1968, 1977, 1984, 1988, 1991, 1994, 1998

პორტუგალიის სუპერთასი: 1981, 1983, 1984, 1986, 1990, 1991, 1993, 1994, 1996, 1998

ჩემპიონთა თასი: 1987

ევროპის სუპერთასი: 1987

საკონტინენტთაშორისო თასი: 1987

პრეზიდენტი: ჟორჟე ნუნო პინტუ და კოსტა

მწვრთნელი: ფერნანდო სანტუში

მეკარეები: ვიტორ მანუელ მარტინს ბაია (15.10.69), რუი მანუელ და სილვა კორეია (22.10.67), პაულო რებელო კოსტინია მელო ე კასტრო (22.09.73)

მცველები: კარლუშ ალბერტო დე ოლივეირა სეკრეტარიო (12.05.70), ფერნანდო ნელსონ ხესუს ვიეირა ალვეში (05.11.71), ფერნანდო მანუელ ანტუნეშ მენდეში (05.11.66), ჟოზე მარსელიო ჟენუარიო არაუხო ესკურდინია (ბრაზილია, 06.05.72), რიკარდო ალბერტო სილვეირა კარვალიო (15.08.78), ალოიზიო პირეს ალვეში (ბრაზილია, 16.08.73), ჟორჟე პაულო კოშტა ალმეიდა (14.10.71), ჟოაო მანუელ პინტუ ტომე დუშ სანტუში (26.05.73)

ნახევარმცველები: ემილიო მანუელ დელგადო პეიშე (16.01.73), ჟოაო პაულინიო დუშ სანტუში (21.11.70), იუსუფ ჩიპო (მაროკო, 10.05.73), კარლუშ ნარსიზო ჩაინია (10.07.74), რუი ჟილ სუარეშ დე ბარუში (24.11.65), კარლუშ მანუელ ბორხეს სებასტიაო (05.09.76), ნიკა ბასარაბ პანდურუ (რუმინეთი, 11.07.70), ზლატკო ზაჰოვიჩი (სლოვენია, 01.02.72), ლუბინკო დრულოვიჩი (იუგოსლავია, 11.09.68), ნუნო ფერნანდო გონჟალვეშ და როშა კაპუჩო (21.02.72)

თავდამსხმელები: მარიო ჟარდელ ალმეიდა რიბეირო (ბრაზილია, 18.09.73), გჟეგოჟ მელჩარსკი (პოლონეთი, 19.03.71), მიკლოშ ფეჰერი (უნგრეთი, 20.07.79), კუინზინიო ჟოაკიმ ალბერტო სილვა (ანგოლა, 04.03.74), ანდერსონ ლუიშ დე დეკო სოუზა (ბრაზილია, 27.08.77)

პორტუში ზეიმია. ფეხბურთელებმა უძლიერესის სახელი ზედიზედ მეხუთედ მოიპოვეს

№	გუნდი	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ	შინ					სტუმრად				
1	პორტუ (1)		2:0	3:1	3:2	6:0	3:1	2:0	2:0	1:0	1:0	2:0	4:1	2:0	4:0	3:1	7:0	1:0	7:1	34	24	7	3	85:26	79	16	0	1	51:9	48	8	7	2	34:17	31
2	ბოავიშტა (6)	0:0		2:1	2:2	1:1	1:0	2:0	2:1	1:0	1:2	3:0	2:1	2:1	1:0	3:0	2:1	4:1	3:1	34	20	11	3	57:29	71	13	3	1	32:12	42	7	8	2	25:17	29
3	ბენფიკა (2)	1:1	0:3		3:3	2:0	0:0	3:1	2:0	4:1	3:1	5:0	5:0	1:1	3:1	2:2	3:0	4:1	3:0	34	19	8	7	71:29	65	11	5	1	44:15	38	8	3	6	27:14	27
4	სპორტინგი (4)	1:1	1:1	1:2		0:0	2:0	3:0	3:0	4:1	2:0	1:0	3:1	3:0	2:0	2:0	0:0	2:1	5:0	34	17	12	5	64:34	63	12	4	1	35:7	40	5	8	4	29:25	23
5	სეტუბალი (12)	1:2	1:3	1:0	1:1		1:0	1:0	2:0	3:0	3:1	1:1	3:0	2:0	1:2	4:0	0:0	1:0	1:0	34	15	8	11	37:38	53	11	3	3	27:10	36	4	5	8	10:28	17
6	ლეირია (-)	2:2	0:0	1:1	0:3	0:1		0:1	0:1	0:0	1:0	2:1	1:0	3:1	2:0	1:0	1:0	3:1	1:0	34	14	10	10	36:29	52	9	4	4	18:12	31	5	6	6	18:17	21
7	გიმარაეში (3)	3:2	2:3	0:2	2:1	2:0	0:0		3:0	5:1	1:1	1:0	3:3	2:0	3:0	3:1	3:0	6:1	1:1	34	14	8	12	53:41	50	10	5	2	39:16	35	4	3	10	14:25	15
8	ამადორა (7)	1:1	2:1	0:1	0:1	5:0	1:1	1:1		0:0	1:0	2:1	1:1	1:0	1:0	1:0	1:2	2:1	2:1	34	11	12	11	33:40	45	9	5	3	22:12	32	2	7	8	11:28	13
9	ბრაგა (10)	3:3	1:2	2:1	2:0	3:0	2:4	2:1	1:1		1:1	0:0	1:1	0:2	2:0	0:0	2:1	1:0	2:2	34	10	12	12	38:50	42	7	7	3	25:19	28	3	5	9	13:31	14
10	მარიტიმუ (5)	0:1	3:0	1:0	1:3	0:1	3:2	1:0	1:1	3:0		1:3	2:2	0:1	2:0	3:3	1:1	2:2	4:1	34	10	11	13	44:45	41	7	5	5	28:21	26	3	6	8	16:24	15
11	ფარენსე (13)	0:3	2:2	1:0	1:3	1:1	1:1	1:2	1:1	0:2	0:0		2:1	2:1	0:1	1:0	2:1	2:1	2:0	34	10	9	15	39:54	39	7	5	5	19:20	26	3	4	10	20:34	13
12	სალგეირუში (8)	1:3	0:0	1:1	2:1	1:0	0:0	3:2	1:1	1:1	2:2	4:2		1:1	5:1	0:0	4:4	2:0	1:1	34	7	17	10	45:55	38	6	10	1	29:20	28	1	7	9	16:35	10
13	კამპომაიორენსე (11)	0:2	1:1	0:5	0:0	1:2	0:2	1:0	3:0	2:0	0:2	3:1	0:0		0:0	2:2	4:1	4:1	2:1	34	10	7	17	41:51	37	7	5	5	23:21	26	3	2	12	18:30	11
14	რიუ ავე (9)	1:1	0:2	0:2	0:1	1:1	1:0	0:1	1:1	1:2	2:1	2:2	2:1	3:1		0:0	1:1	1:1	1:1	34	8	11	15	26:47	35	4	8	5	17:19	20	4	3	10	9:28	15
15	ალვერკა (-)	1:5	0:0	0:2	3:2	1:0	0:2	2:1	0:1	0:0	3:0	1:3	1:1	2:1	0:1		1:1	3:1	2:1	34	8	11	15	36:50	35	7	4	6	20:22	25	1	7	9	16:28	10
16	ბეირა მარი (-)	2:1	1:1	1:1	2:2	1:1	1:1	0:0	0:0	4:2	1:1	0:1	4:1	2:1	1:2	2:1		1:1	0:2	34	6	15	13	36:53	33	5	9	3	23:19	24	1	6	10	13:34	9
17	შავეში (15)	0:4	1:1	0:4	2:2	1:2	1:2	2:3	4:1	1:2	1:1	4:4	1:1	3:2	0:0	1:1	1:0		1:0	34	5	10	19	39:70	25	4	7	6	24:30	19	1	3	13	15:40	6
18	აკადემიკა (14)	0:2	2:3	0:3	2:2	2:0	0:1	1:1	2:2	1:1	1:3	2:1	0:1	1:5	1:1	0:5	1:0	1:2		34	4	9	21	30:71	21	3	5	9	17:33	14	1	4	12	13:38	7

ბომბარდირები

ჟარდელი	(პორტუ)	36
გომეში	(ბენფიკა)	24
სილვა	(ბრაგა)	16

თასის ფინალი

19 ივნისი

ბეირა მარი — კამპომაიორენსე

33 ტური

გადათამაშება

ანონსი

4 ივნისი. ჯერის ბაღი. წ. 30 საათი

აზოტი — თსუ

ეს გუნდები მერვე ჩემპიონატში უკვე მეხუთედ (!) ხვდებიან ერთმანეთს, ეგ როგორ, გაიკვირვებს მკითხველი და ბუნებრივიცაა, მაგრამ ჩვენში ხომ ყველაფერი ხდება. ჰოდა, რაღაა გასაკვირი...

საქმეში გაუთვითცნობიერებელ გულშემატკივარს შევახსენებთ, რომ წლეულს ამათი ოთხივე დაპირისპირება რუსთაველთა გამარჯვებით დამთავრდა, თუმცა ბოლო, მეოთხე წრის შეხვედრის შედეგი ფედერაციამ გააუქმა და გადათამაშება ბრძანა.



1999 წლის 10 თებერვალი. მეორე წრის შეხვედრა, როგორც დანარჩენი სამი, აზოტმა მოუგო თსუ-ს

ფოტო: ბერლინგერ-ბელეკის

საქმე ისაა, რომ სტუდენტთა თავკაცობამ 33-ე ტურის მატჩის შედეგი გააპროტესტა, აქაოდა შეხვედრის დამთავრებამდე 17 წამით ადრე მწვრთნელ ნოდარ ქორქიას მიერ მოთხოვნილი და მდივნის მიერ გამოცხადებული წუთშესვენება მსაჯებმა არად ჩაგდეს, შეხვედრა გააგრძელეს, რამაც მატჩის შედეგზეც გავლენა იქონიაო.

ღმერთმა იცის, რა მოხდებოდა, მსაჯებს ქორქიას მოთხოვნა რომ დაეკმაყოფილებინათ, მაგრამ ერთი კი უეჭველია — გადათამაშებამდე საქმე აღარ მივიდოდა.

რაკი ასე არ მოხდა, დღეს გუნდები ხელმეორედ შეეჭიდებიან და ვინძლო ისეთი ცოდვა-მადლი დატრიალდეს, აქამდე ნანახი და განცდილი სულ გადაგავიწყოს.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, გეტყვით, რომ, გათამაშების ლიდერ აზოტელთაგან განსხვავებით, თსუ-სთვის ეს შეხვედრა სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. გამარჯვების შემთხვევაში სტუდენტები, ფაქტობრივად, გაინაღდებენ პლეი ოფის საგზურს, რადგან ბოლო ტურში „შევარდენთან“ მათი ფეხის დაცდენა თითქმის წარმოუდგენელია.

ახლა თსუ-ს, ოთხეულში მოსახვედრად მოცილე „დინამოზე“ ერთი თამაშით და ორი ქულით ნაკლები აქვს. თუ სტუდენტები მოიგებენ, ორივეს 57-57 ქულა დაუგროვდება. ეს კი თსუ-ს წისქვილზე დაასხამს წყალს, რადგან უკანასკნელ, 36-ე ტურში „დინამოს“ სტუ-ს სახით ძლიერი მეტოქე ელოდება. თსუ-ს კი, აკი გითხარით, „შევარდენთან“ თავი ქუდში აქვს.

მთავარი, ალბათ, მაინც ის გახლავთ, რომ „დინამოს“ და თსუ-ს თანაბარქულიანობის შემთხვევაში ოთხეულში ეს უკანასკნელი გააღწევს. მართალია, ამ კლუბების ურთიერთშეხვედრებში ანგარიში საყიმოა (2:2), მაგრამ ბურთების უკეთესი თანაფარდობით პლეიოფში თამაში თსუ-ს ერგება. აქ კი მნიშვნელოვანი როლი იმანაც ითამაშა, რომ მეორე წრეში „დინამოს“ თსუ-სთან გამარჯვება ფედერაციამ 0:20 დამარცხებით შეუცვალა, ულიცენზიო ირაკლი მაისურაძეს არ უნდა ეთამაშაო. სწორედ ამის წყალობით აქვს თსუ-ს „დინამოსთან“ ურთიერთშეხვედრებში ბურთების უკეთესი სხვაობა (+15).

და თუ სტუდენტებმა დღეს წააგეს, ოთხეულში გასვლის გარკვეული შანსი მაინც რჩება. მაშინ კვირას „დინამომაც“ უნდა წააგოს სტუ-სთან, თსუ-მ კი, თავის მხრივ, „შევარდენს“ უნდა მოუგოს.

თავადაც ხედავთ, თუ რა ინტრიგებთან გვაქვს საქმე. ახლა იმის თქმა, თსუ არნახულად მოინდომებს, თავს გადადებს მიზნის მისაღწევადო, ზედმეტად მიგვაჩნია. ცხადია, ასე იქნება.

საკითხავი ერთიღაა: შეძლებენ კი სტუდენტები მრისხანე „აზოტის“ ძლევას? რუსთაველები ხომ ერთადერთხელ დამარცხდნენ მერვე ეროვნულში.

გიორგი ბიკაშვილი

28 ტური

ანონსი

4 ივნისი. ჯერის ბაღი. 14 საათი

სდასუ — სტუ

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ჩემპიონატის მიწურულს არაფრისმომცემი, ფორმალური თამაშები მოგვიმრავლდა. გულშემატკივართა იმედებიც ერთთავად პლეი ოფისკენაა მიპყრობილი, მაგრამ სანამ იგი გახურდება, იქამდე, გვინდა არ გვინდა, დარჩენილი თამაშები უნდა მოვილიოთ.

ეს შეხვედრაც სწორედ ასეთია — მისი შედეგი გათამაშების ცხრილში გადაადგილებებს ვერაფრით მოახდენს.

მოიგებს თუ წააგებს, სტუ მაინც მესამე ადგილზე დარჩება, ისევე, როგორც სდასუ გატკეპნის მეექვსე საფეხურს.

აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, გუნდები თავს არ მოიკლავენ და ყველაფერი მშვიდად, გაურთულებლად ჩაივლის.

როგორც ბოლო თამაშებში ხდება, სდასუ-მ შესაძლოა, თორთლაძე, უძილაური და გიგაშვილი მოისაკლისოს, სტუმ კი — ვატო ნაცვლიშვილი და რეზო ჩხეიძე.

საბა ესებუა

35 ტური

აზოტი	34	33	1	3071:2501	67
ვითა(-1)	35	28	7	2646:2300	62
სტუ	34	24	10	2835:2673	58
დინამო	35	22	13	2780:2646	57
თსუ	34	21	13	2890:2668	55
სდასუ	34	18	16	2581:2594	52
მაკაბი	35	11	24	2574:2773	46
კოლხა	35	7	28	2649:3072	42
შევარდენი	35	5	30	2510:3007	40
ასკ	35	4	31	1959:2261	39



REUTERS ინდიანაპოლისიდან

ინდიანა — ნიუ იორკის მეორე მატჩი პატრიკ იუინგისთვის ამ სეზონში უკანასკნელი აღმოჩნდა

იუინგმა სეზონი დაამთავრა

„ნიუ იორკ ნიქსმა“ არნახული ზარალი ნახა. ისეთი, რომ შეიძლება „ინდიანა პეისერზთან“ აღმოსავლეთის კონფერენციის ფინალი წააგოს. გუნდის ცენტრი და ლიდერი პატრიკ იუინგი დარჩენილ მატჩებს გამოტოვებს. ამის მიზეზი კალათბურთელის მარცხენა აქილევსის მყესის ნაწილობრივი გაწყვეტაა.

იუინგს მყესი ინდიანასთან მეორე მატჩის წინ, გახურებისას გაუწყდა. მიუხედავად ამისა, მაინც ითამაშა. მეორე დღეს კი საავადმყოფოს მიაკითხა და გამოკვლევამ აღნიშნული დიაგნოზი დაუდგინა.

ექიმების გადაწყვეტილებით, იუინგის აქილევსის მყესი ექვსი კვირის განმავლობაში უმოძრაოდ უნდა იყოს. იგი სპეციალურ სახვევს დაიდებს, რომელიც დღის განმავლობაში თითქმის არ უნდა მოიხსნას. ექვსი კვირის შემდეგ კი იუინგის მყესს ხელახლა გამოიკვლევენ.

ამ ამბავმა ძალიან დაწყვიტა გული პატრიკს: „სამწუხაროა, რომ მოედანზე ვერ გავალ და თანაგუნდელებს ვერ მივეხმარები, მაგრამ თუკი აქილევსის მყესი მთლიანად გამიწყდება, მაშინ კარიერაც უნდა დავასრულო“.

ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატი (პოლონეთი)

A ჯგუფი

საფრანგეთი — გერმანია 68:60, ხორვატია — სლოვაკეთი 64:53, რუსეთი — ლატვია 100:71

საბურნირო მდგომარეობა: რუსეთი 10 ქულა, საფრანგეთი 9, ხორვატია 7, სლოვაკეთი 7, გერმანია 6, ლატვია 6

B ჯგუფი

ლიტვა — ბოსნია 99:69, იუგოსლავია — ჩეხეთი 85:75, პოლონეთი — იტალია 80:71

საბურნირო მდგომარეობა: ლიტვა 9, პოლონეთი 8, იუგოსლავია 8, ჩეხეთი 8, იტალია 7, ბოსნია 5

მეოთხედფინალი

4 ივნისი

პოლონეთი — ხორვატია

რუსეთი — ჩეხეთი

საფრანგეთი — იუგოსლავია

ლიტვა — სლოვაკეთი

ნახევარფინალები გაიმართება 5 ივნისს, ფინალი — 6 ივნისს

გრანტი ყველაზე ქველია

ეროვნულ საკლუბო ასოციაციაში „წლის ქველმოქმედის“ ჯილდოსაც გამოუნდა პატრონი. პროფესიულ კალათბურთზე მწვრალთა ასოციაციამ ყველაზე ქველმოქმედად „პორტლენდ თრეილ ბლეიზერსის“ ფორვარდი ბრაიან გრანტი ცნო.

სახელწოდებიდანაც ჩანს, რომ ამ ჯილდოს მფლობელი კეთილი და ქველი საქმეებით გამორჩეული კაცი უნდა იყოს. ეს ჯილდო ერთადერთია, რომლის დაუფლების შანსი თანაბრად აქვთ როგორც მოთამაშეებს, ისე მწვრთნელებს. პრიზი უოლტერ კენედის სახელობისაა. ეს კაცი 1963-75 წლებში ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კომისარი იყო.

ბრაიან გრანტი დიდი ხანია ქველმოქმედობს, მაგრამ გასულ წელს იმდენი სიკეთე დაუთესია, რომ პორტლენდის მერიისგან სამადლობელი წერილიც მიუღია. გრანტს და მის მეუღლეს მადლიერების დღეს 50 ოჯახისთვის სადღესასწაულო სუფრა გაუშლიათ; „ბრაიანტ გრანტის ფონდი“ თანამშრომლობს ორგანიზაცია „დედები ბანდიტების წინააღმდეგ“, რომელმაც მრავალი გზასაცდენილი ახალგაზრდა დაუბრუნა ნორმალურ სამყაროს; შობა დღეს გრანტმა 29 უპატრონო ბავშვს ნადიმი გაუმართა და საჩუქრები დაურიგა.

„თრეილ ბლეიზერსის“ ყოველ საშინაო თამაშზე გრანტს 25 ბილეთი გადადებული აქვს. ამ ბილეთებს იგი გაჭირვებულ ბავშვებს უგზავნის. ამას გარდა, კეთილი ბრაიანი ყოველ ზაფხულს 300 „რთულ ბავშვს“ საზაფხულო ბანაკს უწყობს. მისი მშობლიური სკოლის, ჯორჯთაუნის 250 მოსწავლეს ზაფხულში გრანტის ხარჯზე დასვენება შეუძლია.

ბრაიან გრანტი რეგულარულად ზრუნავს ავადმყოფ და ჩამორჩენილ ბავშვებზე. ისინი ხშირად მიჰყავს „პორტლენდის“ გასახდელში და კალათბურთელებს ახვედრებს. გრანტი სიკვდილამდე პატრონობდა „ბლეიზერსის“ 12 წლის გულშემატკივარს დაშ ტომასს, რომელიც ამა წლის 2 თებერვალს ტვინის კიბოთი გარდაიცვალა.



წლის ქველმოქმედი ბრაიან გრანტი

ბრაიან გრანტი ახალგაზრდობის განათლებაზეც ზრუნავს. მან შეიმუშავა „გაკვეთილებზე დასწრების პროგრამა“. ისინი, ვისაც ყველაზე ნაკლები გაცდენილი საათები ექნება, „პორტლენდის“ მატჩის ბილეთით ჯილდოვდება.

წლის ქველმოქმედი, შესაძლოა, „ატლანდა ჰოქსის“ დიკემბე მუტომბოც გამხდარიყო, რომელმაც მშობლიურ კონგოში საავადმყოფოს აშენება დაიწყო და ამისთვის სხვადასხვა წყაროებიდან 44 მილიონი დოლარი მოიზიდა.

წლის ქველმოქმედად სხვადასხვა დროს ლიგის სუპერვარსკვლავებიც დასახელებიათ: ვეს ანსლდი (1975), ჯულიუს ირვინგი (1983), აიზია ტომასი (1977), მეჯიქ ჯონსონი (1992) და ა.შ.

პეტრი — ყველაზე ფხიანი

ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში წლის საუკეთესო აღმასრულებლის ჯილდო არსებობს. აღმასრულებელი არის კაცი, რომელიც კლუბის ადმინისტრაციაში მუშაობს (პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი, გენერალური მენეჯერი და ა.შ.), ხოლო საუკეთესო აღმასრულებლად მას ასახელებენ, ვისი წარმართული საკადრო და სამეურნეო პოლიტიკა ყველაზე მეტად ახეირებს გუნდს.

ამ სეზონში საუკეთესო აღმასრულებლად „საკრამენტო კინგზის“ ვიცე-პრეზიდენტი ჯეფ პეტრი დაასახელეს. პეტრი 51 წლისაა და საკრამენტოში საკალათბურთო საქმეებს (მწვრთნელთა და მოთამაშეთა შერჩევა) განაგებს.

პეტრის ყველაზე გონივრულ ნაბიჯად „კინგზში“ კრის ვებერის მოყვანას უთვლიან. ეს კალათბურთელი ვაშინგტონს მიჩ რიჩმონდისა ლა ოტის ტორპის სანაცვლოდ გამოართვა. გამართლებული აღმოჩნდა დრაფტი-98-ში პეტრის არჩევანი: გამთამაშებელი ჯეისონ ვილიამსი გუნდის ერთ-ერთ ლიდერად იქცა და წლის ბოლოს ახალბედათა ხუთეულშიც მოხვდა. პეტრიმვე დაპირა „კინგზში“ საბერძნეთის აეკ-ში განათხოვრებული იუგოსლავიელი პრედრაგ სტოიაკოვიჩი, რომელმაც რიგიანად ითამაშა.

შარშან სექტემბერში პეტრის დაჟინებით საკრამენტოს მწვრთნელად დაინიშნა რიკ ადელმანი (იგი და პეტრი 70-იან წლებში ერთად თამაშობდნენ პორტლენდში). ამასთანავე, პეტრიმ დაიტოვა გუნდში კორლის ვილიამსონი, ხოლო ვლადე დივაცი და ვერნონ მაქსველი თავისუფალი აგენტის სტატუსით აიყვანა.

ჯეფ პეტრი ახალგაზრდობაში რიგიანი მოთამაშე იყო. 1971 წელს სეზონის საუკეთესო ახალბედად დაასახელეს. იმ წელს მან „პორტლენდ თრეილ ბლეიზერსის“ შემადგენლობაში მატჩში საშუალოდ 24,8 ქულა და 4,8 პასი გააკეთა. 1971 და 1974 წლებში პეტრის „ოლ სტარში“ უთამაშია, ხოლო კარიერა 1975-76 წლების სეზონში დაასრულა მუხლის მძიმე ტრავმის გამო. მიუხედავად იმისა, რომ პეტრიმ მხოლოდ ექვსი სეზონი ითამაშა, პორტლენდმა მაინც მიაკუთვნა მას მუდმივად 45-ნომრიანი მაისურა.

წლის აღმასრულებელი ჯეფ პეტრი

წლის საუკეთესო აღმასრულებლის ჯილდო 1973 წლიდან არსებობს. რამდენიმე კაცს იგი ორჯერ და მეტად მოუგია. ესენი არიან: ჯერი კოლანჯელო (1976, 1981, 1989, 1993, ოთხჯერვე — ფინიქსი), ბობ ფერი (1979, 1982, ორჯერვე — ვაშინგტონი), სტენ კასტენი (1986, 1987, ორჯერვე — ატლანტა), ჯერი კრაუზე (1988, 1996, ორჯერვე — ჩიკაგო), ბობ ბასი (1990, 1997, პირველად — სან ანტონიო, მეორედ — შარლოტი), უეინ ებრი (1992, 1998, ორჯერვე — კლივლენდი).

82 Giro d'Italia

ბომბა ვენეციურ პეიზაჟში

ოთხშაბათს „ჯიროს“ მე-18 ეტაპი უკრაინელმა სერგეი გონჩარმა მოიგო. ინდივიდუალური რბოლის დამთავრებისას ვარდისფერმაისურიან მარკო პანტანის მეშვიდე შედეგი აღმოაჩნდა, რაც სავსებით საკმარისი იყო საერთო ჩათვლაში ლიდერობის შესანარჩუნებლად.

ტრევიზოს გარშემო ჩატარებული ეტაპის ფავორიტად ფრანგ ლორან ჟალაბერს მიიჩნევდნენ. მისგან გამარჯვებას თუ არა, ვარდისფერი მაისურს დაბრუნებას მაინც ელოდნენ. თუმცა „ტურ დე ფრანსში“ მონაწილეობაზე უარისმთქმელი „ჟაჟა“ მხოლოდ მესამე იყო — გონჩართან 41 წამი წააგო, პანტანის 57 მოუგო და საერთო ჩათვლაში კვლავ მესამე ადგილზე დარჩა. ოღონდაც საერთო ჩათვლაში მის წინ მყოფ პაოლო სავოლდელისთან უკვე 25 წამს აგებდა.

„მეგონა, უკეთესად გამოვიდოდი, მაგრამ მოწინააღმდეგეები მოსალოდნელზე სწრაფები იყვნენ. ეს განსაკუთრებით სავოლდელიზე და პანტანიზე ითქმის, რომელთაც დაღლა თითქმის არ ემჩნევათ“ — განუცხადა ჟურნალისტებს „ჟაჟამ“.

სავოლდელიმ მართლაც მშვენივრად ირბოლა ჩრდილო-აღმოსავლეთ იტალიის ულამაზეს რეგიონში, სადაც ვენეციური სკოლის მხატვრებმა თავიანთი უმშვენიერესი ტილოები შექმნეს. ახალგაზრდა, 26 წლის იტალიელმა, რომელიც შარშანდელ „ჯიროზე“ მე-9 ადგილს დასჯერდა, გონჩართან მხოლოდ 17 წამი წააგო, მაგრამ ამან რეალობის შეგრძნება არ დააკარგვინა. „მთავარი ფავორიტი უწინდებურად პანტანია. დღეს მისი ჯობნა თუ მოვახერხე, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მასზე ათი კილოგრამით მეტს ვიწონი. „ჯიროს“ კი ნაღდად ის მოიგებს, თუ რაიმე უბედურება არ შეემთხვა“ — თქვა „ანგელოზისაზიანმა“ სავოლდელიმ, როგორც მას იტალიური პრესა უწოდებს.

ისე, სავოლდელი პანტანის ერთხელ უკვე დაეხმარა ხიფათისას. ერთ-ერთ წინა ეტაპზე, ოროპას აღმართზე, როცა „მეკობრის“ ველოსიპედს ჯაჭვი გაუფუჭდა, პელოტონი კი არ გაჩერდა, სავოლდელიმ მარკოს თანაგუნდელებს ამის შესახებ ამცნო. მერკატონელებიც დაელოდნენ თავიანთ თავმოტვლეპილ ლიდერს და ეტაპიც მისი გამარჯვებით დასრულდა. „ყველას ასე მოვექცეოდი“ — თქვა მაშინ ჯენტლმენმა სავოლდელიმ.

მე-18 ეტაპი კი იმითაც იყო საინტერესო, რომ ტრევიზოში, დომის მოედანზე, სადაც ფინიში იყო, ბოლოს მისულმა, მაგრამ პირველობაშენარჩუნებულმა „ილ პირატმ“ მეორე დიდი იტალიელი სპორტსმენისგან მიიღო მილოცვები. ბომბად წოდებული, უახლოეს წარსულში უძლიერესი და უჩემპიონესი სამთომოთხილამურე ალბერტო ტომბა მასსავით პოპულარულ პანტანის მეტად თბილად და მეგობრულად შეხვდა.

გაგი გურული

REUTERS ტრუნი ზოდან

უკრაინელ სერგეი გონჩარს „ჯიროში“ გამარჯვება იტალიელმა ლამაზმანებმაც მიულოცეს

მეცხრამეტე ეტაპი

კასტელფრანკო ვენეტო — ალპე დი პამპეაგო (166 კმ)

1 მარკო პანტანი (იტალია, მერკატონე უნო) — 5 სთ, 13 წთ, 15 წმ
2 ჯილბერტო სიმონი (იტალია, ბალანი)
3 რობერტო ერასი (ესპანეთი, კელმე)
4 ივან გოტი (იტალია, ჰოლტი)
5 დანიელე დე პაოლი (იტალია, ამიკა ჩიზი)
6 ოსკარ კამენზინდი (შვეიცარია, ლამპრე)

საერთო ჩათვლა

1 მარკო პანტანი — 84 სთ, 43 წთ, 12 წმ
2 პაოლო სავოლდელი (იტალია, საეკო) — +3, 42 წთ
3 ივან გოტი — +4, 53 წთ
4 ლორან ჟალაბერი (საფრანგეთი, ონსე) — +5, 24 წთ
5 დანიელ კლავერო (ესპანეთი, ვიტალიციო) — +7, 58 წთ
6 ჯილბერტო სიმონი — +8, 33 წთ

ფრანგების ტუზი ტულუზელი

REUTERS ტულუზიდან

ტულუზელები მეთხუთმეტედ ზეიმობენ ჩემპიონობას

საფრანგეთის სარაგბო პირველობის ფინალში „ტულუზი“ „მონფერანს“ შეხვდა, 15:11 მოუგო და შიდაეროვნულ ზენადავლსაც მეთხუთმეტედ დაეპატრონა.

მატჩი თითქოს „მონფერანის“ უპირატესობით წარიმართა, მაგრამ „ტულუზი“ დაცვაში ჯიგრიანად ირჯებოდა და მეტოქეს ალყის ქულებად გარდაქმნის საშუალებას არ აძლევდა. პირველი ნახევარი 10:3 დასრულდა „ტულუზის“ სასარგებლოდ. „მონფერანის“ მეჯარიმის, ჟერარ მერსერონის ერთ ზუსტ საჯარიმოს „ტულუზმა“ მისი ახალზელანდიელი გამთამაშებლის ლი სტენსნესის ლელოთი და მიშელ მარფენის თითო-თითო გარდასახვა-საჯარიმოთი უპასუხა.

შესვენების შემდეგ სტენსნესმა მეორე ლელო გაატანინა შუამარბ სედრიკ დებროსს, რაზეც მეტოქემ მერსერონის კიდევ ერთი ზუსტი საჯარიმო დარტყმითა და ნიკოლას ნადაუს ნაგვიანევი ლელოთი მიუგო.

უელსელებიც ხასიათის ხალხია

REUTERS ტუკუმანიდან

უელსელმა ენდრიუ მურმა (ბურთით) და მისმა თანაგუნდელებმა ჯერ მხოლოდ პროვინციელებთან ივარგეს

არგენტინაში ჩასული უელსის ნაკრები პირველსავე მატჩში ბუენოს აირესის ნაკრებთან დამარცხდა — 29:31. არგენტინელებმა ამ გამარჯვების მიზეზად დიდებულად ჩატარებული და 19:14-ით მოგებული პირველი ნახევარი და დაცვაში უცთომლობა დასახელეს. უელსელებს კი მოყვარე სპეციალისტებმა ვარსკვლავების, ნეილ ჯენკინსისა და კრეგ კუინელის არყოფნა მოუმიზეზეს, თუმცა უფრო სერიოზული საფუძველი სათანადოდ განუწყობლობა უნდა ყოფილიყო (ტურნის ძირითადი მატჩები ხომ პუმებთან ამ და მომდევნო შაბათს გასამართი ზეპური ტესტებია). ერთი ეგ იყო, მათმა თავკაცმა გრეგ ჰენრიმ თქვა, ბოლოსკენ რომ ლელო გაგვიტანეს და გარდაგვისახეს, მაგან ფსიქოლოგიურად გაგვტეხაო.

ბუენოს აირესელთაგან ყველაზე ძლიერად პეტრო სპორლედერმა და ხოსე სილიმ ითამაშეს.

მეორე მატჩში უელსელთა მეტოქე ტუკუმანის პროვინციის ნაკრები იყო. აქ კი იძალეს სტუმრებმა და 69:44 დაამარცხეს სამხრეთამერიკელები.

ესენი ვინ ყოფილან?!

უელსელთაგან განსხვავებით წარმატებით დაიწყო თავისი ავსტრალიური მოგზაურობა ირლანდიის ნაკრებმა, რომელმაც გასულ უქმეებზე სამხრეთ უელსის არცთუ ხელწამოსაკრავი გუნდი დაიბრიყვა — 43:6. ოდნავ მძიმე დასაწყისის შემდეგ, როცა დამხვდურთა ჯულიან მორეტონმა ორი ზუსტი საჯარიმოთი ტაბლოზე 0:6 აანთო, ირლანდიელები ხალისიანად ათამაშდნენ და 32-ე წუთიდან ანუ პირველი ლელოს მერე მეტოქისთვის ბურთის შებრუნების შანსიც აღარ დაუტოვებიათ.

„აქ ბევრი ნაკრები ჩამოსულა, მაგრამ ასე ნაწილ-ნაწილ რომ დავეკუწეთ, ბარე ორს ვერ მოუხერხებია“, — უთქვამს სამხრეთუელსელთა ყოფილ ცხრა ნომერს სტივ მერიკს — „მათ ბლომად ჰყავთ ჭაბუკი მორაგბეები და თანამედროვე რაგბის თამაშობენ“.

ხოლო სტუმართა მწვრთნელის უორენ გეტლენდის თქმით — „ეს ერთი ჩვეულებრივი მატჩი იყო და ყველაფერი ძალიან კარგადაა!“.

არტემ ჩაჩანიძე

ეგვიპტეში ვიყავი და ევროპა ვნახე

ეგვიპტეში მიმდინარე ხელბურთელ ვაჟთა მსოფლიოს ჩემპიონატზე, 2 ივნისს, პირველი ტურის ყველა დარჩენილი მატჩი ჩატარდა და კიდევ ერთხელ თვალნათლივ გამოჩნდა, რომ სპორტის ეს სახეობა ყველაზე კარგად ბებერ კონტინენტზეა განვითარებული. ევროპელები ცხრა მატჩში დაუპირისპირდნენ სხვა კონტინენტების წარმომადგენლებს და ცხრაშივე გაიმარჯვეს. თუმც მაროკოელებს ცოტა დააკლდათ, რომ საერთოევროპული იდილია დაერღვიათ. ჩრდილოაფრიკელები დანიასთან მხოლოდ ერთი ბურთის სხვაობით დამარცხდნენ.

ამ თამაშში, რომელიც ჩემპიონატის პირველ ტურში ყველაზე დაძაბული გამოდგა, მეორე ტაიმის დაწყებიდან ოთხი წუთის შემდეგ დანიელები 15:7-ს იგებდნენ. ბრწყინვალედ მოთამაშე ფრთის — ლარს კრისტიანსენის წინამძღოლობით სკანდინავიელები ისე კარგად ირჯებოდნენ, რომ ძნელი წარმოსადგენი იყო შეხვედრის დასასრულს ასე თუ გაუჭირდებოდათ უპირატესობის შენარჩუნება. თუმცა აქვე უნდა გითხრათ, რომ დანიასთვის შავი კონტინენტის ჩრდილოეთში მდებარე ქვეყნები ტრადიციულად უხერხული მეტოქეები არიან. ოთხი წლის წინ ისლანდიაში გამართულ მსოფლიოს პირველობაზე მერვედფინალის გზაზე დანიელებს ალეირი გადაეღობა...

გუშინწინდელ მატჩში კი, როდესაც მაროკოელმა მოჰამედ ბერაიამ მატჩის დამთავრებამდე 15 წამით ადრე ანგარიშში სხვაობა ერთ ბურთამდე შეამცირა, ვიკინგებს მთელი ძალების მოკრება დასჭირდათ, რათა ბურთი არ დაეკარგათ და საქმე გამარჯვებამდე მიეყვანათ.

სხვა თამაშებიდან აღსანიშნავია იუგოსლავიის მიერ ჩინეთის (43:25), საფრანგეთის მიერ კი ავსტრალიის (32:15) განადგურება. ევროპის ჩემპიონი შვედები, რომლებმაც ახლახან პარიზში დამთავრებულ ოთხთა ტურნირში სამივე მატჩი წააგეს რუსეთთან, ესპანეთთან და საფრანგეთთან, თავიანთი ვარსკვლავის, სტეფან ლოვგრენის ნაკრებში დაბრუნების შემდეგ, ეტყობა გამოფხიზლდნენ და კორეას იოლად სძლიეს — 25:20.

გუშინ, გვიან ღამით გამართული მეორე ტურის მატჩების ანგარიშებს მე-16 გვერდზე გაეცნობით.

გაიოზ თალაკვაძე

REUTERS ქიროდან

გერმანელი მარკუს ბაუერის (ბურთით) წინააღმდეგ კუბელები ვერაფერს გახდნენ

ქართულ ჭიდაობაზე ბრძანდებით? გაისად გამოიარეთ...

ვინმემ რომ თქვას, თქვე დედადავიწყებულებო, ხომ საწყენია?!



რამდენიმე წელია, ქართული ჭიდაობიდან საქართველოში სახელიღა დარჩა. მართალია, არის ფედერაცია, არიან ფალავნები, მაგრამ არ არის თავად ქართული ჭიდაობა. ან, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, არ ტარდება არანაირი შეჯიბრი.

ამ დღეებში ქართული ჭიდაობის ფედერაციამ აღმასკომის გაფართოებული სხდომა გამართა. მიზეზიც ჰქონდა — ამასწინათ ეროვნული ორთაბრძოლების საერთაშორისო კომიტეტიდან ქვეყნის პრეზიდენტის, სპორტდეპარტამენტის თავმჯდომარისა და ფედერაციის სახელზე წერილები მოვიდა. ავტორები ყველას ერთსა და იმავეს სთხოვდნენ — ქართული ჭიდაობის ფედერაცია მათ კომიტეტში გაწევრიანებულიყო, ქალაქ ლისკოვოში (ნიჟნი ნოვგოროდის ახლოსაა) 20-27 მაისს გასამართ ეროვნული ორთაბრძოლების საერთაშორისო ტურნირზე ეასპარეზათ და თბილისი საგაისოდ დაგეგმილი ეროვნული ორთაბრძოლების მსოფლიო ფესტივალის მასპინძლობის კანდიდატად წარედგინათ.

როგორც გვჩვევია, ამ წერილებმა ჯერ კაბინეტიდან კაბინეტში, ინსტანციიდან ინსტანციაში იარა. მერე, ვიდრე დეპარტამენტის ხელმძღვანელობა კუთვნილი შვებულება-მივლინებიდან დაბრუნდა, ის საერთაშორისო ტურნირიც დასრულდა. ასე არ შედგა ჩვენი ეროვნული ჭიდაობის საერთაშორისო დებიუტი.

ეროვნული ორთაბრძოლების საერთაშორისო კომიტეტი 1997 წლის დეკემბერში ჩამოყალიბდა ორენბურგში. მასში ინგლისის, საფრანგეთის, ჰოლანდიის, მექსიკის, რუსეთისა და კიდევ რამდენიმე ქვეყნის ეროვნულ სახეობათა ფედერაციები გაერთიანდნენ. ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკები ლისკოვოში რუსეთის ფედერაციაში შემავალ ხალხთა ეროვნული ორთაბრძოლების ფედერაციებთან ერთად მიიწვიეს. (მათ შორის არ იყვნენ უზბეკები თავიანთი კურაშით, რომელიც საერთაშორისო სარბიელზე სრულიად დამოუკიდებელია და წლეულს პირველი მსოფლიოს ჩემპიონატიც ჩაატარეს).

ეგ ყველაფერი კარგი, მაგრამ იმ საერთაშორისო კომიტეტში მარტო გასაწევრიანებლად წინასწარი შესატანი 700 დოლარია, ამდენივეც — ყოველწლიური. ამას დავუმატოთ შეჯიბრებაში მონაწილეობისთვის გასაღები ხარჯი და საბოლოო ჯამში სოლიდური თანხა გამოდის, რაც ფედერაციას არა აქვს.

სწორედ ამ საკითხთა განსახილველად შეიკრიბა აღმასკომი. საერთაშორისო კომიტეტში გაწევრიანების თაობაზე ერთსულოვანი თანხმობა ითქვა. საერთაშორისო კომიტეტთან შუამავლობა ორგანიზაციულ-სტრუქტურული საკითხების მოსაგვარებელ-დასაზვერად ფედერაციის ვიცე პრეზიდენტ იური იმერლიშვილს დაევალა. ყველამ მოიწონა წინადადება თბილისის მსოფლიო ფესტივალის მასპინძლობის კანდიდატად წარდგენის თაობაზე. მაგრამ რადგან ამ ყველაფრისთვის საჭირო თანხები დეპარტამენტის გასაცემია, შეხვედრის ბოლოს ფედერაციის დელეგაცია კახი ასათიანს მიადგა საკონსულტაციოდ. დეპარტამენტის თავმჯდომარემაც, წლეულს ვერა და გაისად აუცილებლად დაგეხმარებითო.

იმედია, მომავალ წლამდე დანაპირები არ დაავიწყდება.

ირაკლი თავაძე
ავთანდილ გურასაშვილის
ფოტოები



მართველების გადაფრენა

„მართვე-ნეპტუნი“ განათლების სამინისტროს წყალბურთის სპორტსკოლის ბავშვთა გუნდია. დღეს, როცა ჩვენს წყალბურთს უჭირს ეროვნული ნაკრებისა და უმაღლესი ლიგის (პირობითადღა გვეთქმის, თორემ ჩვენთან ხომ ჩემპიონატი არც ტარდება) კლუბების ჩათვლით, დალხენილად არც პატარა მართველები ცხოვრობენ. მაგრამ, ავად თუ კარგად, მაინც არსებობენ. არსებობენ ნაწილობრივ სამინისტროს, ნაწილობრივ მშობლების, ნაწილობრივ კი ენთუზიაზმის ხარჯზე. თან, დროდადრო უცხოეთშიც ცდიან ძალას საერთაშორისო ტურნირებზე.

ახლახან მათ გერმანიის ქალაქ ბოხუმში 1983-84 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა საერთაშორისო ტურნირზე იასპარეზეს. გუნდში ძირითადად 14-15 წლის ყმაწვილები იყვნენ, მხოლოდ ერთი ჰყავდათ 17 წლის, ერთიც — 13-ის, შეჯიბრების ყველაზე პატარა მონაწილე.

ჩვენი ჭაბუკების გარდა ბოხუმში ნაკრებთა ეგიდით მათი გერმანელი და ბელგიელი თანატოლებიც გამოდიოდნენ ხუთი ადგილობრივი კლუბის ჭაბუკებთან ერთად. ამ წრიული სისტემით ჩატარებულ რვაგუნდიან ტურნირში „მართვე ნეპტუნმა“ ორი მატჩი წააგო — „ვერნესთან“ და ბელგიის ნაკრებთან, დანარჩენებს კი მოიგო და მესამე ადგილი დაიკავა. წინ მხოლოდ თავისი მძლეველები გაუშვა.

როგორც გუნდის მწვრთნელმა კახა კინწურაშვილმა გვითხრა, „მართვე-ნეპტუნმა“ მეტოქეებს თავი ისე მოაწონა, ბელგიელებმა თავისთან მიიწვიეს საერთაშორისო ტურნირზე. მათვე და მასპინძელმა — გერმანელებმა მწვრთნელებსა და რამდენიმე მოთამაშეს ექვსთვიან სტაჟირებაზე უხმეს, თანაც, ჩვენი სიღარიბის გათვალისწინებით, ვავიანთ ოჯახებში აცხოვრებენ. თავის მხრივ, გაისად ქართველებმაც დაპატიჟეს ისინი თბილისში საწვრთნელ შეკრებაზე. უახლოეს ხანებში ეს კლუბი თავის ბაზაზე, საირმის აუზში, ჭაბუკთა საერთაშორისო ტურნირის გამართვას აპირებს, ივნისის ბოლოს კი უკრაინის პირველობის მეორე ტურში ასპარეზობას გეგმავს. შეგახსენებთ, რომ პირველი ტურის მერე იგი მეოთხე ადგილზეა.

ბოლოს კი იმ ბიჭებსაც გაგაცნობთ, რომლებმაც გერმანიაში გამოიჩინეს თავი, ხვალ კი ქართული წყალბურთი უნდა ასახელონ: ზურაბ ლორთქიფანიძე, ზურაბ სახელაშვილი, ოთარ ბაბუნაშვილი, ოთარ ლობჟანიძე, გიორგი ჩუბინიძე, გიორგი ჩხეიძე, გიორგი სარჯველაძე, გიორგი ქართველიშვილი, გიორგი და ირაკლი გოგელიები, გიორგი და ლევან ბადურაშვილები, ალექსანდრე შარაშიძე, ვლადიმერ ბერძენიშვილი, ბექა ჩიგოგიძე, დავით ქარსელაძე.

ირაკლი თავაძე

კულტურაც და ფიზკულტურაც

ძველი ოლიმპიადები, შემდგომ კი პირველი თანამედროვე ოლიმპიადებიც, საკმაოდ განსხვავდებოდა ახლანდელთაგან. იმ პირველ ოლიმპიადებში იყო სპორტი და მასზე არანაკლებ მნიშვნელოვანი კულტურული პროგრამაც, მერე კი თანდათან დრონიც იცვალნენ და ოლიმპიადებიც. მართალია, ახლანდელი ოლიმპიადების პროგრამაში კულტურული ღონისძიებებიც შეაქვთ, მაგრამ მთავარი სპორტია, სპორტი კი უკვე დიდი ბიზნესია. ამდენად, თავად ოლიმპიადაც ბიზნესის ნაწილად იქცა.

ოლიმპიადის მშობელმა ბერძნებმა სწორედ ამ ვითარების შეცვლა და პირვანდელი ოლიმპიური სულისკვეთების დაბრუნება განიზრახეს. საბერძნეთის კულტურის სამინისტრომ ახალი ოლიმპიური თაოსნობა — კულტურული ოლიმპიადების ჩატარება იტვირთა. ამ მოძრაობას სოკი და იუნესკოც მიესალმნენ, ხოლო გაბრიელ გარსია მარკესი, შიმონ პერესი, ნელსონ მანდელა, მარგარეტ ტეტჩერი და სხვა ცნობილი ადამიანები მასში გაერთიანდნენ. აბა, ასეთი ამბის მერე ქართული მხარის დაინტერესება რა გასაკვირია.

წლეულს, 8 აპრილს, თბილისში კულტურული ოლიმპიადების საქართველოს ეროვნული კომიტეტი (კოსეკი) ჩამოყალიბდა. გუშინ ამ კომიტეტის პრეზიდიუმის წევრებმა კულტურის სამინისტროში პრესკონფერენციაზე მიგვიწვიეს და ახალი მოძრაობის მიზნებსა და ამოცანებზე გვესაუბრნენ.

კულტურული ოლიმპიადების თემატური არსი ამთავითვე განსაზღვრულია — სწრაფვა მშვიდობისაკენ. ეს მოძრაობა ოთხწლიან ოლიმპიურ ციკლს მოიცავს და ოლიმპიადიდან ოლიმპიადამდე ეტაპობრივად ჩატარდება. მასში მონაწილეობისთვის თავიანთ წარმომადგენლებს ეროვნული კომიტეტები შეარჩევენ, ოღონდ რა პრინციპით, ჯერ უცნობია, რადგან საამისო კრიტერიუმები ჯერ ბოლომდე დადგენილი არაა.

ახალშექმნილ კოსეკს დიდ დახმარებას უწევენ სეოკი, საქართველოს კულტურის სამინისტრო, გაერთიანებული ქართული ბანკი... ისინი სწორედ მათი დახმარებით აპირებენ სამომავლო ჩანაფიქრის განხორციელებას.

შტეფიმ, ეტყობა, გამოიძინა

ქალები. ნახევარფინალი: მარტინა ჰინგისი (1,) — არანჩა სანჩეს ვიკარიო (7, ესპანეთი) 6:3, 6:2.
პირადი შეხვედრები აქამდე — 9:1 ჰინგისის სასარგებლოდ.

კაცების მეოთხედფინალებს ინტერესი ანუ მაყურებელი იმანაც შემატა, რომ ამ დღეებში ვიღაც ხულიგნებმა პარიზის მეტროს ერთ-ერთი მემანქანე იმსხვერპლეს და მსოფლიოს ყველაზე გაფიცვების მოყვარული ერის წარმომადგენლებმა დასვენების ზედმეტი დღის შესაძლებლობა ხელიდან არ გაუშვეს.

დაუმატეთ ამას სარეკორდო სიგრძის საცობები გზებზე და ბევრი ჩემი საზღვარგარეთელი კოლეგა კორტებზე გულამოვარდნილი და დასიცხული, თანაც კარგა დაგვიანებით გამოცხადდა — მათ პარიზის ცენტრიდან ორ საათზე მეტი ფეხით სეირნობა მოუხდათ, სწორედ ამ მიზეზით, ტრიბუნებიც მხოლოდ ორი მესამედით შეივსო და ისიც დღის ბოლოს.

თემიდან გვარიანად გადახვევის შემდეგ დროა, პირველ ნახევარფინალს მივხედოთ, რომელიც დაგეგმილზე ზუსტად ერთი საათით გვიან დაიწყო. დაიწყო, თუმცა კარგა ხნის მანძილზე თამაშით მასში მხოლოდ ერთი ჩოგბურთელი — მარტინა ჰინგისი თამაშობდა.

ტურნირის წინა გამარჯვებული ესპანელი უღონოდ აღევნებდა თვალყურს, როგორ ითვლიდა ქულას ქულაზე მისი მუდმივად მოღიმარი მეტოქე, ანგარიში კი სწრაფად იზრდებოდა და სულ ერთი მიმართულებით: 2:0, 3:0...5:0, თანაც დაწყებიდან სულ 15 წუთის შემდეგ.

აქ ერთი სახალისო ამბავი მოხდა, რომელმაც კინაღამ გარდატეხა შეიტანა მატჩში — მარტინამ ბურთი ისე უშნოდ ისროლა, რომ კორტის ნაცვლად ერთ ხნიერ და ფრიად პატივცემულ მანდილოსანს უთავაზა ყბაში. ბოდიშის მოხდამ და ტრადიციულმა ღიმილის „შეკერვამ“ 18 წლის შვეიცარიელს ყურადღება გაუფანტა.

ჰინგისმა კორტზე ანგლობას მიჰყო ხელი და ანდრეი მედვედევის მიერ ასე წარმატებით გამოყენების შემდეგ მოდაში შემოსული შემოკლებულებით დაიწყო გართობა. თუმცა მარტინას დარტყმების უმეტესობა ბადეში ეხვეოდა, ამას სხვა უნებლიე შეცდომებიც მოჰყვა და მალე სანჩეს ვიკარიოს გულშემატკივრებმაც (თუ ნათესავების გარდა ასეთები არსებობენ) ამოიდგეს ენა — ესპანელმა ზედიზედ რამდენიმე გეიმი მოიგო და ერთი ბრეიკ-პოინტი რომ გამოეყენებინა, ანგარიში 4:5 გახდებოდა.

„5:0-ზე თამაში შევწყვიტე, რისი გაკეთებაც არანჩასთან არაფრით შეიძლება — იგი ყოველთვის ხავსსაც კი ეჭიდება და მიცემულ შესაძლებლობებს ხელიდან არასოდეს უშვებს“ — აღნიშნა მოგვიანებით შიშნაჭამმა ჰინგისმა, რომელიც გონზე დროულად მოეგო, სისულელეებს შეეშვა და მეტოქეს თავისი ადგილი მიუჩინა: მან ხომ ესპანელს ზედიზედ მეათედ მოუგო.

ნახევარფინალში მარცხს, ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად, არანჩა დიდად არ გაუნაწყენებია: „მე ის გავაკეთე, რაც შემეძლო. ცუდად არ მითამაშია, უბრალოდ, მარტინამ მაჯობა — ბოლოს და ბოლოს, ის ხომ მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელია.“

REUTERS პარი ზიდან

მონიკა სელეში

შტეფი გარფი (6, გერმანია) — მონიკა სელეში (3, აშშ) 6:7 (2:7), 6:3, 6:4.
პირადი შეხვედრები აქამდე: 9:6 გრაფის სასარგებლოდ.

შვიდი წლის წინ შტეფი გრაფმა და მონიკა სელეშმა იგივე კორტზე როლან გაროსის ფინალში ბოლო ოცწლეულის ერთ-ერთი ყველაზე სამახსოვრო მატჩი ითამაშეს. ტიტანთა ბრძოლა მაშინ ჯერ კიდევ იუგოსლავიელმა სელეშმა გადამწყვეტ ხელში 10:8 მოიგო, თუმცა მომავალ კლასიკურ დუელთა მომლოდინეთ ცალკე სელეშისთვის დანის ჩაცემამ და ცალკე გერმანელის ურიცხვმა ტრავმებმა კოვზი ნაცარში ჩაუგდო.

„ეს ის მატჩია, რომელსაც მოუთმენლად ველი“ — წინდაწინ განაცხადა გრაფმა. „შტეფისთან შეხვედრები ჩემი კარიერის ერთ-ერთი საუკეთესო მომენტებია, მწამს, იმედს არც ეს გაგვიცრუებს“ — კვერი დაუკრა მონიკამ.

იმედი მატჩმა მართლაც არავის გაუცრუა, თუმცა სელეშისთვის ტკბილი მოგონებების სიაში მისი მოხვედრა ნამდვილად სათუო გახლავთ.

მონიკამ მატჩი კარგად დაიწყო, ჩვეული ჭყვიტინის თანხლებით ორხელა დარტყმები კორტის კიდეებში მიმოფანტა და 3:0 უპირატესობის ხელიდან გაშვების მიუხედავად, ტაი-ბრეიკზე მეტოქეს შანსი არ დაუტოვა.

მეორე სეტი გრაფის იყო: დიდმა გერმანელმა მეტისმეტად სწორხაზოვნად ჩატარებული პირველი სეტის შემდეგ მკვლელ ფორჰენდს რამდენიმე დროული შემოკლებული შეუნაცვლა, აშკარა შიშის მიუხედავად ერთი ორჯერ ბადესთანაც გავიდა წარმატებულად და ანგარიში გაათანაბრა.

გადამწყვეტ ხელში დაძაბულობამაც იმატა და უნებლიე შეცდომებმაც. ჯერ გრაფი დაწინაურდა 2:0, მერე სელეში გამოცოცხლდა — 3:2, თუმცა ფინიშის სწორზე, მეცხრე გეიმში, ნერვებმა სწორედ მონიკას უმტყუნა. ამერიკელმა საკუთარი მოწოდება დაკარგა, ორიოდ წუთში კი თითქმის ორსაათიანი შეხვედრა გრაფის სიხარულის შეძახილით და მომუჭული მუშტით დასრულდა — ტურნირის ხუთგზის გამარჯვებული და ბევრის მიერ (ჰინგისს ვგულისხმობთ) ნაადრევად ჩამოწერილი გრაფი სამწლიანი შესვენების შემდეგ დიდი სლემის ტურნირის მორიგ ფინალში გავიდა.

ერთი სამწუხარო ამბავიც როლან გაროსიდან: ჩვენებურმა ირაკლი ლაბაძემ მეოთხედფინალში არგენტინელ გილერმო კორიას არაფერი დაუთმო, მაგრამ ორივე სეტში ტაი-ბრეიკზე დამარცხდა და ასპარეზობას გამოეთიშა 6:7 (6:8), 6:7 (2:7).

თუმცა პარიზთან გამოთხოვება ჯერ ადრეა — 17 წლის ქართველი წყვილებში ხორვატ ლოვკო ზოკოსთან ერთად ნახევარფინალში გავიდა.

ავთანდილ სვანიძე

ინტერვიუ მატჩის შემდეგ

მეორედ ოსული

ანდრეი მედვედევსა და მის პირად ცხოვრებაზე ორიოდ დღის წინ საკმაოდ დაწვრილებით ვისაუბრეთ, მაგრამ ახალ გარემოებათა გამოჩენის, მორიგი წარმატებებისა და ჭორმართლის მიმართ ყველა ჩვენგანის ბუნებრივი დაინტერესებიდან გამომდინარე, ეს საქმე ხელმეორედ გადახედვას იმსახურებს



REUTERS პარი ზიდან

ანდრეი მედვედევი

— ექვსწლიანი პაუზის შემდეგ დიდი სლემის ტურნირის ნახევარფინალისტობა როგორია?

— მეორედ დავიბადე, მეორედ მოვედი, არ ვიცი, როგორ ვთქვა, თქვენი სათაურებისთვის თავად შეალამაზეთ. არა მგორია, დედამიწაზე ვინმე ჩემზე ბედნიერი იყოს ამ წუთში.

— ბედნიერი არა მხოლოდ საჩოგბურთო მიღწევებით, არა?

— ამ კითხვაზე მერე გიპასუხებთ, მანამ კი თავად უნდა გკითხოთ რაღაც. როგორც ვხედავ, ჩემი და ანკეს (ჰუბერი, მედვედევის ჩოგბურთელი გელფრენდი) გარდა, ყველა ჩვენს დაქორწინებაზე საუბრობს. როდისთვისაა ქორწილი დანიშნული? ჩვენ არ ვიცით და ხომ უნდა მოვემზადოთ წინასწარ? (იცინის). თქვენ, ბიჭებო, სულ ამაზე წერთ, უკვე მთელმა ევროპამ გაიგო, ერთხელ CNN-ზეც კი მოვისმინე. იცით, ხალხი კიევიდან მირეკავს.

„ვნოლოცავ, მაგრამ არა თამაშის გამო“.

„აბა რას?“.

„ცოლის მოყვანას“.

„მართლა? გმადლობთ“.

დამიჯერეთ, დამიჯერეთ, როდესაც, როგორ ვთქვა, რაიმე სერიოზულს გადავწყვეტთ, აუცილებლად შეგატყობინებთ. მე და ანკე მართლა ერთად ვართ, მაგრამ დაქორწინებას, ყოველ შემთხვევაში წლეულს, არ ვაპირებთ. თუ დავაპირებთ, აუცილებლად ყველას წინასწარ გეტყვით და ვაი, თქვენი ბრალი, თუ საჩუქრებს დაგვიგვიანებთ.

— რა გჭირდებათ?

— დრო.

— რატომ იმოქმედა ასე ძლიერად ანკესთან დაბრუნებამ თქვენზე?

— წარმოიდგინეთ, რომ ერთმანეთს ხასიათმოწამლული და ბედნიერი ჩოგბურთელი ხვდებიან, თქვენი აზრით, ვინ მოიგებს? როდესაც გიყვარს, ეს მუზასავითაა, შეგიძლია, ლექსები დაწერო, მუსიკა შეთხზა, შესანიშნავად ითამაშო ჩოგბურთი, კარგი სტატიები დაწერო. მართალია თუ არა? როცა უბედური ხარ, დაახლოებით ასე წერ: „მან დაარტყა კარგი ფორჰენდი, მან დაარტყა ცუდი ბექჰენდი, ანგარიში იყო ასეთი და ასეთი. მორჩა“.

— კარგი, თუ დაქორწინებას არ აპირებთ, ეს ბეჭედი რატომღა გიკეთიათ? ადრე არ შემინიშნავს. დანიშნული მაინც ხართ?

— მე არ მჯერა დანიშვნის. ეს მარტო იმისთვისაა, ყველა გოგომ შეამჩნიოს, რომ უკვე სხვისი საკუთრება ხარ (იცინის). იცით, ადრე მე... არა, ჩვენ გვრცხვენოდა, ხალხისთვის გაგვემჟღავნებინა, რომ გვიყვარდა ერთმანეთი. ალბათ, ზედმეტად ახალგაზრდები ვიყავით, მივმხდარიყავით, რომ ორი ჩოგბურთელის ერთად ყოფნაში სამარცხვინო არაფერია. ბოლოს და ბოლოს გადავწყვიტეთ, აღარაფერი დაგვემალა, მაგრამ არ ველოდით, თუ ეს ამხელა აჟიოტაჟს გამოიწვევდა. აქ პირველ წრეში რომ წამეგო, დარწმუნებული ვარ, არავინ მიაქცევდა ყურადღებას, მაგრამ ეს ახლა ლამაზ, ტკბილ ამბად გადაიქცა თქვენთვის, მუდმივად წერთ, ბლა, ბლა, ბლა (იცინის).

— როდის შეურიგდით ერთმანეთს?

— დაახლოებით ერთი თვის წინ. იცით, ჩვენ უკვე ექვსი წელია, ვიცნობთ ერთმანეთს და ამ ხნის მანძილზე რამდენჯერმე შევრიგდით და დავშორდით. თუმცა ბოლოს მართლა დიდი ხანი აღარ ვხედებოდით. ალბათ, ეს რაღაც განსაკუთრებულია. არ მინდა, რომელიმე სხვა ყოფილ გელფრენდს ვაწყენინო, მაგრამ ანკე მართლაც გამორჩეულია. სხვაგვარად რომ იყოს, მუდმივად არ დავუბრუნდებოდით ერთმანეთს. ასე რომ, როდესაც ვრიგდებით, მნიშვნელობა არა აქვს, ეს ერთი დღითაა, თუ ერთი თვით, ორივე ბედნიერად ვგრძნობთ თავს (თქვენი არ ვიცი, მაგრამ ამ ამბავმა ერთი ტკბილი ამერიკული ფილმი „მექორწინე კაცი“ გამახსენა, რომელშიც კიმ ბეისინგერი და ალეკ ბოლდუინი ასევე უნათებენ და უშხამავენ სიცოცხლეს ერთმანეთს).

— პიტ სამპრასის მეორე წრეში დამარცხებამ დამატებითი თავდაჯერება შეგმატათ? იმ მატჩის შემდეგ მაინცდამაინც გახარებული არ გამოიყურებოდით.

— არ მინდოდა, თავი გმირად გამომეყვანა და ჩემზე სტატიები მეკითხა, ზეწოლას, ალბათ, ვერ გავუძლებდი. ამიტომ, სიმართლე გითხრათ, მოგატყუეთ, რომ ეს არაფერს ნიშნავდა (იცინის). პიტის დამარცხება, ეს თიხნარზე იქნება, ტალახზე, წყალსა თუ... თუნდაც ნარდში, ყოველთვის გარგად გაგრძნობინებს თავს (იცინის). ეს ხუმრობა არაა, მართალს გეუბნებით.

— ადრე მსოფლიოს მეოთხე ჩოგანი იყავით, ახლა მეასე ხართ. ქომაგების დამოკიდებულებასა თუ თქვენი ცხოვრების სტილში რაიმე შეიცვალა?

— არა, სიმართლე გითხრათ, ახლაც ძალიან ძვირ სასტუმროში ვცხოვრობ (იცინის), კარგ რესტორნებში ვსადილობ და საკუთარ თავს სიამოვნებებზე უარს არ ვეუბნები. ქომაგებს რაც შეეხება, არ ვიცი, რატომ, მაგრამ საფრანგეთში ხალხს ძალიან მოვწონვარ. აქ ყველა კარგად მეპყრობა, ორგანიზატორები, მაგალითად, დამატებით ბილეთსაც არ მამადლიან.

— 1993-94 სეზონებში მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ჩოგბურთელი იყავით, მაგრამ ამავდროულად მართლა საუკეთესო მოსაუბრეც. რაც ცუდად წაგივიდათ საქმეები, პრესკონფერენციებზე თითქმის ვეღარ გხედავდით. გსიამოვნებთ ისევ ჩვენს წინ გამოჩენა და კითხვების მოსმენა?

— ეს კარგი გასართობია, თანაც ახლა უფრო გამოცდილი ვარ თქვენთან ურთიერთობაში. საკუთარი ხასიათის გამოჩენის წინააღმდეგი არასდროს ვიყავი, მსიამოვნებს, როდესაც თქვენც იღიმით. ლაპარაკი ყოველთვის მეხერხებოდა, მაგრამ ახლა იმაზე უკვე აღარ ვფიქრობ, ხვალ თქვენ რას დაწერთ და ზედმეტი ხომ არ მომივიდა. თუმცა, ჰო, მართლაც მომენატრა პრესასთან საუბარი, თქვენთან დაბრუნებაც კარგი რამ არის.

ვიდრე სტენლის თასის „სათამაშებ“-საფინალო ფაზა ყინბათლელების მიერ მიიწურებოდა, ნდები, რომელთაც წინასწარ სეზონი უკვე დაასრულეს, მომავალი ჩემპიონატისთვის მზადებას შეუდგნენ. როგორც ყოველთვის, ეს პროცესი საკადრო ცვლილებებით დაიწყო

ჯერაც ბავშვია და უკვე მილიონები!

26 ივნისს, მორიგი დრაფტის დღეს, არსებული წესის თანახმად, იწურება 1997 წლის დრაფტზე არჩეულ ჰოკეისტებთან კონტრაქტის გაფორმების ვადა. ამიტომაც ბოლო დღეებში პირველ რაუნდში არჩეული ხუთი ახალგაზრდისგან, რომლებიც აქამდე უკონტრაქტოდ იყვნენ, სამმა ხანგრძლივი ხელშეკრულება გააფორმა. განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ კალგარის ახალი მოთამაშე, 20 წლის ფორვარდი დანიელ ტკაჩუკი, რომელიც ორი წლის წინ მეექვსე ნომრად აირჩიეს. ამ სეზონის წინ, საგამოფენო მატჩებში იგი ძალიან კარგად გამოიყურებოდა და კლუბთან სამწლიანი კონტრაქტიც გააფორმა. წარმატებით თამაშის შემთხვევაში ტკაჩუკი პრემიალურების ჩათვლით ერთ სეზონში 1,6 მილიონ დოლარს მიიღებს. იმ წლის დრაფტის მონაწილეთაგან ესოდენ მაღალ ანაზღაურებას მხოლოდ პირველი ნომერი, ბოსტონელი ჯო ტორნტონი იღებს.

1997 წლის დრაფტის 22-ე ნომერი ნიკოს ცელიოსი, რომელიც სახელოვანი დეტროიტელი მცველის, კრის ჩელიოსის ბიძაშვილია, კროლინას კუთვნილება გახდა. ონტარიოს ლიგაში (ოჰლ) ჩატარებულ 60 მატჩში მცველმა 60 (21+39) ქულა მიითვალა.

საინტერესოა, რომ დალასს, კოლორადოსთან მეშვიდე მატჩისთვის რომ ეშზადება, მინც არ დაავიწყდა თავისი რჩეული, ბრენდენ მოროუ. დრაფტის 25-ე ნომერი, რომელმაც დასავლეთის ლიგაში (ვჰლ) საკმაო შედეგიანობით გამოჩინა თავი — 85 (41+44) ქულა. კლუბმა მასთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

ლინდენს „სათამაღოდ“ დაუძახეს

ლიგის ყველაზე სახელოვანმა კლუბმა „მონრეალ კანადიენსმა“, რომელმაც ამ სეზონში რთული ფინანსური მდგომარეობის გამო ორი წამყვანი მოთამაშე — მარკ რეკი და ვენსან დამფუსი — გაყიდა, ცნობილი ფორვარდი ტრევორ ლინდენი შეიძინა. 29 წლის მოთამაშე, რომელიც მანამდე აილენდერსში გამოდიოდა, კანადურ კლუბს დრაფტის მე-10 ნომრის ფასად დაუჯდა და, მწვრთნელთა აზრით, მონრეალის ლიდერის ფუნქცია სწორედ მან უნდა იტვირთოს. კონტრაქტი ორწლიანია და, როგორც ვარაუდობენ, ლინდენი 2,5 მილიონ დოლარს მიიღებს.

— ძალიან მიხარია, რომ კვლავ მომეცა კანადაში დაბრუნების შესაძლებლობა. იმედი მაქვს, გუნდის გაძლიერებაში ჩემს წვლილს შევიტან“ — თქვა ლინდენმა პრესკონფერენციაზე.

მონრეალელთა გენერალური მენეჯერის რეჟან ულის თქმით, გუნდს, როგორც იქნა, ჩამოუყალიბდა მთავარი ღერძი, რომელსაც ლინდენთან ერთად მეკარე ჯეფ ჰეკეტი და მცველი სტეფან ქინტალი წარმოადგენენ. შეგახსენებთ, რომ აილენდერსში გადასვლამდე ლინდენი ცხრა წლის განმავლობაში ვანკუვერის კაპიტანი და ამ გუნდის ქომაგთა კერპი იყო, მაგრამ კლუბში მარკ მესიეს მისვლის შემდეგ პოზიციები შეუსუსტდა. ლინდენმა 809 მატჩი ჩაატარა და 275 გოლი და 358 პასი მიითვალა.

სამველ ღარიბიანი

ხელბურთელ ვაჟთა მსოფლიოს ჩემპიონატი	B ჯგუფი
	ბრაზილია 22:21 ს. არაბეთი
	გერმანია 36:25 მაკედონია
	ეგვიპტე 31:29 კუბა
	C ჯგუფი
ეგვიპტე. 3 ივნისი	ხორვატია 23:23 ნორვეგია
	უნგრეთი 32:16 კუვეიტი
	რუსეთი 36:23 ნიგერია
A ჯგუფი	D ჯგუფი
ტუნისი 23:23 მაროკო	იუგოსლავია 40:22 ავსტრალია
დანია 28:18 ალჟირი	შვედეთი 42:21 ჩინეთი
ესპანეთი 31:19 არგენტინა	საფრანგეთი 28:25 ს. კორეა

REUTERS ქაიროდან

ესპანეთი — არგენტინა. არგენტინელთა მეკარე ხუან ლუკას გურა გაესპანელებულ ტალანტ დუშაბაევს განსაკუთრებით უფრთხოდა

საიდან სადამდე...

ნორვეგია — საქართველოს საკვირაო მატჩის წინა დღეს ოსლოში იქაურ [illegible] ტრადიციული 5 კმ-იანი გადარბენა გამართულა. როგორც ამ ფოტოს ავტორი, „სარბიელის" ფოტორეპორტიორი ბადრი კეთილაძე გვიამბობს, გადარბენაში ერთბაშად 25 ათას მეტ-ნაკლებად მიმზიდველ ნორვეგიელ დედაკაცს მიუღია მონაწილეობა... ამათგან ეს ხუთიოდე დიაცი ნაგარბენევს ნორვეგიაში შემხეტებულ ინდიელთა ანსამბლ „ჩა-ჩა-ჩა"-სთან შეჩერებულა და სირბილისგან გახურებული სხეული დამბანგავი ინდიელური რიტმებით დაუცხრია...



ბადრი კეთილაძე ოსლოდან

REUTERS გვატემალადან

იარე ერისთვის!

გვატემალელები, გურჯებისა არ იყოს, ერთი გაუხარებელი ხალხია. ჰოდა, მათებურმა ხულიო მარტინესმა 8 მაისს გერმანიაში 20 კილომეტრზე სპორტულად სიარულში მსოფლიოს რეკორდი რომ დაამყარა, გაუხარდებოდათ, აბა რა იქნებოდა... ეს აეროპორტში დახვედრა და მხრებზე შემოსმაც რაღა გასაკვირია...

ბუფალომ ხალხს ლუკმა გაუყო

ბოლო დღეებია, ბუფალოს „მერინ მიდლენდ არენა" ქომაგთა მიძალებას ვერ აუდის. საყვარელი გუნდის, „ბუფალო სეიბრზის" პლეი ოფში ჩინებულმა ასპარეზობამ ბუფალოელებს გაუათკეცა ჰოკეისადმი ინტერესი. მაგრამ საშინაო მატჩებზე დასასწრებ აბონემენტებს პროფესიული კლუბები ჯერ კიდევ სეზონის დაწყებამდე ყიდიან, ასე რომ, ბილეთების რაოდენობა ამჟამად ერთობ შეზღუდულია. ამიტომაც იყო, რომ „მერინ მიდლენდ არენასთან" ტორონტოსთან ნახევარფინალური სერიის მატჩებზე დასწრების უამრავი მსურველი იყრიდა თავს. ისინი ბოლომდე არ კარგავდნენ ბილეთის შოვნის იმედს, თუმცა ბედი ათასიდან ერთს თუ გაუღიმებდა. კლუბს არც გარეთ დარჩენილთათვის დაუნანებია გული — მომსახურე პერსონალი უიღბლოებს ცხელი ყავითა და ნამცხვრით გაუმასპინძლდა.



REUTERS ბუფალოდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი, ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი ზურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
უცხოური განყოფილება ლაშა გოდუაძე, დავით კოზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; ინფორმაციის რედაქცია ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ლევან კელაურაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კეკელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29